

საქართველოს მართლმადიდებელ  
ეკლესიასთან არსებული ძრისფინანშელი  
კელიან  
საერთაშორისო ცენტრი

ანდრია პირველწოდებულის  
ნაკვალევზე

თბილისი  
2009

კრებულში განთავსებულია „ანდრია პირველწოდებულის გზის მკვლევი ექსპედიციის“ სრული ანგარიში და მისი ხელ-მძღვანელის, აწგანსვენებული პროფ. დევი ბერძენიშვილის ბოლო, გამოუქვეყნებელი დდიური, რომელშიც აისახა V ექცედი-ციის წინასწარი შედეგები: მოგზაურობა თურქეთსა და ტაო-კლარჯეთში.

წიგნი განკუთვნილია საქართველოს ეპლესიის ისტორიით დაინტერესებული მკითხველებისათვის.

**რედაქტორი: აკად. დავით მუსეელიშვილი**

**შენიშვნები და კომენტარები დაურთო მიხეილ  
ფხაჭიაშვილმა**

**რეცენზენტი: პროფ. ალექსანდრე დაუშვილი**

**კომპიუტერული უზრუნველყოფა: ანა რუაძე  
მარიამ ფხაჭიაშვილი**

## მიხეილ ფხაჭიაშვილი

### ესპერიციების შრომისაბით

ქრისტეშობის 2000 წლის საიუბილეო თარიღის აღნიშვნასთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის **ილია II-ს** დოკვა-კურთხევით და ცხემ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, საქართველოს საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილების ხელმძღვანელის, მეუფე დანიელის თაოსნობით შემუშავდა საიუბილეო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა მთელ რიგ მისიონერულ და კულტურულსაგანმანათლებლო ღონიძიებებს, გადაწყდა მოწყობილიყო მოლოცვითი მოგზაურობები ქართველთა განმანათლებლების წმ. ანდრია პირველწოდებულის დასავლეთ საქართველოში, ხოლო წმ. ნინოსი აღმისავლეთ საქართველოში. ამავე პერიოდში მეუფე დანიელთან მოვიდნენ ბატონები თემურ ბერიძე და გივი ბოლქვაძე, რომლებმაც მეუფეს შესთავაზეს საიუბილეო ღონიძიებების ნუსხაში ჩართული ყოფილიყო სამეცნიერო ექსპედიცია, რომელიც ძველ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით გამოიკვლევდა წმ. ანდრია მოციქულის საქართველოში მოსვლისა და სამოციქულო მოდგაწეობის მარშრუტს. ამ მიზნით შეიქმნა ჯგუფი, რომელიც დაადგენდა წმ. ანდრია პირველწოდებულისა და მისი თანხლები მოციქულების მიერ განვლილ სკლაგზეს. სამუშაოდ ჯგუფი იკრიბებოდა ფერისცვალების დედათა მონასტერში, დარეჯანის სასახლეში, კვირაში ერთხელ; ამ შეხვედრებში მონაწილეობდნენ სასულიერო პირები, მეცნიერები (ისტორიკოსები, არქიოლოგები, ეთნოგრაფები, ლიტერატორები, ხელოვნებათმცოდნეები და ა.შ) და საზოგადოების წარმომადგენლები. ამ შეხვედრა-დია-

ლოგებს უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით ხელმძღვანელობდა მეუფე დანიელი. სამწუხაროდ, საიუბილეო პერიოდის განმავლობაში ამის განხორციელება ვერ მოხერხდა.

2001 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა **ილია II-მ** საქართველოს მარლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასთან დააფუძნა ფონდი “ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი”, რომელსაც დაექვემდებარა არსებული სამუშაო ჯგუფის ბაზაზე შექმნილი სამეცნიერო ექსპედიცია – „**წმ. ანდრია პირველწოდებულის გზის მკალევი ექსპედიცია**“. ეს სამეცნიერო ექსპედიცია შეისწავლიდა წმ. ანდრია პირველწოდებულის მიერ განვლილ გზას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

სამეცნიერო ექსპედიციის წევრებმა მოიძიეს და შეისწავლეს წმ. ანდრია პირველწოდებულის სამოციქულო მოგზაურობის შესახებ არსებული წერილობითი წყაროები და სამეცნიერო გამოკვლევები. გაცნობილი მასალის (შრომების) ანალიზის საფუძველზე დევი ბერძენიშვილმა, გივი ბოლქვაძემ და მიხეილ ფხაჭიაშვილმა შეიმუშავეს სამოქმედო გეგმა – საფარაუდო მარშრუტები და მათი პრიორიტეტები. ავირჩიეთ მთავარი მიმართულიბები:

1. სამხრეთ-დასავლეთი საქართველოში – მდ-ბის სანისწყლის, ქერშავეთის, ჩხერიმელას და სახვლარის ხეობების გავლით აჭარა-მესხეთის (ფერსათის) ქედზე ზეგარის “რკინის ჯვრის” და ხარაგაულის “რკინის ჯვრის” უღელტეხილების გავლა, ჯგუფს უნდა დაეთვალიერებინა მდ. ოძრების წყლის ხეობა, კურორტი აბასთუმანი (ისტ. ოძრები), ზადენგორა, სოფელი ანდრიაწმინდა, აწყური მდ. ქვაბლიანის ხეობა; აჭარაში – გონიოს (აფხაზის) ციხე, მდ. აჭარისწყლის ხეობა, დაბა ხულო, სოფელი დიდაჭარა, მესხე-

თის და აჭარის სასაზღვრო რეგიონები, აჭარა-მესხეთის (ფერსათის) ქედი, გოდერძის უღელტეხილი;

2. ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში აფხაზეთი, სვანეთი, რაჭა, მდ-ბის რიონის, ენგურის, ცხენისწყლის, კოდორის ხეობების სათავეები და კავკასიონის მთავარ ქედზე გამავალი უღელტეხილები;
3. დასავლეთ საქართველოში ქალაქები ზუგდიდი, მარტვილი, დაბა ჯვარზენი და შავი ზღვის სანაპირო ზოლი;
4. დაიგეგმა მოგზაურობები ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევზე თურქეთში, ისრაელში (წმინდა მიწაზე), საბერძნეთში, სირიაში, რუსეთსა და უკრაინაში.

2001 წლის ზაფხულში მეუფე დანიელი საექსპედიციო ჯგუფის წევრებთან ერთად შევხვდით ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) საქართველოს წარმომადგენლობის დირექციის წევრებს ბატონებს ზაზა გამცემლიდეს და კოტე ჯანდიერს და გავაცანით ექსპედიციის შინაარსი და მიზნები. გავაცანით, რომ წმ. მოციქულის შესახებ არსებულ წყაროებში მოხსენიებული მარშრუტის პუნქტები – ზეკარი – “რკინის ჯვრის” უღელტეხილი და ხარაგაულის “რკინის ჯვარი” მდებარეობს WWF-ის ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკში, ხოლო გზები, რომლებითაც წმ. ანდრია პირველწოდებული “ქართლის ცხოვრების” მიხედვით სამცხეში მოსულა ასევე გადის პარკის ტერიტორიაზე. ასეთი ძველი ისტორიული საქარავნო გზა აღნიშნულია ახალი წელთაღრიცხვის რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის შედგენილ რუკაზე, რომელზეც სომხეთის ქალაქი “არტაშატი” არტაანი-ჯავახეთი-სამცხე – არგვეთა-ეგრისით უკავშირდებადა ”სებატოპოლის” (სოხუმს). მერე კი ვთხოვეთ დახმარება პროექტის განხორციელებაში. WWF-ის დირექცია გულისყურით მოეკიდა ჩვენს თხოვნას.

დაიწყო მზადება სამეცნიერო მოგზაურობისათვის და საექსპედიციო ჯგუფის დაკომპლექტება.

თავდაპირველად საექსპედიციო ჯგუფში შედიოდა ხუთი კაცი: სამეცნიერო ხელმძღვანელი ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი დევი ბერძენიშვილი, „ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის“ და ექსპედიციის მოძღვარი, თბილისის წმ. ილია მართლის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ბასილი (ჟორუჟიაშვილი), „ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის“ კოორდინატორი მიხეილ ფხაჭიაშვილი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, არქეოლოგი გიგი ბოლქვაძე, მწერალი კოტე ჯანდიერი და ოპერატორი ლევან პატარაია. საექსპედიციო ჯგუფის შემადგენლობა გარკვეულ ეტაპებზე იცვლებოდა; მას შეუერთდნენ ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ელდარ ბუბულაშვილი (II ექსპედიციიდან ბოლომდე), ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ნიკოლოზ ვაჩიებშვილი (II ექსპედიცია), ალპინისტი თამაზ შარაშენიძე (III ექსპედიციიდან ბოლომდე), ფოტოჯურნალისტი გიორგი ფხაჭიაშვილი (III და IV ექსპედიცია). სხვადასხვა დროს ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: არქიმანდრიტი ანდრია (კბილაშვილი), დეკანოზი მირიანი (სამხარაძე), რესპუბლიკის სამაშველო ცენტრი „სანთელის“ პრეზიდენტი, ალპინისტი გიორგი ბერძენიშვილი, WWF-ის თანამშრომლები იასე ცინცაძე და ავთანდილ ლურსმანაშვილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ექსპედიციის მთავარი მიზანი იყო და არის იმ სავარაუდო მარშრუტის დადგენა, რომელიც სამოციქულო ქადაგებით გაიარა წმ. ანდრია პირველ-წოდებულმა სხვა მოციქულებთან და მოწაფეებთან ერთად. ამ სამეცნიერო მოგზაურობის მიზანია აგრეთვე ექსპედიციის შედეგად მოპოვებული მასალის ანალიზი და შემდგომ მისი ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა სამეცნიერო პუბლიკაციებით, ბუკლეტებით, ფოტოალბომებითა და

სამეცნიერო-დოკუმენტაციური ფილმის საშუალებით. ამიტომაც ექსპედიციაში თავიდანვე ჩართული იყო ოპერატორი – ლევან პატარაია, რომელიც კურატორობდა ვიდეოგადაღებას. მან I და II მოგზაურობაში უშუალოდ მიიღო მონაწილეობა, III და IV-ში კი თავის შემცვლელებად გამოგვიგზანა ოპერატორები პაატა კერესილიძე (III ექსპედიცია) და ჯაბა კლდიაშვილი (IV ექსპედიცია). რაც შეეხება V მოგზაურობას, რომელიც შედგა თურქეთის ტერიტორიაზე და მიზნად ისახავდა, გარდა პროექტით გათვალისწინებული მთავარი ამოცანისა, თურქეთის ქართული რეგიონების კომპლექსურ შესწავლასა და მათ დოკუმენტაციურ ვიდეოგადაღებებს, ამიტომაც საექსპედიციო ჯგუფში შევიყვნეთ რეჟისორი კახაბერ იმნაიშვილი, ოპერატორი დავით ასათიანი და თარჯიმანი და მეგზური თურქეთის მოქალაქე, ქართული წარმოშობის, დაუდ ხაკან ბერკი, რომელმაც იტვირთა ძირითადი მძღოლის მოვალეობაც.

ჩვენი ექსპედიციების შედეგების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ წმ. ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მოგზაურობის შესახებ არსებულ უცხოურ და ქართულ წყაროებში მოხსენიებული გადმოცემები, მარშრუტები და ტოპონიმიკა და ჩვენს მიერ განვლილი მარშრუტები, ამ გზებზე არსებული თუ ჩვენსმიერ მოძიებული პუნქტების ძველი თუ თანამედროვე დასახელებები ხშირად ერთმანეთს ემთხვევა. ამის შესახებ შემდგომში დევი ბერძენიშვილმა ასახა თავის პუნქტიკაციებში.

## I ექსპედიცია

2001 წლის 4-10 ოქტომბერს საქართველოს მართმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასთან არსებული ფონდის “ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის” ორგანოზებით გაიმართა პირველი ექსპედიცია წმ. ანდრია პირველწოდებულის ხაკვალევზე, რომლის სპონსორი გახ-

ლდდათ WWF-ი. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ სამეცნიერო ხელმძღვანელი, ისტორიკოსი დევი ბერძენიშვილი, დეკანოზი ბასილი (ჟორუკაშვილი), კოორდინატორი მიხეილ ფხაჭიაშვილი, არქეოლოგი გივი ბოლქვაძე, WWF-ის წარმომადგენლები – მწერალი კოტე ჯანდიერი, ოპერატორი ლევან პატარაია და იასე ცინცაძე, ალპინისტი გიორგი ბერძენიშვილი, მდლოლი მალხაზ ცაციაშვილი. კოტე ჯანდიერმა თავიდან ვერ შეძლო წამოსვლა, მაგრამ ბოლოში შემოგვიერთდა. ჯგუფს ბაღდათში შემოუერთდა და მეგზურობა გაუწია ბაღდათის ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელმძღვანელმა – კლიმუჯა ყურაშვილმა, ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის თანამშრომლები: იუზა ვეფხვაძე, ალიმა და კარლო მსხვილიძეები და სხვები.

ექსპედიციის დაწყების წინ, 3 ოქტომბერს, ჯგუფი საპატრიარქოში მიგვიდო სრულიად საქართველოს პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა ილია II, მას მივაწოდეთ ინფორმაცია მოგზაურობის შესახებ, შემდეგ მამაშვილურად დაგგარიგა და დაგვლოცა. გამომშვიდობისას ჩვენ საპატივისაცემოდ მოიწვია მგალობლები და ქართული გალობით გამოგვაცილა. საპატრიარქოდან ჩვენ გავემგზავრეთ მცხეთაში, სადაც სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში მამა ბასილმა გადაიხადა მგზავრობის პარაკლისი.

I ექსპედიციის სვლაგეზი (მარშრუტი) ასეთი იყო: თბილისიდან გავემგზავრეთ გეგუთში (ქუთაისში); გეგუთიდან ვარციხის გავლით ბაღდათში ჩავედით; ბაღდათიდან ავუკევით მდ. ხანისწყლის ხეობას, გავიარეთ წყალთაშუა, კაკასხიდი და ავედით სოფელ ხანში; ხანიდან ჩამოვედით ისევ კაკასხიდთან. აქ შევიცვალეთ მანქანა, გადავსხედით ორხიდიან ავტომანქანაში და ავუკევით მდ. ქერშავეთის ხეობას, გავიარეთ კურორტი ზეკარი, ვენახჭალა, ქერშავეთი და სალაშქრო; სალაშქროდან ფახით შეგუევით უღე-

ტეხილისაკენ მიმავალ გზას (ბილიქს) და ავედით აჭარა-მესხეთის (ფერსათის) წყალგამყოფ ქედზე – “რკინის ჯვრის” (ხეკარის) გადსასვლელზე, უღელტეხილიდან WWF-ის მანქანით დავეშვით სამხრეთისაკენ (მესხეთისაკენ), გზა მიუყვებოდა მდ. ოძრხის წყლის ხეობას, გავჩერდით კურორტ აბასთუმანში, სანატორიუმ “არაზინდოში”, სადაც დავისვენეთ; აბასთუმნიდან ჩავედით ჭულეში; ჭულედან შემოვბრუნდით უკან გავიარეთ და დავათვალიურეთ ზაღენგორა; განზრახული გვქონდა ავსულიყავით საფარის მონასტერში და იქიდან გადავსულიყავით სოფელ ანდრიაწმინდაში, მაგრამ უამინდობამ ხელი შეგვიშალა; ახალციხის გავლით აწყურში განათლების სამინისტროს ბანაკში გავჩერდით და დავისვენეთ; აწყურიდან ბორჯომის გავლით დაგბრუნდით თბილისში.

გეგუთიდან ზემოთ აღნიშნული მარშრუტით მოგზაურობისას დავათვალიურეთ ვარციხეში საინტერესო როდოპოლისის-ვარციხის ციხე, როკითის ეკლესია, დიმის ციხის ადგილმდებარეობა, წითელხევში დევიძების უბნის წმ. გიორგის ეკლესია, კედლის მხატვრობის საინტერესო ფრაგმენტებით, ფერსათის ეკლესია და აქვე სალხინოს (შუბანი) XII-XIII სს. ეკლესია, წყალთაშუას (კორიში) წმ. ნინოს ეკლესია, სოფელ ალისმერეთის ეკლესიის ნანგრევები, მდ. ხანისწყალზე ძველი ხიდის ბურჯი, კაპასხიდიდან გზის ჩრდილო-აღმოსავლეთით, უღრან ტყაში, აღგილ ბერიეთში, დაახლოებით XIV საუკუნის ეკლესია, გარეთა ფასადზე საინტერესო წარწერითა და ცხოველების ფიგურებით, რომელიც დევი ბერძენიშვილმა გადმოიღო პერგამენტზე; სოფელ ხანში ვნახეთ ორი ეკლესია, ერთ-ერთი უფრო ადრინდელი, ოორმეტი მოციქულის სახელობის, როგორც ჩანს უფრო ძველი ეკლესიის ნანგრევებზე აგებული (დევი ბერძენიშვილის შეფასებით, დაახლოებით X საუკუნისა); კაპასხიდიდან კურორტ ზეკარისა და ვენახჭალას მონაკვეთზე ბატონმა ელგუჯა უურაშვილმა გვაჩვენა “თამარ მე-

ფის გზად” წოდებული ძველი “ქვაფენილი” და ბოლოს “რკინის ჯვრის”-ზეპარის უდელტეხილის აღმართზე გნახეთ ადგილი სალაშქრო. დევი ბერძენიშვილმა გვიამბო ისტორიული გადმოცემა, რომ ცოტნე დადიანს კოხტას ციხის შეკრებიდან ეგრისისაკენ მიმავალ გზაზე ამ ადგილას დაეწიენ და შეატყობინეს შეთქმულების დატყვევების ამბავი და წმ. ცოტნე ერისთავი აქედან უკან მიბრუნდა თავის მეგობრებთან; ზეკარის გადასავლელზე აღმართულ რკინის ჯვართან მამა ბასილმა გადაიხადა წმ. ანდრიაპირველწოდებულის მცირე პარაკლისი. აბასთუმანში დავათვალიერეთ ოძრხის ქვედა და ზედა ციხე, ციხის ძირში შემორჩენილი მდ. ოძრხის წყლის შენაკადის კურცხანის მარჯვენა სანაპიროზე შემორჩენილი მონასტრის ნანგრევი და იქვე მდ. ოძრხის წყალზე შემონახული ქვის თაღოვანი ხიდი, მოვილოცეთ აბასთუმნის ტაძარი “ახალი ზარზმა” რუსი ფერმწერის მ. ნესტეროვის მოხატული ფრესკებით, წმ. გიორგის VIII-XII სს. ძველი ეკლესია; ჭულეს მონასტერში შევხვდით და ვესაუბრეთ მონასტერის იღუმენს – სტეფანე კალაიჯიშვილს (ამჟამად ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსი), რომელმაც გვიამბო მის მიერ მოწყობილი მოგზაურობის შესახებ. მან გაიარა წმ. ანდრია პირველწოდებულის გზის სავარაუდო მონაკვეთი აწყურიდან ხარაგაულის “რკინის ჯვრისაკენ”; აწყურში დავათვალიერეთ აწყურის ციხე, აწყურის დვითისმშობლის ცნობილი ტაძრის ნანგრევები, საქრისის ველი, რომლებიც დაკავშირებულებულია წყაროებში გადმოცემული წმ. ანდრია პირველწოდებულის სამოციქულო მოგზაურობასთან საქართველოში; ბორჯომისაკენ მიმავალ გზაზე დავათვალიერეთ ტაძრისისა (კვირიკეს) და მწვანე მონასტრები, სლესის ციხე. აღსანიშნავია აგრეთვე დევის მონათხობობი ტაძრისის მონასტერზე, სადაც 7 წლის ასაკდან იზრდებოდნენ და სწავლობდნენ ცნობილი ქართველი თეოლოგი, სასულიერო და საერო მოღვაწე წმ. გიორგი მთაწმინდელი და მისი და თეკლა.

ბორჯომში WWF-ის ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ხელმძღვანელობამ, ბ-ნი ზვიად გოცირიძის ხელმძღვანელობით მოგვიწყო თბილი მიღება, დაგათვალიერეთ ეროვნული პარკის მუზეუმი, შედგა პრესკონფერენცია ჟურნალისტებთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან, სადაც გაიმართა გულთბილი დიალოგი ექსპედიციის განვლილი დღეების შესახებ, გვიან დამით დავბრუნდით თბილისში.

მოგზაურობისას დიდი სიობოთი და სიყვარულით მიგვიღეს და დაგლოცეს ბადდადისა და ვანის მთავარეპისკოპოსმა ანტონმა (ბულუხია), ახალციხისა და ტაო-კლაჯეთის მიტროპოლიტმა ორგანიზებმ და ბორჯომისა და ბაქურიანის მთავარეპისკოპოსმა სერაფიმები.

## II ექსპედიცია

2002 წლის 15–19 სექტემბერს საქართველოს მართმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასთან არსებული ფონდის “ქრისტიანული კალვის საერთაშორისო ცენტრის” და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) საქართველოს წარმომადგენლობის ორგანიზებით გაიმართა მეორე ექსპედიცია წმ. ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევზე, რომლიც ასევე დააფინანსა WWF-მა. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: სამეცნიერო ხელმძღვანელი, ისტორიკოსი დევი ბერძენიშვილი, დეკანოზი ბასილი (ჟორუკაშვილი), კოორდინატორი მიხეილ ფხაჭიაშვილი, არქეოლოგი გივი ბოლქვაძე, WWF-ის წარმომადგენლები – მწერალი კოტე ჯანდიერი, ისტორიკოსი ელდარ ბუბულაშვილი (რომელიც შემდგომში უკვე ექსპედიციის წევრი გახდა), ოპერატორი ლევან პატარაია, ავთანდილ ლურსმანაშვილი, ალპინისტი გიორგი ბერძენიშვილი, მდიდოლი მალხაზ ცაციაშვილი, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის თანამშრომლები.

ექსპედიციის მარშრუტი ასეთი იყო: თბილისიდან გავემ-გზავრეთ ხარაგაულში, ხარაგაულში ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის წარმომადგენლობაში მისი ხელმძღვანელის ტარიელ ხიჯაგაძის თაოსნობით შედგა მცირე თათბირი, რომელზეც დავაზუხებეთ მარშრუტთან დაკავშრებული საკითხები, აქვე გადავსხედით ორხიდიან მანქანებში, ავყევით მდ. ჩხერიმელას ხეობას, გადავუხვიეთ, სამხრეთით, სოფელ მარელისთან ავუყევით მდ. ბუღლის წყლის ხეობას, შემდეგ მდ. სახელმარის ხეობით ავედით და დავისვენეთ ეროვნული პარკის სახელმარის კოტეჯში; დავათვალიერეთ დიდი სახელმარის შემოგარენი და ავედით “რკინის ჯვარზე” (ხარაგაულის “რკინის ჯვარი”). სადამოს მივედით ეროვნული პარკის სამეცნიეროს კოტეჯში; სამეცნიეროდან დაგეშვით სამცხისაკენ და სათანაზოს (სატანჯო) გზის გავლით ფეხით ჩავედით ამარატში, ეროვნული პარკის კოტეჯში; ამარატიდან ჯერ ბაგების დელეს და შემდეგ აბანოს დელეს გაყოლებით, წვიმაში, ფეხით, 5 საათიანი დამქანცველი მოგზაურობის შემდეგ ჩავედით აწყურში, განათლების სამინისტროს ბანაკში; აწყურიდან WWF-ის მანქანით ბორჯომის გავლით დაგზრუნდით თბილისში.

II ექსპედიციით მოგზაურობისას დაგათვალიერეთ, აგზომეთ და გადავიდეთ აღნიშნულ მარშრუტზე მანამადე შეუსწავლელი ეკლესია-მონასტრები და საფორტიფიკაციო ნაგებობები, რომელთაგანაც ყურადღებას იპყრობს სოფელ შერთულთან მდებარე “წიფლარის სალოცავი” (ეკლესიის ნანგრევი), რომელიც, სავარაუდოდ, XIV-XV სს-ით შეიძლება დათარიდდეს; ჩვენი ყურადღება მიიპყრო სახელმარის ზურგიანი კოშკის ნანგრევებმა და გვიანი შუასაუკუნეების მიწაში ჩამჯდარმა ეკლესიის ნარჩენებმა, აქვე დავათვალირეთ ადგილი – ნაქალაქარი; განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა სამეცნიეროს მთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ, მთის ძირში, უღრან ტყეში, ადგილ ტბების მახლობ-

ლად “ლეღვანის” დიდი ზომის დარბაზულმა ეკლესიამ, სამონასტრო კომპლექსის შენობა-ნაგებობებმა და ცალკე მდგომა აკლდამებმა. დევი ბერძენიშვილის აზრით, ამ მოზრდილ მონასტერს ბორჯომის ხეობის სამონასტრო ცენტრებთან ბევრი რამ აქვს საერთო და ალბათ IX-X სს-ით უნდა დათარიღდეს; მთა “რკინის ჯვარზე” აღმართულ დიდ ჯვართან მამა ბასილმა გადაიხადა წმ. ანდრიაპირველწოდებულის მცირე პარაკლისი; ესპედიციის წევრები ავიდნენ სამეცხვარიოს მთაზე, აქედანვე გადავიდეთ ცნობილი “ლომისის მთა” და მესხეთისა და ზემო იმერეთის ლამაზი ხედები; აწყურიდან გავიარეთ ბორჯომში, სადაც ისევე, როგორც წინა ექსპედიციაში, დიდი ყურადღებითა და პატივისცემით მიგვიღო ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დირექტიამ.

ექსპედიცია, მიუხედავად იმისა, რომ ხანმოკლე იყო, საკმაოდ მძიმე და დამდლებლი გამოდგა, რასაც განაპირობებდა ცუდი, წვიმიანი ამინდები, განსაკუთრებით კი ის ფათერაკები, რომლებიც გადაგვხდა მოგზაურობის პირველივე დღეს, როდესაც “ვილისებით” მივემზავრებოდით სოფელ შერთულის ეკლესიის სანახავად, თეორა დელეს ხეობის დამრეც, ვიწრო და ტალახიან მონაკვეთზე ჩვენი “ვილისი”, რომელშიც ვისხდით დევი ბერძენიშვილი, გივი ბოლქვაძე, ნიკა ვაჩეიშვილი და მიხეილ ფხაჭიაშვილი, ვერ ავიდა, დაგორდა, ამოტრიალდა, გააკეთა ორი ყირა და გადაეკიდა ხეობის დამრეც ნაპირზე, საბედნიეროდ, ხევის თავზე შეგვაჩერა და დაგვიჭირა მომცრო ხემ და გადავრჩით; “რკინის ჯვრის” მიდამოებში გაფუჭდა მეორე მანქანა და მსვლელობა გავაგრძელეთ ფეხით; ექსპედიციის ბოლოს ამარატში, ამოგვაკითხა სამხიდიანმა დიდმა მანქანამ, რომელსაც უნდა ჩავეყვანეთ აწყურში. გასვლის წინ მდღოლს დაუგორდა მანქანა და რომ არა დიდი ფიჭვის ხები, გადაიჩებოდა კანიონში; მოგვიწია 30-35 კილომეტრის გავლა, ვიწრო ბაგებისა და აბანოს დელეების ხეობაში, ჭექა-

ქუხილში, ქარიშხალში და სეტყვაში, ახლოს მეხიც კი ჩამოვარდა, 4-5 საათის სიარულის შემდეგ, სრულიად სველებმა მივაღწიეთ აწყურში. ამ ფაქტების შემდეგ დევის სუმრობდა: წმ. ანდრიაპირველწოდებულმა გვითხრა, ამ გზაზე არ გამივლიაო! სასულიერო პირების აზრით, ასეთი მძიმე, დაბრკოლებებითა და ფათერაკებით აღსავსე იყო თვით წმ. მოციქულის მიერ განვლილი სამოციქულო გზა და ჩვენი განსაცდელები ამ გზის მისტიკური მხარეა.

### III მძსპედიცია

მთელი 2004 წელი საქართველო აღნიშნავდა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების 20 საუკუნის იუბილეს. საქართველოს მართმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასთან არსებული ფონდის “ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის” წმ. ანდრია პირველწოდებულის მესამე მოგზაურობაც შედიოდა იმ საზეიმო დონიძებების ნუსხაში, რომლებიც მიეძღვნა ამ დიდებულ თარიღს. ჩვენმა საექსპედიციო ჯგუფმა მიიღო სახელმწიფო გრანტი III ექსპედიციის ჩასატარებლად, რომელიც შედგა 2004 წლის 22 – 28 ოქტობერს და რომლის მიმართულებად ავიჩიეთ აჭარა, საიდანაც შემოვიდა საქართველოში წმ. ანდრია პირველწოდებული და სადაც დაარსა მან პირველი ეკლესია. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ მისი წევრები: სამეცნიერო ხელმძღვანელი, ისტორიკოსი დევი ბერძენიშვილი, დეკანოზი ბასილი (ჟორჟიკაშვილი), კოორდინატორი და ტექნიკური დირექტორი მიხეილ ფხაჭიაშვილი, არქეოლოგი გივი ბოლქვაძე, ისტორიკოსი ელდარ ბუბულაშვილი, ალპინისტი თამაზ შარაშენიძე, ფოტო-ურნალისტი გიორგი ფხაჭიაშვილი და ოპერატორი პაატა კერესელიძე, მძღოლი ელიზბარ გოგოლაძე (თავისი კუთვნილი მიქროავტობუსით), ჯგუფს ბათუმში შემოუერთდა და პირველი ორი დღე მეგზურობა გაუწია ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორმა ისტორიკოსმა ბიჭიკო დიასამიძემ, ხულოში თბი-

ლად მიგვიღო, გვიმასპინძლა და მეგზურობა გაგვიწია დეკანოზმა მირიან (სამხარაძემ).

ექსპედიციის მარშრუტი ასეთი იყო: თბილისიდან გავემ-გზავრეთ ბათუმში, მოვეწყვეთ სასტუმრო “სპუტნიკში” და დავისვენეთ; ბათუმიდან წავედით გონიოში, სადაც დავათვალიერეთ და გადავიდეთ აფხაროსის (გონიოს) ციხე და დაგბრუნდით უკან; დილიდან ბათუმში დავათვალიერეთ აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და ბათუმის უნივერსიტეტი; ბათუმიდან ავუყევით აჭარის წყლის ხეობის, გავიარეთ ქედა, შუახევი მოვილოცეთ სხალთის მონასტერი და გვიან დამით ჩავედით ხულოში; ხულოს დათვალიერებისა და ტაძრის მოლოცვის შემდეგ ავუყევით ისევ აჭარის წყალს სოფ. დიდაჭარამდე; დიდაჭარისა და მისი შემოგარენის დათვალირებისა და გადაღების შემდეგ დაგბრუნდით ხულოში; ამინდის გაურესების გამო აჭარაში ექსპედიციის გარძელება შეუძლებელი გახდა და ხულოდან სოფელ დიოქნისის გავლით გავემგზავრეთ გადერძის გადასავლელისაკენ; უღელტეხილიდან დავეშვივით სამცხეში და დამით ჩავედით ახალციხეში; ახალციხიდან ავედით “რკინის ჯვრის”, ზეგარის უღელტეხილზე, დავათვალიერეთ ზადენგორა, სოფელი ანდრიაწმინდა და დაგბრუნდით თბილისში.

III ექსპედიციით მოგზაურობისას გონიოში დავათვალიერეთ, შევისწავლეთ და გადავიდეთ უძველესი – გონიოს (აფხაროსის) ციხე თავისი უძველესი საფორტიფიკაციო და საკულტო ნაგებობებით, სადაც ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში განთავსებული იყო რომაული სამხედრო გარნიზონი და, რაც მთავარია, რომელიც დაკავშირებულია წმ. მოციქული ანდრიას საქართველოში შემოსვლასთან, ვნახეთ და მოვილოცეთ ანდრია პირველწოდებულის თანამ-გზავრის, წმ. მოციქული მატათას საფლავი. ქართული ეპლების ტრადიციით, სწორედ გონიოს ციხის ტერიტორია-

ზეა დაკრძალული წმ. მოციქული. ციხის მთელ პერიმეტრზე მიმდინარე ჩვენთვის მეტად საინტერესო არქეოლოგიური გათხრების შესახებ გვესაუბრნენ ბათუმის უნივერსიტეტისა და არქეოლოგიური მუზეუმის მეცნიერ თანაშროლები, დავათვალირეთ აჭარის სახელმწიფო მუზეუმი და იქ გამოფენილი ჩვენთვის მეტად საინტერესო ექსპონატები; ბათუმიდან ხულოს გზაზე მდ. აჭარის წყლის მარცხენა სანაპიროზე გადავიდეთ ჭყვინტას ციხე, ფურნას თაღოვანი ხიდი მდ. აჭარის წყალზე; გადავედით მდინარის მარცხენა ნაპირზე და ავუკევით მდ. სხალთის წყალს სხალთმდე, სადაც დავათვალირეთ სელიმ ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმი, შემდეგ სხალთის მონასტრის ტაძარში მამა ბასილმა გადაიხადა მცირე პარაკლისი და გაგემგზარეთ ხულოში, სადაც გვიან ჩაგდით; ხულოში მამა მირიანის მეგზურობით მოვილოცეთ ხულოს წმ. ანდრია პირველწოდებულის ეკლესია და დავათვალირეთ ადგილობრივი ლირსშესანისნაობები; ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიყრობილი იყო სოფელი დიდაჭარისაკენ, სადაც, გადმოცემით, მდებარეობდა წმ. მოციქულის მიერ დაარსებული პირველი ტაძარი და სადაც ახლა არის მისი სახელობის ნიში. პირველ რიგში, ავედით სწორე იმ ბორცვზე, ე.წ. “ნაკაფის სერზე”, რომელიც სოფლის ცენტრიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს და რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა “თარანგელს” (მთავარანგელოზი) უწოდებს, სადაც წერილობითი წყაროებისა და ზეპირსიტყვიერი გადმოცემების მიხედვით ნავარუდევი იყო ანდრია პირველწოდებულის აშენებული ეკლესიის არსებობა. გადავიდეთ ზემოთ აღნიშნული მოციქულის სალოცავი-ნიში, მამებმა მირიანმა და ბასილმა გადაიხადეს წმ. ანდრია პირველწოდებულისადმი მიძღვნილი პარაკლისი; დიდაჭარში შევხვდით და გავესაუბრეთ მოხუცებულ ეზი მელაძეს და როსტომ წულაძეს, რომლებმაც გვიამბეს, რომ სოფლის და მდინარის სახელი, საგარაუდოდ, “დედოაჭარიდან” მოდის, რომ უბ-

ნებს დღემდე შემორჩა ქრისტიანული მსახურებისათვის დამახასიერებელი სახელწოდებები და გადმოცემები (“თარანგილის” ბორცვი, “ნაკაფის სერზე” ქალების მიერ სანთლების დანობა, გალობა, კვრცხის შეღებვა, წმინდა წყარო, რომელზეც მიკარება არ შეიძლება, კვირიკობას რომ მუსულმანებიც აღნიშნავენ და ა. შ.), დაფიქსირდა ტოპონიმები (ხუცური, ეკლიფანა, ელიაწმინდა). მათ ახსოვთ სოუელში მატერიალური კულტურის ძეგლების ნაკვალევი (ეკლესიის ნანგრევების ფრაგმენტები – გათლილი ქვების კვადრებისა და ნაეკლესიარის ქვიტკირის ნაშთის სახით, ქვის ჯვარი). მათგან გავიგეთ, რომ ადგილ “ხუცურსა” და “ეკლიფანის” (ეკლესიის ყანა) მიდამოებში, გზისპირას ყოფილა ეკლესია (ქილისა), იქვე ძველი ქრისტიანული საფლავები. ჩავიწერეთ სოფელში გავრცელებული გაგრები (შავაძე, წულუკიძე, ბოლქვაძე, ხოზრევანიძე, ლიმიტრაძე, ობაძე); ჩავინიშნეთ დიდაჭარის უბნებისა და შემოგარენის – მთების (სერების), სახნაგ-სათიბი მიწების, წყაროების ტოპონიმიკა.

სოფლიდან კარგად ჩანს ის გზები, რომლებითაც შეიძლება სამცხეში გადასვლა, ერთია გოდერძის უდელტეხილის მიმართულება, ხოლო მეორე ირემაძეები-საციხეური-აგარა-ლორჯომო-ქაბისჯვარი-კიკიბო-დერცელი და ზეკარ-“რკინის ჯვარი”; ჩვენ ეს მეორე სავარაუდო მარშრუტი ჩავინიშნეთ, მომავალი წლისათვის, რადგანაც, როგორც ადგილობრივებმა გვითხრეს, მთაში თოვლის გამო გზები გაუჟღვდა და მათ გავლას III ექსპედიციაში ვერ შევძლებდით; გვიან დამით დაღლილები დაგბრუნდით ხულოში. მეორე დილით დავიძარით გოდერძის უდელტეხილისაკენ, გზად გავიარეთ დიოკნისი, სადაც ცოტა ხნით შავისვენეთ; უდელტეხილზე თოვლი დაგვხვდა, დამე ახალციხის სასტუმროში დავრჩიოთ; მეორე დღეს, ახლა უკვე სამცხედან ავედით “რკინის ჯვარზე”. მშვენიერი დღე დაღგა და ყველაფერი ჩანდა კაგასიონიდან თურქეთამდე, ჯვარი ყველა-

ზე მაღალ მთაზეა აღმართული, ძველი ჯვარი უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთით “გორმაღალზე” მდგარა, იქ ადრევე ყოფილა მისი საფუძველი, მასთან ფეხით მისვლა ვერ შევძელით, გადავდეთ მომავალი წლისათვის; მწვერვალზე დიდხანს გავჩერდით, გადავიდეთ ციხისჯვრის ციხე, მასთან მიმავალი გზებით; ჯვართან მამა ბასილმა გადაიხადა პარაკლისი; სადამოს, შებინდებისას, ავედით ზადენგორაზე, ვერაფერი ვერ გადავიდეთ და დავბრუნდით ახალციხეში; დილით ისევ ავედით ზადენგორაზე. აქ ახლა ტელეანძა დაუდგამო, მისი დადგმისას უნახავთ სამარხები არეული ძვლებით. ეს მნიშვნელოვანი პუნქტია ბრინჯაოს ხანიდან და, რაც ჩვენთვის ყველაზე მეტად საყურადღებოა, უკავშირდება წმ. ანდრია მოციქულის მიერ აქ მოხდენილ სასწაულს, კერპების დამხობას. ვნახეთ ნასახლარები, ძველი გვირაბი, ალბათ დარანში მიმავალი. გადავიდეთ ქვის ლოდში ამოჭრილი კარის ანჯამა, დამშრალი წყარო; ზადენგორადან მდ. ურაველის მარცხენა სანაპიროზე მდებარე სოფელ ანდრიაწმინდაში გავემგზავრეთ. ვნახეთ და გადავიდეთ X სის დარბაზული კალესია, რომელიც წმ. მოცუქულის სახელზეა ნაკურთხი. სოფელში შევხვდით და ვესაუბრეთ 81 წლის მეტად სასიამოვნო მოხუცებულს – გიორგი ინასარიძეს. მისი მონათხრობით, ზადენგორადან ანდრია პირველწოდებულმა გამოტობა მდ. ფოცხოვი და ამ სოფელში მოვიდა, შემდეგ კვალთახევისა და ორფოლას გავლით, აწყურში მისულა. ბატონმა გიორგიმ მოგვიყვაზეპირსტევიერი გადმოცემები იმ სასწაულების შესახებ, რომლებიც წმ. მოციქულმა მოახდინა: 1. დაბადებით უსინათლო ქალისშვილს თვალი აუხილა, 2. მოციქული დაუჭერიათ, უწამებიათ, შემდეგ ორმოში ჩაუგდიათ და ორმოს-თვის საქონლის ტყავი გადაუფარებიათ, საიდანაც ნათელი ამოსულა, რამაც აიძულა აქაური ბელადი გაეთავისუფლებინა მოციქული, 3. პიტალო კლდეს კვერთხი დაჰკრა და წყარო გამოადინა, რომელსაც დღესაც ანდრიას წყაროს

უწოდებენ, სოფელი ანდრიობის დღესასწაულს იხდის დიდი მარხვის მე-5 ხუთშაბათს, რაც, ალბათ, დაკავშირებულია საქართველოში მისი შემოსვლის დღესთან. ამის შემდეგ გავემგზავრეთ თბილისში, სადაც გვიან დამით ჩავედით.

III მოგზაურობაში ვერ მოხერხდა ექსპედიციით გათვალისწინებული მარშრუტის სრულყოფილად გავლა, ვერ გავიარეთ დიდაჭარა-ზეკარის ზემოთ აღნიშნული მონაცემი, ხელი შეგვიშალა ზამთრის მოახლოებამ და მთაში თოვლის მოსვლამ, ამიტომ უპავ მაშინ დაგვაგმეთ შემდეგი აქტების სავარაუდო სკლა გეზი – აჭარა-სამცხე-იმერეთი.

მოგზაურობის პირველ დღეს შევხდით ბათუმისა და სხალთის (ამჟამად ბათუმის და ქობულეთის) მიტროპოლიტს დიმიტრის, რომელმაც დიდი სიობოთი და სიყვარულით მიგვიდო და დაგვლოცა. ექსპედიციას აჭარის უმაღლეს საბჭოში შეხვედრა მოგვიწყო აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა მიხეილ მახარაძემ, შეხვედრას ესწრებოდნენ ბატონები მათე ტაკიძე (ამჟამად აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი) და პროფესორი ბიჭიკო ლიასამიძე. აღსანიშნავია ბატონი მათეს დიდი ყურადღება ჩვენი ექსპედიციისადმი. ის გვიან დამით დაგვხდა, მოგვაწყო სასტუმროში და მთელი ექსპედიციის განმავლობაში გვეხმარებოდა სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხის გადაწყვეტა-მოგვარებაში.

2004 წლის 24-25 ნოემბერს საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკის და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტის თაოსნობით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი “ქრის-

ტიანობის 20 საუკუნე საქართველოში”, სადაც დევი ბერძენიშვილმა წაიკითხა მოხსენება – “წმინდა ანდრია მოციქულის ნაკვალევი საქართველოში”, რომელშიც შეაჯამა პირველი სამი ექვედიციის შუალედური შედეგები. წინამდებარე წიგნში განმეორებით ვაქვაცნებოთ ამ სამეცნიერო ნაშრომს.

2005 წლის 29 იანვარს ბატონი ვახტანგ ლიჩელის (არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო ექსპედიციის ხელმძღვანელი, პროფესორი) თაოსნობით დაბა აწყურში მოეწყო სამეცნიერო შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა პრობლემას: „არქეოლოგია და რელიგია შავი ზღვის რეგიონში”. შეხვედრაზე მიწვეულები ვიყავით ბატონი ნ. ვაჩეიშვილი (კულტურის მინისტრის მოადგილე), ბატონი გ. გრიგოლია (სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი), ქალბატონი ნ. ლამბაშიძე (ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფრ. მეცნიერ თანაშრომელი) და წმ. ანდრია პირველწოდებულის გზის მკვლევი სამეცნიერო ექსპედიციის წევრები – ბატონი დ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით. შეხვედრას ვერ დაესწრო ბატონი ნ. ვაჩეიშვილი. ბატონმა ვ. ლიჩელმა დაგვათვალიერებინა აწყურის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრები. ვნახეთ ძველი ეკლესიის ნაკვალევი და შესანიშნავი, ახალი ტაძრის ნანგრევები. ჯაუფის წევრები ავედით და გადავიდეთ აწყურის ციხე. დღის მეორე ნახევარში გაიმართა სამეცნიერო შეხვედრა. მოხსენებები წაიკითხეს: ვ. ლიჩელმა – წმ. ანდრია სამცხევში, დ. ბერძენიშვილმა – წმ. ანდრია პირველწოდებულის გზები საქართველოში, ნ. ლამბაშიძემ – წმ. ანდრია მოციქული – ეთნოლოგიური ხედვა, გ. გრიგოლიამ – წმ. ანდრია პირველწოდებული და ხალხური ტრადიცია. მოხსენებების შემდეგ გაიმათა დისკუსია, რასაც მოჰყვა გულთბილი ვახშამი. გვიან დამით დავბრუნდით თბილისში.

## **IV მასპედიცია**

როგორც მოგახსენეთ, III მოგზაურობაში ვერ მოხერხდა ექსპედიციით გათვალისწინებული მარშრუტის სრულყოფილად გავლა. ამის გამო IV ექსპედიციის მარშრუტი დაახლოებით იმეორებდა წინა მოგზაურობის სვლაგეზს მცირე დამატებებით. იმავე მიზეზის გამო წინა ექსპედიციის ჩატარებისათვის მიღებული სახელმწიფო გრანტიდან დაგვრჩა აუთვისებელი თანხა, რომელსაც დაემატა კერძო შემოწირულობები, რითაც დაფინანსდა უკვე IV მოგზაურობა. ჩვენი ექსპედიციის სპონსორები იყვნენ: დათო შენგელია, ზურაბ ოდილავაძე, თემურ ბერიშვილი, ბესარიონ ბერიძე, ავთანდილ მჭედლიანი, კახა ჩიქვინიძე, დავით ოძელაშვილი, დავით კაკაბაძე, თემურ კაპანაძე, მალხაზ ნიქაბაძე. ექსპედიცია შედგა 2005 წლის 20 – 27 სექტემბერს და მონაწილეობდნენ: სამეცნიერო ხელმძღვანელი, ისტორიკოსი დევი ბერძენიშვილი, ჯიხეთის დედათა მონასტრის წინამდღვარი არქიმანდრიტი ანდრია (კბილაშვილი), კოორდინატორი და ტექნიკური დირექტორი მიხეილ ფხაჭიაშვილი, არქეოლოგი გივი ბოლქვაძე, ისტორიკოსი ელდარ ბუბულაშვილი, ალპინისტი თამაზ შარაშენიძე, ფოტოფურნალისტი გიორგი ფხაჭიაშვილი და ოპერატორი ჯაბა კლდიაშვილი, მძღოლი ელიზბარ გოგოლაძე (თავისი კუთხით მიკროაგებული). მოგზაურობაში მონაწილეობა ვერ შეძლო ექსპედიციის მოძღვარმა დეკანოზმა ბასილ (ქორეიკაშვილმა). ჩვენ ვთხოვთ მამა ანდრიას (კბილაშვილს), რომელიც სიამოვნებით დაგვეთანხმა და ძალის დიდი დახმარება გაგვიწია, როგორც მოძღვარმა და ორგანიზატორმა მთელი რიგი პრობლემების (საკითხების) მოგვარება-გადაწყვეტაში. ხულოში ისევ, როგორც ადრე, თბილად მიგვიღო, გვიმასპინძლა და მეგზურობა გაგვიწია დეკანოზმა მირიან (სამხარაძემ), სოფელ საციხეურში ჩვეული ქართული სტუმარმასპინძლობით დაგვხვდა და თავის სახლში დაგვაბინავა ბაგონმა შოთა შავაძემ. ის ორი დღის განმავლობაში გვიწევდა

კვალიფიცირებულ მეგზურობას, გვაწვდიდა ჩვენი ექსპედიციისათვის მეტად საჭირო ინფორმაციას ადგილობრი ტოპონიმიკაზე და ტრადიციებზე, გვეხმარებოდა მთელი რიგი საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტაში.

ექსპედიციის მარშრუტი ასეთი იყო: თბილისიდან გავემგზავრეთ გურიაში, ჯიხეთის დედათა მონასტერში, სადაც თბილად მოგვიღო მამა ანდრიამ; მონასტრიდან გავემგზავრეთ მარტივილში, საიდანაც მოგბრუნდით ისევ გურიაში, ხრიანეთში, სოფელ ოხოჯურში, იქიდან კურორტ ბობოვგათის გავლით დამით ჩავედით ბათუმში; ბათუმიდან კიდევ ერთხელ მოვინახულეთ გონიოს (აფსაროსის) ციხეში წმ. მოციქული მატათას საფლავი და გვიან დამით ჩავედით ხულოში; ხულოდან ავედით დიდაჭარაში; დიდაჭარიდენ ავუყევით ჯერ მდ. ლორჯომის წყალს და შემდეგ მდ. ნაფლატის წყალს და მივედით სოფელ საციხეურში; საციხეურის, ლორჯომის, ვანაძეების და აგარის რეგიონების დავალიერების შემდეგ, საციხეური-აგარა-ნათელათი-კუნძულეთი-წითელტბა-ქვაბიჯვარით ამოვედით არსიანის ქედის უნაგირზე და დავეშვით მდ. ქვაბლიანის ხეობაში, სოფელ მოხეს გავლით ჩავედით ადიგენში; ადიგენიდენ მანქანით ჩავედით კურორტ აბასთუმანში, საიდანაც ისევ ზეკარის უდელტეხილის გადალახვით ჩაგვდით კურორტ საირმეში, სადაც სანატორიუმში დავისვენეთ; მეორე დღეს დავათვალირეთ საირმის შემოგარენი, შემდეგ ვარციხე (როდოპოლისი) ციხის გავლით მოვიღოცეთ გელათისა და მოწამეთას მონასტრები, შეადამით დავბრუნდით თბილისში.

IV ექსპედიცია დაგიწყეთ ჯიხეთის დედათა მონასტერში ყოვლადწმინდა დვთისმშობლის შობის დღესასწაულისადმი მიძვნილი დამისთევის საზეიმო წირვაზე დასწრებით. ჯგუფის ზოგიერთი წევრი ეზიარა. სიმბოლური იყო, რომ მსახურება შეასრულა მამა ანდრიამ, რომლის მფარველი ანგელოზი წმ. ანდრია პირველწოდებულია. დილით საზეი-

მო ტრაპეზის შემდეგ დავათვალიერეთ მონასტრის მეზეული; წმ. მოციქულის შესახებ წყაროებში და გადმოცემებში ნახსენებია მარტვილი, ამიტომაც გავემგზავრეთ სამეგრელოსკენ – მარტვილში, იქ დავათვალიერეთ მარტვილის საკათედრო ტაძარი, ჩვენი უკრადდება განსაკუთრებით მიიპყრო მარტვილის მცირე ძველმა ტაძარმა (VII ს.), რომელიც დაკავშრებულია წმ. ანდრია მოცუქულზე არსებულ გადმოცემასთან, შემდეგ დავათვალიერეთ მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სადაც მოგვიყვნენ ზეპირი გადმოცემა იმის შესახებ, რომ წმ. მოციქულს მოუჭრია დიდი მუხა (ჭყონი), მასთან მდგომო ბომონი “კაპუნია” კი გაუნადგურებია და მის ადგილზე აღუმართავს ჯვარი.

მარტვილდან გამოვბრუნდით გურიაში – ხრიანეთში, სოფელ ოხოჯურის წმ. ანდრია პირველწოდებულის ეკლესიის სანახავად; სასაფლაოს შუაში მდებარე სანახევროდ დანგრეული ერთნავიანი დარბაზული ეკლესია დევის წინასწარი მოსაზრებით დაახლოებით X-XII სს-ებს უნდა განეკუთნებოდეს; მამა ანდრიამ გადაიხადა მცირე პარაკლისი და გავემგზავრეთ ბათუმისაკენ. გზად გავიარეთ კორორტ ბობოვათში, სადაც ისვენებდა სრულიად საქართველოს პატრიარქი ილია II. მან დიდი სიყვარულით მიგვიდო, მოისმინა ჩვენგან ინფორმაცია ექსპედიციის მიმდინარეობის შესახებ და გზაზე დაგვლოცა.

ბათუმში ბატონი მათე ტაკიძის დახმარებით მოვეწყვეთ სასტუმრო “ბაკურში”; სადამოთი ვახშამზე მიგვიწვიეს ჩვენი ჯგუფის წევრის, ელდარ ბუბულაშვილის, ნათესავებმა; დილით ბატონმა მათემ ტაკიძემ დაგათვალიერებინა ბათუმის თამარის ციხე და მის ტერიტორიაზე აგებული ეკლესია, გავეცანით რელიგიის მუზეუმს; შემდეგ ბ-მა მათემ მიგვიწვია ახალ კინოგატრში გ. დოლოძის მიერ აღდგენილი ფილმის პრეზენტაციაზე; კიდევ ერთხელ მოვინახულეთ გონიოს ციხე, იქ შევხვდით თურქეთში გადამდებ

ჯგუფთან (რეჟისორი კარლო დლონტი და ოპერატორი ირაკლი ონოფრიშვილი) ერთად მიმავალ “ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის” გამგეობის თვემჯდომარეს აკადემიკოს დავით მუსხელიშვილს; ორ საათში ჩავედით ხულოში, სადაც ისე, როგორც წინა წელს, მიგვიღო და დაგგაბინავა მამა მირიანმა (სამხარაძემ); დილიდან მოყოლებული მთელი დღე გავატარეთ ტრანსპორტის (ცხენების ან ორხიდიანის მანქანის) ძებნაში, რათა დიდაჭარიდან მთა-მთა, არსიანის ქედის გადალახვით გადავსულიყვანით ჯერ ადიგენში, ხოლო შემდეგ იქიდან ავსულყავით ფერსათის ქედზე “რკინის ჯვარზე”, ბოლოს მამა ანდრიამ, როგორც იქნა, მონახა ხულოს გამგებელი ბატონი ტარიელ აბულაძე, მან მიგვიღო, დიდი ყურადღებით მოგვისმინა და გადაგვიჭრა ეს პრობლემა. გამოვიყენს საავადმყოფოს “უაზი”, რითაც გავემგზავრეთ საციხეურის საკრებულოს თავმჯდომარესთან – ბატონ შოთა შავაძესთან; როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბატონი შოთამ დიდი დახმარება გაგვიწია, ყველა თავის სახლში დაგვაბინავა, ჩაგვაწერინა საციხეურის, აგარის და ლორჯომის თემებში არსებული გვარები, ამ სოფლების შემოგარენის – ნაეკლესიარების (ქილისების), როგორც აქ ეძახიან, ნაციხეარების, მთების, მდინარეების და წყაროების ტოპონიმიკა, ჩაგვანიშნინა უკელა ის მარშრუტი, რომლებითაც შეიძლება ფერსათის ქედზე, ზეკარის უდელტეხიზე მოხვედრა.

მეორე დღეს მისი მეგზურობით დაგათვალიერეთ და გადავიდეთ ჯვართანას და ვანაძეების ნასაყდრალები, პერანგშემოძარცული, ეკლესიების ნანგრევები (დევის მისაზრებით ორივე განვითარებული შემა საუკუნეების); ნამონას-ტრევში გვაჩვენეს ადგილი და შენობის ნანგრევები, სადაც გადმოცემით იყო მონასტერი და იქვე ნაპოვნი უხეშად დამუშავებული სქელკედლა ქოთნები თუ კათხები; მანქანა გაგვიფუჭდა და ამიტომ ვერ ვნახეთ პანტნარში ჯორჯი-კეთოან ჯვართანისა და ნასაყდრის მსგავსი ქილისა; ფე-

ხით დაგბრუნდით საციხეურში; ცხენები აქაც ვერ ვიშოვეთ. შოთას მმამ დიდი გაჭირვებით მანქანა შეაკეთა და შევუდებით მზადებას; სამი მარშრუტიდან: 1. ვანაძეები – ღორჯომი – საყველაფერდი – ნასოფლარი – ყვირალი – კიკიბოს მიმართულება, 2. საციხეური – აგარა – ნათელათი – მოსავლეთი – ნაილავი – კუნძულეთი – წითელტბა – ქაბიჯვარი – მოხე – დერცელის მიმართულება, 3. საციხეური – გელაური – ველათი – ხანუმის გზით – კეოვანი ან საციხეური – პანტნარი – ჯორჯიკეთი – რიყეთი – გოდერძის მიმართულება, ჩვენ ავირჩიეთ მე-2 მიმართულება; დილით შევუყვით არსიანის ქედისაკენ აღმართს, გარკვეულ ადგილებში მანქანას უჭირდა და ჩვენ ფიხით მიუყვებოდით გზას, საციხეურისა და აგარის გარდა, ყველა დასახლება საზაფხულო იაილებია, წითელტბიდან კარგად დაგათვალირეთ და გადავიდეთ ქვაბიჯვარი; დღის მეორე ნახევარში ავედით არსიანის ქედზე, ნაომრის ველზე, რომელიც ზღვის დონიდან 2000 მეტრზე; მარცხნივ ჩანს კიკიბო, პირდაპირ დერცელი და მოხე, სამრეთ-აღმოსავლეთით – ზარზმა, უდე, შორს – თურქეთის საქართველო, მდ. ფოცხოვის ხეობა, უფრო შორს კი – ერუშეთის ქედის ფრაგმები ნისლში; ჩვენზე მომაგრებული მანქანა და შოთა შავაძე აქედან უკან უნდა დაბრუნდნენ, მოხემდე მინიმუმ 30 კილომეტრია, ასეთი ტვირთით, ფეხით მოხემდე, უმეგზუროდ ჩასვლა ძალიან გაგვიჭირდებოდა; გადავწყვითეთ ბატონ ტარიელ აბულაძესთან დარეკვა. ბედად მალევე დაგუპაშირდით. მან ოპერატიულად დაგვაკავშირა აღიგენის გამგებელს ბატონ ალექსანდრე სუხიაშვილს; გამგებელმა ჩაიწერა ჩვენი ტელეფონის ნომერი და უკვე ცოტა ხანში დაგვიკავშირდა მოხეს გამგებელი, რომელიც შეგვპირდა მანქანის გამოგზავნას; სანამ მანქანა ამოგვაკითხავდა, გავშალეთ სუფრა, დავილოცეთ, დავემშვიდობეთ შოთას და მძღოლს; 2-3 საათის ლოდინის შემდეგ დიდმა სამხიდიანმა მანქანამ ამოგვაკითხა და საკმაოდ რთული რელიფ-

ფის გზით ჩავედით მოხეში; იქ გაირკვა, რომ მთაში აცი-  
ვებულა და მეჯოგები ბარში ჩამოსულან. შეგპირდენ,  
რომ მომავალ წელს ივნისის ბოლოს ოუ ჩავალთ მოხეში,  
დაგვახვედრებენ ცხენებს და ოვით მოხეს გამგებელი გვი-  
მეგზურებს; გვიან დამით ჩავედით ადიგენში, მოვეწყვეთ  
სასტუმროში; დილით ორი “ვილისით” ჩაგვიყვანეს აბას-  
თუმანში, სადაც გადავსხედით სასწრაფო დახმარების  
“უაზში” და ზეკარი-“რკინის ჯვრის” უღელტეხილის გა-  
დავლით ჩავედით კურორტ საირმეში.

როგორც შეთანხმებულები ვიყავით ჩვენი მძღოლი ელიზ-  
ბარი საირმის თავზე დაგვხვდა; მამა ანდრიას ახლობლე-  
ბის დახმარებით დამე სანატორიუმში გავათენეთ; დილი-  
დან დავათვალირეთ საირმე და მისი შემოგარენი; ჩავუყე-  
ვით მდ. წაბლარის წყალს სოფელ წაბლარისხევში, რო-  
მელთანაც ახლოს ადგილ მამანეთში ვნახეთ ნამონასტრა-  
ლის კვალი, შემდეგ დავათვალირეთ ადგილი უდაბნო, სა-  
დაც ნაეკლესიარს უჩვენებენ, ვნახეთ ქვა, ნამდვილად სტე-  
ლის ნაწილი, ჩავიწერეთ ტოპონიმი “დიაკვნის ხიდი”; დე-  
ვიმ გამოთქვა აზრი, რომ აქ შეიძლება მართლაც იყო ეპ-  
ლესია და ეს ადგილი ნამონასტრევს ჰგავს; მამა ანდრიას  
ჯიხეთის მონასტრიდან მანქანით მოაკითხეს, დიდი სიყვა-  
რულით დაგემშვიდობეთ ერთმანეთს; ჩვენი მანქანით გავემ-  
გზავრეთ ქუთაისში, მოვილოცეთ გელათი და მოწამეთა  
და გამთენისას დაგბრუდით თბილისში.

IV მოგზაურობაშიც ვერ მოხერხდა დაგეგმილი მარშრუ-  
ტის ბოლომდე გავლა. ამიტომ მომავალი წლისათვის გა-  
დაგწყვიტეთ, სამკაციანი ჯგუფით (დევი ბერძენიშვილი, მი-  
ხეილ ფხაჭიაშვილი და ოპერატორი) მოხეში ჩასვლა და  
დარჩენილი მოხე-დერცელი-მამლისმთა-ფერსათის ქედი და  
“რკინის ჯგარი” მონაკვეთის გავლა.

მოგზაურობიდან დაბრუნების ორი თვის თავზე დევი ბერძენიშვილმა წაიკითხა მოხსენება II საერთაშორისო სიმპოზიუმზე – “ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწ-მყო, მომავალი”, რომელიც ჩატარდა 24-26 ნოემბერს საქართველოს საპატიორქოს, საქართველოს მარლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული “ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის” და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თაოსნობით. ავტორის ანალიზით წმ. ანდრია პირველწოდებულთან დაკავშირებული ქართული ტრადიციული გადმოცემები, მატერიალური კულტურის ძეგლები და ტოპონიმების მონაცემები ნასახრდოებია (დაფუძნებულია, მომდინარეობს) ძველი ისტორიული წერილობითი წყაროებით, ხოლო წერილობითი ტრადიცია ძევრს იღებდა ხალხური გადმოცემებისაგან. წინამდებარე წიგნში განმეორებით ვაქვეყნებთ ამ სამეცნიერო ნაშრომს.

განვლილი ამ ოთხი ექსპადიციის შემდეგ შევაჯერეთ წმ. ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლისა და მოგზაურობის შესახებ არსებული ისტორიული წყაროები და გადმოცემები ჩვენი მოგზაურობების შედეგებთან, რამაც მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელი იყო სამეცნიერო კალევის თურქეთში გაგრძელება. აერძოდ, თურქეთის საქართველოში, რათა გვენახა, შეგვესწავლა და გაგვევლო ის ისტორიულ საქარავნე გზები, რომლებიც I საუკუნისათვის შემოდიოდა იმუამინდელ საქართველოში და რომლითაც შეიძლება ესარგებლა წმ. ანდრია მოციქულს. საჭირო იყო აგრეთვე ამ გზების გავლისას გამოგვეავლია ყველა ის პუნქტი, რომლებზეც საუბარია წყაროებში, მოგვეხდინა ამ ადგილების ძველი და ამჟამინდელი სახელების იდენტიფიცირება, ადგილზე შეგვესწავლა და დაგვეგინა, თუ რა კავშირი აქვს წმ. ანდრია მოციქულის მოლვაწეობას ტაო-კლაჯეთის უნიკალურ მემკვიდროებასთან, როგორც საეკლესიო ძეგლებთან, ასევე ისტორიულ

საფორტიფიაციო და საერო ნაგებობებთან. ეს ყველაფერი გამომდინარეობდა იქიდან, რომ ანდრია პირველწოდებული საქართველოში შემოვიდა რომის იმპერიის საზღვრებში მყოფი აღმოსავლეთ ანატოლიის, ისტორიული პონტოსა და ლაზიკის რეგიონებიდან, რომლებიც ამჟამინდებული თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიას წარმოადგენენ. ამიტომაც შემდეგი ექსპედიაცია დაიგეგმა თურქეთში. დევი ბერძენიშვილთან შეთანხმებით გავაკეთე სავარაუდო მარშრუტის მაკეტი, რომელიც დევიმ მოიწონა.

მე, როგორც ექსპედიციის კოორდინატორს და ტექნიკურ დირექტორს, დამევალა ექსპედიციის ხარჯთაღრიცხვის შედგენა და საჭირო აღჭურვილობის შეძენა-მომარაგება. 2006 წლის ზაფხულიდან თურქეთის ანუ მეტუთე ექსპედიციის პროექტი მზად იყო და დავიწყეთ საჭირო თანხის მოძიება. ხარჯაღრიცხვამ საკმაოდ სოლიდური თანხა შეადგინა, ამიტომ სპონსორის მოქმედი ძალიან გაჭირდა. თავდაპირველად ექსპედიციის ხანგრძლივობა დავყავით ორთვენახევრიან ეტაპად: პირველი – ტრაპიზონის რეგიონი და ისტორიული ლაზიკა, ართვინი, შავშეთი, კლაჯეთი, ტაო, არტაანი, კოლა, ყარსისა და ერზრუმის რეგიონები, კაბადინია, ანკარის რეგიონი, შავი ზღვის სანაპირო, სინოდიდან ტრაპიზონამდე; მეორე – სამხრეთი და დასავლეთი თურქეთის რეგიონები სტამბულის ჩათვლით; საექსპედიციო ჯგუფი ითვალისწინებდა 10 წევრს, სატრანსპორტო საშუალება კი ორი მანქანის (ჯიპის) დაქირავებას.

## V გესპედიცია

2007 წლის დეკემბრიდან 2008 წლის ბოლომდე საქართველო აღნიშნავდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ადსაყდრებიდან 30 წლისთავს. ამ საიუბილეო თარიღის აღნიშვნასთან დაკავშირებით დაიგეგმა მთელი რიგი ღონიძი-

ებები, რომელთა ნუსხაშიც მოხვდა ჩვენი პროექტი. მაგრამ დაფინანსებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო სარჯთაღრიცხვაში შეტანეთ ცვლილები: მონაწილეთა რიცხვი შევამცირეთ 7 კაცამდე, სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით გადაწყვდა ერთი მანქანის (ჯიპის) შექმნა და არა დაქირავება. ცვლილებები მოვახდინეთ ეჭ-სპედიციის მარშრუტში და ხანგრძლივობაში. გადაწყვდა ეჭ-სპედიციას ემოგზაურა თურქეთის ქართულ რეგიონში და შავი ზღვის სანაპიროზე თვენახევარი ორი თვის განმავლობაში. ამ ცვლილებების შემდეგ 2008 წლის გაზაფხულზე დადებითად გადაწყვდა ჩვენი პროექტის დაფინანსება, მივიღეთ ისევ სახელმწიფო გრანტი.

ექსპედიციაში გამგზავრებამდე დევი ბერძენიშვილმა, ელ-დარ ბუბულაშვილმა, მიხეილ ფხაჭიაშვილმა და თამაზ შარაშენიძემ მივიღეთ მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციაში – “წმიდა ანდრია პირველწოდებულის გზით”, რომელიც გაიმართა 2008 წლის 2-4 მაისს ხულო-დიდაჭარაში, სხალთის ეპისკოპოსის სპირიდონის (აბულაძე) ლოცვა-კურთხავით. დევი ბერძენიშვილმა წაიკითხა მოხსენება – “ქართული ტრადიცია წმინდა ანდრია პირველწოდებულის შესახებ”, ელდარ ბუბულაშვილმა კი “წმ. მოციქულთა სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები საქართველოში”. დევი ბერძენიშვილის სტატიას განმეორებით გთავაზობთ წინამდებარე წიგნში.

2008 წლის მაისში შევიძინეთ ექსპედიციისათვის საჭირო მანქანა (ჯიპი “ტოიოტა-ლენდ კუუიზერი”), რომელიც დაკომპლექტებული იყო 7 საჯდომი საგარმელით და საექსპედიციო აღჭურვილობა. საკმაოდ დიდი ხანი ველოდეთ თურქეთის კულტურის სამინისტროსაგან თურქეთის ტერიტორიაზე პროფესიონალური კიდევოკამერით გადაღების უფლებას, რომელიც ბოლოს და ბოლოს, თითქმის ერთი თვის ლოდინის შემდეგ მივიღეთ, რაშიც დიდი დახმარება

გაგვიწიეს თურქეთში საქართველოს ელჩმა ბატონმა გეგა მგალობლიშვილმა და მისმა თანამშრომელმა ბატონმა ზურაბ ბატიაშვილმა. 3 ივლისის საღამოს 22<sup>30</sup> საათზე ექსპედიცია მოედი შემადგენლობით დაიძრა თბილისიდან საჩხერისკენ, სადაც გვიან დამით მეუფე დანიელმა დაგვლოცა გზაზე. გამოენისას 0600 საათზე ჩვენ გადავპეტეთ თურქეთის საზღვარი და დაახლოებით 1000 საათზე ჩავედით ტრაპიზონში, მოვაწყვეთ სასტუმროში “იუკანში”, დავისვენეთ და საღამოს ვესტუმრეთ ტრაპიზონში საქართველოს საელჩოს გენერალურ კონსულს ბატონ ავთო მიქაცაძეს. საკონსულოში შეხვედრამ მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა, ჩვენ ბატონ ავთო მიქაცაძეს და მის თანამშრომლებს მოვუყევით ექსპედიციის შინაარსი, მათ აღგვითქვეს ყოველგვარი დახმარება. საღამო დასრულდა გახშამითა და დამის ტრაპიზონში გასეირნებით.

V მოგზაურობის მარშრუტის შესახებ ინფორმაციას მოგაწვდით მოკლედ, სქემატურად, რაღაც ბატონი დევის დღიურში ეს ყოველივე დიდი პროფესიონალიზმითა და სიზუტით აქვს გადმოცემული. ჩვენმა მანქანამ, რომელსაც დევი ბერძენიშვილმა “თარეშა” დაარქვა, გაიარა ასეთი სვლაგეზი: ტრაპიზონი – მაჩკა (სუმელა, ბაზელონი) – ზიგანას უდელტეხილი – გუმიშხანე (ყოფილი არგიროპლოსი) – აიდინოვე – ბაიბურთი – ისპირი (ყოფილი სპერი) – დაბბაშის უდელტეხილი – რიზე – ხოფა – ართვინი – ბორჩხა – მურატლუ – ართვინი – არტანუჯი – ართვინი – პარხალი – იუსუფელი – ძდ. თორთომის ხეობა – იუსუფელი – ერზრუმი – პასინლარი (ყოფილი ბასიანი) – ერზრუმი – “გიურჯი ბადაზის” (“ქართლის გზა”) უდელტეხილი – შავშათი (ყოფილი სათლე) – ართვინი – კლარჯეთი – ართვინი – ოლთისი – ნარმანი – ოლური – ჩატაქსუ (ყოფილი ტაოსკარი) – ოლური – ფანასკერტი – აგუნდირის უდელტეხილი – კოლა – არტაანი – ფოცხოვი – არტაანი – ჩილდირის ტბა – ყარსი – ერზრუმი – კოპის უდელტეხილი (ქალდიის კარიბჭე, ძდ. ჭოროხის სათავეები)

– ბაიბურთი – შებირყარაპისარი (ყოფილი კოლონია) – ნიქსარი (ყოფილი ნეოკესარია) – გიუმენეკი (ყოფილი კომანი) – თოხათი (ყოფილი კუპუსო) – ამასია – სამსუნი – სინოპი – სამსუნი – ტრაპიზონი – ბათუმი – ახალციხე – ახალქალაქი – თბილისი.

ერზრუმში დროებით დაგვტოვა მეგზურმა და თარჯიმანმა დაუდმა, რომელიც ათი დღით, პირადი საქმეების გამო, წავიდა სტამბულში. ის შეცვალა, თურქეთში, ქ. ართვინიში გაზრდილმა, ამჟამად, თბილისელმა ვახტანგ საღინაძემ. რადგანაც დაუდი მძღოლის მოვალეობასაც ასრულებდა, საჭესთან ის შეცვალეთ მე და თამაზ შარაშენიძემ. ერზრუმიდან გზად შავშეთისაკენ გავიარეთ, დავათვალიერეთ და გადავიდეთ საქართველოში შემოსასვლელი ძველი საქართველო გზის ნაწილი უდელტეხილი “გიურჯი ბოლაზი” (“ქართლის გზა”), გვიან დამით ჩავედით ქ. შავშათში (ყოფილი საოლე).

8 აგვისტოს არტაანის სასტუმროში ჩემთან ნომერში შემოვარდა კახა იმნაიშვილი და მითხრა, რომ ომი დაიწყო რუსეთსა და საქართველოს შორის. ყველამ სასაწრაფოდ გადავრეკეთ თბილისში. 8 აგვისტოდან, ომის დაწყებასთან დაკავშირებით ჩვენი ჯგუფის ყველა წევრს წარმოეშვა პირადი პრობლემები, ყველასთვის ძალიან გაჭირდა თურქეთში დარჩენა, მაგრამ პასუხისმგებლობის გრძნობამ მიგვაღებინა ერთადერთი სწორი გადავწყვიტილება, რომ ასეთი წარმატებული ექსპედიციის შეწყვეტა არ შეიძლებოდა.

16 აგვისტოს სადამოს 1800 საათისათვის ჩავედით ტრაპიზონში, მოვეწყვეთ სასტუმრო “ნაზარში”, დავისვენეთ. შემდეგ დავრეკეთ საქართველოს გენერალურ კონსულთან, ბატონ ავთო მიქაცაძესთან, რომელმაც გვითხრა, რომ 1900 საათზე რუსეთის საკონსულოსთან, ტრაპიზონის ქართველობა აწყობდა საპროტესტო მანიფესტაცია-მიტინგს. ჩვენც სასწრაფოდ მოვემზადეთ და წავედით რუსეთის საკონსუ-

ლოსთან. დევი ბერძენიშვილი ძალიან გახარებული იყო, რომ მიტინგს მივუსაწარით. მანიფესტაციის შემდეგ ბატონმა აკომ მიგვიწვია საკონსულოში, სადაც პირველად ვუ-ურეთ ტელევიზია “იმედს”, ვნახეთ ის შემზარავი კადრები, ქართულად მოვისმინეთ, რაც გვჭირდა, რაც ხდებოდა საქართველოში. უკანა გზაზე ვივახშეთ და ძალიან დაზიანები დავბრუნდით სასტუმროში, დავგეგმეთ მეორე დღე, 17 აგვისტო. გადაწყვდა, რომ ერთ დღეს დავისვენებდით ტრაპიზონში და 18-ში დავბრუნდებოდით სამშობლოში ბათუმი-გოდერძის უდელტეხილი-ახალციხე-ახალქალაქი-წალკა-თბილისის გზით, რადგანაც გორი-თბილისის მონაკვეთი რუსი ოკუპანტების ხელში იყო. ყველა გავნაწილდით ჩვენ-ჩვენს ნომრებში. 1200 საათი ხდებოდა, რომ შეშფოთებული ელდარ ბუბულაშვილი შემოვარდა ჩემთან ნომერში და შეშინებულმა მითხვა, რომ დევი იატაკზე დაუცა და ცუდად არის. სასწრაფოდ მე და თამაზ შარაშენიძე გავციგდით დევის ნომერში, იქ დაგგხვდნენ კახა იმნაიშვილი და დათო ასათიანი, რომლებსაც დევი წამოეუენებინათ და საწოლზე დაესვათ, მას გონება ჰქონდა დაკარგული, კახამ წნევა გაუზომა, რომელიც საკმაოდ მაღალი იყო, როგორც ჩანს, დევის თავში სისხლი ჰქონდა ჩაქცეული. გამოჩნდა დაუდიც. მე ტელეფონით ველაპარაკე საკონსულოს თანამშრომელს ბატონ გიორგი უშიტაშვილს, მან გამომკითხა, რომელ სასტუმროში ვიყავით. ძალიან მალე ბატონი გიორგი სასწრაფო დასმარების ექიმთან ერთად დევის ნომერში იყო. ექიმმა დევის გასინჯვის შემდეგ მოითხოვა მისი პოსპიტალიზაცია, რაზეც ჩვენი თანხმობა მიიღო. ქალაქის საავადმყოფოში ის მოათავსეს მიმდები განყოფილების ინტენსიურ პალატაში და დაიწყო მისი მკურნალობისათვის საჭირო პროცედურების ჩატარება; თავიდან თითქოს საქმე კარგად მიღიოდა, ბატონ დევისაც უპერესობა დაეტყო, კონტაქტში შემოსვლა უნდოდა, მაგრამ შემდეგ დაიწყო გაუარესება, განვითარდა ინფარქტი.

მორიგე ექიმმა დევის მდგომარეობა უიმედოდ ჩათვალა. ჩვენ მოვეთათბირეთ გიორგი ყუშიტაშვილს და ექიმთან შეთანხმებით საავამყოფოს რეანიმობილით დევი გადავიცვანეთ საუნივერსიტეტო კლინიკაში. დევი კლინიკაში მიჟვანისთანავე პირდაპირ რეანიმაციაში მოათავსეს, ელდარი და თამაზი, რომლებიც რეანიმობილში იჯდნენ, რაღაც ნაირად კლინიკის შენობაში მოხვდნენ. დანარჩენები, გიორგი ყუშიტაშვილის გარდა, საავადმყოფოს შენობაში არ შეგვიშვეს, დავრჩით ყველანი კლინიკის ეზოში. ჩვენ შემოგვიერთნენ ბატონო ავთო მიქაცაძე და საკონსულტოს თანამშრომლები, რომელთა სიყვარული და დიდი პატივისცემა მათთან ნაცნობობის ამ მოკლე პერიოდის განმავლობაში მოეპოვებინა ბატონ დევის. დაახლოებით 20-30 წუთის შემდეგ კლინიკის შენობიდან გამოვიდა აცრემლებული თამაზი, შემდეგ ელდარი და ბატონი დევის მკურნალი ექიმი, რომელმაც დამწუხებულმა გვითხრა, რომ განმეორებული ინფარქტის შედეგად 17 აგვისტოს 0145 საათზე, ადგილობრივი დროით, გულმხურვალე მამულიშვილისა და საქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკვლევარის დევი ბერძნიშვილის გული, ისტორიული ლაზეთის მიწაზე, საიდანაც წმ. ანდრია პირველწოდებულმა დაიწყო ქართველი ერის მოქცევა, გაჩერდა. მან ვერ აიტანა მისი საყვარელი სამშობლოს მძიმე განსაკლელი და, როგორც ყველა დირსეული სამშობლოს მოყვარული მეომარი, ბრძოლის ველზე დაეცა.

დვთის შეწენით და წმ. ანდრია მოციქულის მეოხებით, დრმა მწუხარების მიუხედავად, ექსპედიციის წევრები სასოწარკვეთილებაში არ ჩავცენილვართ, თუმცა იყო ამისი საშიშროება. კეთილი და გულისხმიერი ადამიანების ავთო მიქაცაძის, გიორგი ყუშიტაშვილისა და თურქეთში, ტრაპიზონის გენერალური საკონსულტოს თანამშრომლების მხარში დგომით შევძლით, დროის დაუკარგავად, დევი ბერძენიშვილის ცხედარის გადმოსვენება სარფში.

კლინიკის ეზოდანვე, 03<sup>00</sup> საათზე, სასწრაფოდ ტელეფონით დავუკავშირდი ბატონ მათე ტაკიძეს ბათუმში, რომელმაც, როგორც ჭეშმარიტმა ქრისტიანმა, გულთან მიიტანა ჩვენი გასაჭირი და ყოველგვარი დახმარება აღმითქვა. დაახლოებით დილის ექვს საათზე სარფის სასაზღვრო ტერმინალის ნეიტრალურ ზონაში დაგვხვდა ბატონი მათე სასწრაფო დახმარების მანქანით. ჩვენ ერთად გადავასვენეთ დევის ცხედარი მანქანაში. ბათუმში გარკვეული პროცედურების ჩატარების შემდეგ დევი ბერძენიშვილის ცხედარი დაგასვენეთ სასწრაფო დახმარების მანქანაში და შევუდეგით თბილისისაკენ მეტად მომქანცველ გზას. წინ მიგვიძოდოდა ბატონი დევის ცხედარი, უკან “თარეშაში” მსხდომნი, მივყვებოდით, ჩვენ, მისი კოლეგები, მოსწავლეები, შეგირდები იმ გზით, რომელიც დაახლოებით 20 საუკუნის წინ გაიარა წმ. ანდრია პირველწოდებულმა. საინტერესოა, დმერთმა ისე ინება, რომ დევი თავის სათაყვანებელ თბილისში ბრუნდებოდა თავისი უსაყვარლესი ჯაგასეთით, რომელიც მისი კვლევების ერთ-ერთი მთავარი საგანი იყო, ის ხომ ამ მხარის სპეციალისტად და დიდ მცოდნედ იყო აღიარებული. უკვე 18 აგვისტო დგებოდა, როცა ბატონი დევი მშობლიურ ქალაქში, ბარნოვის № 150-ში (ამჟამად ი. აბაშიძის 48) სახლში დაბრუნდა...

წინამდებარე წიგნის წინასიტყვაობის შედგენისას ვისარგებლე ჩემი ჩანაწერებით, რომელსაც ვაწარმოებდი ოთხივე ექსპედიციის დროს, საქართველოს რეგიონების რუკებზე, მოგზაურობისას განვლილი პუნქტების შესახებ, ჩემს მიერ გაკეთებული აღნიშვნებითა და კომენტარებით, ბატონების ნიკა ვაჩეიშვილის მე-2, დევი ბერძენიშვილისა და ელდარ ბუბულაშვილის მე-3 და მე-4 ექსპედიციის ჩანაწერებით და ჩვენი მოგზაურობების დროს გადაღებული ვიდეო და ფოტო მასალებით. რაც შეეხება V მოგზაურობას ვისარგებლე დღიურით, რომელსაც თავად ვაწარმოებდი.

## დეპი ბერძნების დღიური

### 3.07.08

როგორც იქნა, გამოვეტიეთ თბილისიდან. ვართ შვიდი. ჩვენი გამყოლი გურჯი დაუდია<sup>1</sup> (მამის დედით ვუტკარაძე), იცის ქართული, 26 წლისაა, ართვინიდან, თბილისში ჰყავს მეგობრები და აპირებს ქართულ მოქალაქეობას. ბაგრატიონებს<sup>2</sup> დაყვებოდა, მისი მისამართიც ნინომ ჩამიწერა. თბილისი დავტოვეთ დამის 10-ზე. საჩხერეში მეუფე დანიელთან ვიყავით 1-ზე, გამოვიარეთ ბათუმი, სარფი, შეუჩერებლივ ვიარეთ, ტრაპიზონს ჩამოვალწიეთ დილის 7-ზე.

ბათუმიდან სამსუნამდე პლაჟები არაა. მოები ახლოა მოსული ზღვასთან. ხშირია ხელოვნური ყურეები, შექმნილი კლდის დიდი ლოდებით. ეს დელვისაგანაც იცავს ნაპირს და პატარა გემების გასაჩერებელიცაა. რატომ არ აგებენ ასეთებს ჩვენთან? ტრაპიზონში მოვეწყეთ ცენტრში სასტუმრო იუვანში. ეს ქალაქი, შარშან გავლით ნანახი, საკმაოდ კარგი მდებარეობისაა, ვიწრო, მოკირწყლული ქუჩებით, პორტითა და აეროპორტით.

სადამოს ჩვენს კონსულს ვეწვიეთ. ავთო<sup>3</sup> სამსართულიან სახლს არემონტებს. პატარა ეზოში ბამბუკის ფანჩატური აქვს და ფოტოსტენდი. ბევრს ლაპარაკობს და დიდი გეგმები აქვს... გვიმასპინძლა და დამით გავისეირნეთ. ვნახეთ ქალაქის კედელი და ბურჯები დას. მხარეს. აქ, ხევში ძველი სახლები დაუნგრევია ქალაქის მერს და პარკს აშენებს. სახვალიოდ შევიპირეთ ავთო, რომ ერთად დავათვალიერებთ აია სოფიას ტაძარს, მუზეუმს. შეგვპირდა ნავით ზღვაში გასვლას, რომ იქიდან გადავიდოთ ქალაქი.

### 4.07.08

დღეს ქალაქის ციხის კედლებით დავიწყეთ დას-დან.

აქ ეს კედლები მთელ სიგრძეზე მოუყვება ჩრდილო-ეთიდან ზღვამდე. სიმაღლით 25-30-მდეა. წყობა სხვადა-სხვაა, გვიან განახლებული. კოშკ-ბურჯები კუთხოვანია, აკროპოლისის მაღალი კოშკები S-თაა. ყველაზე მაღალ ადგილზეა. ხევში მყოფ სახლებს იღებენ და პარკს აკომე-ბენ. უფრო დას-ით უკვე ქალაქის გალავანია, იმავე სიმა-ღლისა და წყობისა. აქ, ჩრდილოეთისაკენ (ზღვისაკენ) შემოსასვლელი განიერი თაღია, აქ ახლა გზაა. ქალაქი გალავნით იყოფა ზედა, შუა და ქვემო ნაწილად.

ეკლესიები ან აფეთქებული, ან ჯამეებად ქცეული, ქუჩები ვიწრო ერთი მანქანის სიგანისა, ზოგან უფრო ვი-წრო. ახალი ქალაქი აღმ-ით შენდება. აქვეა ახლა აერო-პორტიც. პარკში ვიღაც ფაშის ცხენოსანი ფიგურაა. აქვეა ჯამედ ქცეული ბერძნ. ეკლესია.

აია სოფიის ტაძარი ჯვარგუმბათოვანია. O-ით 3 აფ-სიდაა, შუა ხუთკუთხოვანი. ეკლესიას N, W, და S შესა-სვლელები აქვს თაღოვანი. S შესასვლელის თავზე რელიე-ფებია ადამისა და ევას გამოსახულებებით სცენებია (სა-მოთხიდან გამოძევება...).

შიგნით ფრესკები ნაწილობრივ გადარჩენილია და ყველა კედლებზე ჩამოთვლილია მათი შინაარსები. რატომ არ შეიძლება ეს ჩვენთანაც გაკეთონ? შუაში მოზაიკური იატაკის ფრაგმენტია შემორჩენილი. საკურთხეველთან სა-ფლავის ქვებია. ერთი მათგანი უნდა იყოს მამია გურიელ-ისა, რომელსაც ცოლად ჰყავდა დიდ პალეოლითური ბო-ლო ქალიშვილი.

მთავარი ტაძარი 1250-70 წლებშია აგებული. N-ით იმავე გეგმის მცირე ეკლესია – XIV ს-ში, W-ით 5 სართუ-ლიანი სამრეკლო კოშკი – XV ს-საა. ეზოში გამოფენილია არქ. დეტალები, საფლავის ქვები, ადგილობრივი და სხვა-ნი, მოტანილი; აქვეა წარწერიანი (ბერძნ. სომხ.) ქვებიც. ბრაიერს<sup>4</sup> ნახსენები აქვს გურიელის საფლავის ქვის წარწერაც... ახლა აღარ ჩანს. გამოფენილ ქვებშია 3

გვიანი კაპიტელიც – ესაა სოლომონ II-ის ობელისკის ქვები.

ეს ობელისკი O-ითაა, ქვემო ქალაქში. აქ ეკლესია მდგარა, ის აუღიათ, მის გვერდით მყოფი საფლავები ცაცხვთან დაუსვენებიათ და იქვე აღუმართავთ ობელისკი, რ-ც ძველ ფოტოებზე 7 არშინი სიმაღლისა ყოფილა, 4 სეეტზე დაყრდნობილი გუმბათი.

ამავე ეკლესის სიახლოვეს უნდა ყოფილიყო ანდრიას სახელობის გამოქვაბულის ეკლესია, რომელიც ბრაიერის მიხედვით, ბულვარის გაყვანას შეეწირა.

ანდრიასთან დაკავშირებული მეორე ეკლესიაც ქვემო ქალაქშია; ის მოლა სიიან ჯამეს სახელს ატარებს. სამნავიანი ბაზილიკა შიგნიდან შელესილი, გარედანაც შელესილია. ძველი დატოვებულია მხოლოდ სამი, გარეთ გამოტანილი ნახევარწრიული აფსიდა. ეს ჯამეც მოქმედია და მცველი ჰყავს.

საღამოს ნავი დავიქირავეთ და ზღვიდან გადავიდეთ დამის ტრაპიზონი. ხვალ ორი ეკლესია უნდა მოვინახულოთ ქალაქში, მერე წაგალთ მონასტერში და იქიდან გადავალთ ბაიბურთში. საკონსულომ ტრაპიზონის ძველი ფოტოალბომი გვათხოვა. იქვეა ფოტოები 1890 წ-დან. ჩემი აპარატით გადავიდე 10 სურათი ჩვენთვის საინტერესო აღგილებისა.

## 5.07.08

ტრადიციით ქალაქში კიდევ ერთი ძველი ეკლესიაა, რომელიც ახლა ჯამედაა ქცეული. ესაა იენი ჯუმა ჯამიი – „პირველი პარასკევის ლოცვის დამე“. ეს ეკლესია სამი ნახევარწრიული აფსიდით, გუმბათიანი ეკლესიაა. ის შეკეთებულია შესანიშნავად. აღმ. და სამხრ. მხარეს მოგრძო კოვზისებურღარებიანი ლავგარდანებია. ის მხარეს მათ შერჩენილი აქვთ წრეში ჩასმული და

თავისუფალი ჯვრები. ჩრდ. კედლებში წნული ორნამენტიანი ქვები რესტავრირებისას უაღგილოდ ჩაუსვამთ შიგნიდან.

IV ს-ში ყოფილა ევგენიოსი, რომელსაც დაუმხია კერპი (პერაკლე). ამისათვის ის უწამებიათ და შემდგომში წმინდანად შეურაცხავთ. დიდ კომენტარებს 1204-22 წლებში მისი სახელობის ეკლესია აუშენებიათ, რომელიც 1461 წლიდან ჯამედ გადაუქცევიათ. მთავარ აფხიდაში გაუჭრიათ შესასვლელი კარი, S-კედელში ამოუშენებიათ სარკმლები და შესავლელი. იქვე გაუკეთებიათ მიკრაბი, მოლას ასასვლელი კიბეები. იატაკი დაუფარავთ ხალიჩით.

ამის შემდგომ ქალაქის ცენტრში, ბაზრის ქუჩის შეაში ვნახეთ ხელით ნაკეთები ნაწარმის გამოფენა, იქვე XIX ს-ის დიდი მეჩეთით.

ქალაქის აღმ. ნაწილში მთაზე მოვინახულეთ „ქალ-წულთა მონასტერი“, რომელიც რესტავრაციისა და გათხრების გამო დაკეტილი დაგვიხვდა. დავტოვეთ ტრაპიზონი, ლამაზი და საინტერესო ქალაქი. დილას სასტუმროშივე გადავათვალიერე ძვ. ფოტოებითა და ახალი სურათებით შექმნილი ორი ალბომი. იქიდან შევარჩიეთ ჩვენთვის საინტერესო ძვ. ფოტოები და ჩემი აპარატით გადავიღე.

წამოვედით **სუმელაში**\*. ეს ბერძნული მონასტერი ტრაპიზონის O-ით ჩამომავალი ხეობის სათავეებშია, მის მარცხენა სანაპიროზე მაღალ მთაში. გრანიტის კლდეში

\* შენიშვნა დ. ბერძენიშვილისა: IV ს-ში ორი წმინდანის ღვაწლით იწყება, მერე VI ს-ში არსედება აქ რადაც, რ-საც კომენტსები 13 ს-ში მონასტრად აქცევენ. **სუმელა** – შავი მთაა. სუმელას მთავარი მონასტრის მისასვლელში ერთნავიანი დარბაზული ეკლესიაა, შვერილი, ნახევარწრიული აფხიდით. შესასვლელი S-იდანაა თაღით გადახურული. თითო სარკმელი O და S მხარეს თოხუეთხაა. ეკლესია ძალიან წაგავს ბაზელონის მონასტრის მც. ეკლესიას და შესაძლოა მასავით უფრო ძვ. სკოს, ვიდრე მთავარი.)

ბუნებრივი, მშრალი დრმულია, სადაც აუშენებიათ მონასტერი. გარედან 3-4 სართულიანი კედლები მოჩანს, სადაც სენაკებია დაახლ. 50-მდე ბერისა. ღრმულის შიგნითა, დაცულ მხარეს, მთავარი ეკლესია მარიამწმიდის სახელობისა. საინტერესოა, რომ ის გარედანაც და შიგნითაც მოხატულია. ყოველი ცალკე სცენა მოჩარჩოებულია. შიგნით, ჭერზე ჩვილები ღვთისმშობელია და მის დას-ით მაცხოვარი. ეს ორი ხატი ყველაზე დიდია. შესასვლელს გარედან ჯავარი აქვს რელიეფური (დაზიანებულია) და საღებავით ბერძნული წარწერა.

საერთოდ ამ ტერიტორიაზე 5-მდე მცირე ეკლესია და ბერების სათავსები. გადახურვები ბანურია. წყალი გარედან პქონიათ შემოყვანილი. მოსასვლელი ბილიკი ხევის მარცხენა ნაპირს მიუყვება. მისი ნაწილი ფილაქნით დაუფარავთ. ჩვენ ამ გზით ჩამოვედით, მანქანა – თავისი გზით. ხევსაც მარიამწმიდის სახელი აქვს „მარიმანა“. გვიანი იყო და ბაიბურთში წასკლა გადავითიქრეთ. ხეობაში

ვივახშეთ და იქვე, სასიამოვნო სასტუმროში დავრჩით. აქაურებში ბევრია ქერა, ცისფერთვალება ახალგაზრდები, ეგების ლაზები. ჩვენი დაუდიც წაბლისფერთმიანი, ცისფერთვალა ახალგაზრდაა, მაჭახლის ხეობიდან. ჩხუტუნეთი მეზობლადათ. ამას შეუვარებული პყოლია, რიც ყოველდღე ურეკავს – ხელსა მთხოვენო. ეს სასაყოველთაოდ მიღებული ფანდია გასათხოვარ ქალებში.

## 6.07.08.

დღეს მოგვიანებით გამოვედით მარიმანის ხეობიდან და დავადექით გზას ბაიბურთისკენ. ისევ ხეობებს მივყვებით, რომლებიც წააგავან ჭოროხის აუზს. გზად კიდევ ერთი ბერძნული მონასტრის ნანგრევები მოვინახულეთ. ესაა ბაზელონის. სანამ მასთან მივიღოდით, გზისპირზე კუთხოვანი ციხე-კოშკის ნანგრევი გადავიდეთ.

**ბაზელონის ნამონასტრალი** მთავარ ხევის მარცხენა შემდინარის მარჯვენა ნაპირზეა. მანქანა დავაუენეთ და ფეხით შევუყვევით ბილიქს. გზიდან ისეთივე 3-4 სართულიანი კედლები ჩანდა, როგორც სუმელაში. აქაც სენაკები ადმოჩნდა, ზოგან ბუხრიანები. აქაც ისეთივე ბუხებრივი ეხია ბაზალტის კლდეში, როგორც სუმელაში. აქაა სამნავიანი ეკლესიის ნანგრევი 3 შვერილი აფსიდით. შუაში უფრო დიდია და ყველა ნახევარწრიული, თითო სარკმლით. სახურავი ჩაქცეულია, ალბათ ბანური. შიგნიდან გვიან შეთეთრებულია, თუმცა ფრესკული მოხატვის გვალი დაბლაა შერჩენილი. ჩრდილოეთის კედელზე, გარედან აქაც მოხატულობაა. იქვე სათავსოა, საღაც მრგვალი ვიწრო სვეტის ნატეხი გდია – ალბათ ამით იყოფოდა ნავები. N-ით მოგრძო სატრაპეზოა, რომლის ქვევით საკუჭნაო უნდა ყოფილიყო. ერთგან თითქოს საძვალეცაა. საკუჭნაოდან დაბლა ეზოში გავედით, საღაც მც. ერთნავიანი დარბაზული ეპლესიაა, თაღური გადახურვით. შესასვლელი N-იდან, აფსიდა შვერილი ნახევარწრიული, ერთი სარკმლით. აქ თითქმის მთლიანი დარბაზი შიგნიდან მოხატულია უფრო მუქ ფერებში. დას. კედელზე კარგად ირჩევა დგთისმშობლის მიძინება. ეს ეპლესია უფრო ძვ. შეიძლება იყოს ვიდრე ზედა, სამნავიანი. საერთოდ მისი შეგავსება სუმელასთან მაფიქრებინებს თანადროულობას.

გზა ისევ იწევს, ის ერთგან იყოფა – მიდის კერასუნ-ტისა და სამსუნისაკენ. გზის მარცხნივ თორულის ციხე გადავიდეთ. **კერასუნტ-სამსუნი ქალდიის** თემშია.

**გუმიშხანე-არგიროპოლის-ვერცხლის** ქალაქი სწორედ ამ მაღნებზე მიუთითებს. მას 3-4 ციხე იცავს, სხვადასხვა მხრიდან, მოებზე.

გზა მაღლა იწევს. მარცხნივ კლდეზე ჭანისის ლამაზი ციხე მოჩანს, ის ბაგრატიონების ვებ-გვერდზედაც არის. **სოფ. გეჩიდთან (კაჩიკაია)** იწყება

გადასასვლელი – ავდივართ გაშლილ ზეგანზე, რ-ც წააგავს თრიალეთ-ჯავახეთს. აქ მოყავთ პური, კარტოფილი, ხეხილი არ ჩანს. საძოვრებზე მოთიბული თივა ოთხკუთხა ძნებად აწყვია. გზის მარცხნივ წარწერა მიწისქვეშა ქალაქზე მიგვითოებს. გადავუხვიერთ სოფ. აიდინთეფესაკენ. აქ აღმოჩნდა რომაული ხანის კატაკომბები, მიწისქვეშა გვირაბი, რომლის გვერდებშიც პატარა სადგომებია. ერთგან შესაძლოა გვლესიაც ყოფილიყო ბრტყელი აფსიდით. გვირაბი ვიწროა, კაცის სიმაღლე. ის ორგან მრგვალი, ბრტყელი ქვის-გადმოგორებით კედელში ამოღარულში ჯდება და გასასვლელი დაკეტილია. ეს პირველსავე გათხრით აღმოჩენილი გვირაბი-დარანი, კილომეტრებზე გრძელდება და გამოსასვლელი ახალი ამოშენებულია. აქედან ახლოა ბათ-ბურთი.

ქალაქში შესვლამდე მოჩანს ვება ციხე-სიმაგრე გორაზე, რომელიც კატაგს გზაჯგარედინს. აქ ჩამოდის ჭოროხი, რ-საც მიუყვება ისპირისაკენ.

ციხეზე მანქანა ადის. მას ახლა რემონტი უტარდება უნიჭოდ. ხარახოებით აპირკეთებენ ახალი ქვის კვადრებით ძველ კედლებს... წარწერაში ნათქვამია, რომ ეს ადგილი ჯერ კიდევ ვესპასიანე იმპერატორის დროს შეირჩა (ალბათ ეკლესიისათვის). 1000 წ. ციხე აშენდათ, რომელმაც იარსება XIX ს-მდე. ბიზანტიელები, სელჩუკები, თურქოსმალები, სომხები...

უძველესი წყობა ტუფის კვადრებით უნდა იყოს, რომელიც W-S კუთხეში, შემოსასვლელთანაა. ასევე უძველესი მეჩვენა სამნავიანი ეკლესიის ნანგრევი ციხის S0 ნაწილში. ცენტრალური შეკრილი აფსიდა გათლილი ქვების წყობითაა განახლებული, რ-იც მკვეთრად სხვაობს S-კედლის მც. ზომის გამოქარული ქვების რეგულარულ წყობას. S შესასვლელს ზევიდან ნახევარწრიული თაღი გადასდის. N-კედელი და მისი აფსიდა აღარაა, არც სახურავია. W

მხარეს ძველი აკროპოლისის წყობა ჩანს – საშუალო ზომის გამოქარული სწორგუთხა, მოგრძო ქვების რეგულარული რიგები. ამათი უგემოვნო განახლება ესაა ახალი პედლების შენება, უაზრო აუზებითა და კედელზე ასასვლელი კიბეებით. ეს უზარმაზარი ციტადელი ბიზანტიური სიმაგრეა, რის ბადალი მხოლოდ გონიო და ანაკოფია მეგულება. მოვთავსდით სასტუმროში, ქალაქის ცენტრში. ვახშამი ქალაქების რესტორანში, სადაც ავლაბრელი სომეხი ქართულად გვჩანგლავდა...

## 7.07.08

ბაიბურთის ჩრდილოეთით, სპერისკენ მიმავალ გზაზე ბრაიერს ეკლესია პქონდა აღნიშნული სოფ. ჰაიკინთან. გავიარეთ, გვითხრებ ნანგრევი იყო და ზედ სკოლა დააშენესო. მივედით, სკოლის შენობა გადავიდე, ძველი ქვებიდან აღარაფერია. ახლა ამ სოფელს ქიოფრულბაში (ხიდისთავი)\*.

გზა ჭოროხს მიუყვება. ეს ხეობა ძალიან წააგავს მტკვრის ხეობის ნაწილს მუსხიდან ვარძიამდე: მოტიტვლებული ქედები, ხეხილიანი ჭალები, სადაც ლამაზად მოჩანან ალვის ხეები. გზა თანდათან მაღლა იწევს, დაღბაშის უღელტეხილისაკენ. აქ 2650 მ-ზე ნიხლი გვხდება და საზაფხულო სადგომები მესაქონლეებისა. თურქები მიწათმოქმედებად გადაიქცნენ. ყურძენიც აქვთ, მაგრამ თათარას იქით აღარ მიღიან.

უღელტეხილამდე ჭოროხისავე და მისი მარცხენა შენაკადის ხერთვისში მივედით, ისპირში. ესაა ქართ. პროვინცია სპერის ცენტრი. აქაა შესანიშნავი ციხე და ეპლესია. ციხე ბაიბურთისაზე პატარაა, ეკლესია – უფრო დიდი. სამი მხრიდან – S, W, N – მდინარეებით მოზღუდული

\* შენებვნა დ. ბერძნიშვილისა: სოფლის გამოსასვლელში, გზის მარცხნივ ოთხეუთხა კოშკის ნანგრევია გალავნით. გზის მარჯვნივ ნაეპლესიარი მეწყერს წაუდია.

კლდოვანი ბორცვი მხოლოდ O-დან მოისვლება, იქითვეა ქალაქიც. შესასვლელი S-დანაა. აქაც ბაიბურთივით, შესასვლელს 4-ჯუთხა კოშკი იცავდა, ტუფის კვადრების რეგულარული წყობით ნაგები. გალავნის მაღალი კედლების წყობა მცირე ზომის ქვათა თევზიფხური წყობისაა. ზოგან ნარევი, გადაკეთების კვალიც მრავლადაა.

ეკლესიის ნაგრევი ციხის SO ნაწილში, შემოსასვლელთან ისეთსავე კავშირში, როგორც ბაიბურთის ციხეში. აქაც სამი შვერილი აფსიდა უნდა ყოფილიყო. გადარჩენილია O და W კედლები. ცენტრალურ შვერილ აფსიდას 3 მაღალი სარკმელი პქონია, N აფსიდას – 1, S აფსიდას მხოლოდ ქვედა ნაწილია. ნაგები ყოფილა ტუფისა და ადგილობრივი ქვის საშუალო ზომის კვადრებით. ეს ეკლესია უფრო დიდია, ვიდრე ბაიბურთისა. დასავლეთიდან მინაშენი პქონია, რომელიც ეკლესიას S კარით უერთდებოდა. იქიდანვე უნდა ყოფილიყო ეკლესიაში შესასვლელიც. ეკლესიის N და W მხარეს მოჩანს ციხის კედლები, კუთხოვანი და მრგვალი ბურჯები. ეკლესიის SW მხარეს მეჩეთია და მაღალი მინარეთი, ყველაფერი ტუფის ქვისაა და მერე შედესილიც. ეკლესიის W-ით წყლის 3 ონკანია. საინტერესოა წყალი შემოყვანილია, თუ ადგილობრივი წყაროსი. წყაროებში ცნობები ნაკლებადაა.

XII-XIII ს-ებში სელჩუკ ილხანთა ციხეა, XVI ს-ში სულეიმან ფაშა მეჩეთს აგებს. მინარეთს იყენებდნენ გზაჯვარედინის სათვალოვალოდ.

სპერ-პბერ-იბერ... „სპერის ზღვა“, ე.ი. ეს ოლქი ზღვაზე გადიოდა, ამ სახელმა შეცვალა ევქსინის პონტო და პონტოს ზღვა... ბაგრატიონებიც აქედან მოვიდნენ ქართლსა და სომხეთში. **მათ დროსვე იქნებოდა აქ ეკლესია მაინც.** მნიშვნელოვანი პუნქტია გზების ჩამკეტი. როდის იკარგება საქართველოს ეს უკიდურესი მხარე?...

უდელტეხილის შემდეგ გზა ხეობაში ეშვება, რომელიც სავსეა ნაძვნარითა და შერეული ტყით, აბასთუმანივით. მთაში სოფლები მოჩანს და ოეთრი მინარეთები.

რიზემდე ბრაიერს ერთი ეკლესია და ციხე აქვს აღნიშნული – ვერ ვნახეთ. დამე რიზეს სასტუმროში გავათიეთ. აქედან ბორჩხამდე რუკის მიხედვით უნდა ვეძებოთ. აქამდე კიდევ ერთი უდელტეხილია.

## 8.07.08

რიზეს ციხე ქალაქის ცენტრშია გორაზე. მისი ზედაციხის კედლები და ნახევარწრიული ბურჯები საშუალო ზომის თანაბარი კვადრებითაა ნაგები და წააგავს უჯარმულს. აქაც უგემოვნოდ, ყველაფერი თავიდან აუშენებიათ და თხემზე სულ მაგიდებია გაშლილი ტურისტებისათვის. აქვეა ორმო წყლის (?) მარაგისათვის. აქ ვნახეთ ლამაზი ახალგაზრდა, ქართულად მოლაპარაკე. უნივერსიტეტის სატყეო ფაკულტეტი დაგამოთავრე და ახლა ასპირანტურაში ვარო, 25 წლის ყმაწვილი. ქართული მშობლებისგან ვისწავლე, წერა-კითხვა არ ვიციო. ელდარმა<sup>5</sup> ქართულ-თურქული ანბანი აჩუქა.

ზედაციხის აშენება იუსტინიანეს ხანას მიეწერება (VI ს.). XIV ს-ში გენუელები დაუუფლნენ და შემატეს ქვედაციხე, ასევე ქალაქის გალავანი. XVI სს-ში ოსმალები იკავებენ.

ზედაციხიდან მოჩანს მთელი ქალაქი და პორტი. ის ბოლო 20 წელში გაშენებული ქალაქია და ქუჩები უფრო ფართოა, ვიდრე ტრაპიზონში. ყველა თავის ქვეყანაზე ზრუნავს, მეტად ვიდრე ჩვენთან. ეს მარტო ამ ხალხის უკეთესობა არაა. ესაა კერძო საგუთრების ჩვენზე ხანგრძლივი განცდა...

ქალაქში ჩამოდის აშიკლარდერე (შეევარებულთა ხევი). აქ მდინარეზე ერთმალიანი ძვ. ხიდი გადავიდეთ.

ზღვაში, ნაპირის სიახლოვე კლდის კუნძულზე, ოთხ-კუთხა კოშკია. მას კიზალე (ქალისციხე) ჰქვია. ეს კოშკი სოფ. ფაზარის\_სიახლოვესაა.

ეს თურქებში ზოგადი სახელია გარკვეული ციხეებისა. შდრ: „ბროლის ციხე“ ჩვენთან... ბაგრატიონების ვებ-გვერდზე მას ათინას\* ციხე ჰქვია. საიდან იღებენ ამ ძევლ სახელებს (?). ამ კოშკს დელვისა არ ეშინია, რადგან წინ კიდევაა დაბალი კლდეები. კოშკის დანიშნულება იქნებოდა შემომავალი ნავებისა და ზღვისპირა გზის (?) კონტროლი.

კიდევ ერთი ხევი უერთდება ზღვას, ესაა ხოჯა ქიოფრუ ქოი (დიდი ხიდის სოფლის ხევი). აქ მდინარეზე, მართლაც, ხიდის ნანგრევია; შერჩენილია მარცხენა ნაპირის მაღი. შესა და მარჯვენა ნაპირის თაღოვანი მაღები დანგრეულია. ეს ხიდები წააგავან ჩვენს აჭარულ ხიდებს.

ერთი ციხის ნანგრევი მიგგასწავლეს: ჯიხაგალე. ის არც ბრაიერს, არც ბაგრატიონებს არ უჩანთ. ხეობის შუა-წელზე, ერთ განმხოლოოებულ მთაზე ის აშენებული. ირგვლივ ფერდობები ჩაის ბუნქებს დაუფარავს. ციხეზე მისვლას აძნელებს ეპალ-ბარდები და განსაკუთრებით ირგვლივ მოვლებული თხრილი. ციხე შედგება ცენტრალური მრგვალი კოშკისა და გალავნისაგან, რომელსაც ნახევარწრიული ბურჯები აქვს 3-3 სათოფურით: საშუალო ზომის ნაგლეჯი ქმები რეგულარულ მწკრივებად. გალავნის წყობა ნარევია, კედლის სისქეც მეტი სიგანის: ხშირი გადაკუთების კვალი... ორ ადგილას შესასვლელებს მოზრდილი ოთხეუთხა კოშკები ახლავს. კედლები სულ დაფარულია მცენარეებით, ამიტომ კინოგადაღება არ შედგა.

ეს ხევები შერეული ტყეებითაა დაფარული და სოფლებიც მთაშია შეუუშლი. აქ მოსახლეობა ლაზურია, ცის-

\* შენიშვნა დ. ბერძენიშვილისა: ფაზარის ძველი სახელწოდება ათინაა!

უერი თვალებით. ერთმა თურქულ საუბარში შემთხვევით იხმარა „გა მიჩქუ“.. ამ ლაზურ გარემოში იქნებ ეს ჯიხაკალეც ლაზურ „ჯიხას“ შეიცავდეს. მით უფრო, რომ თურქული ახენა მას არ ეძებნება!..

კიდევ ერთი ლამაზი ციხეა ასეთსავე შემდეგ ხეობაში – **ფირტინა დერეში**. მას ზილ-კალეს უწოდებენ. ესაა ოთხსართულიანი ოთხკუთხა კოშკი, რომელსაც ირგვლივ გალავანი და სათავსოები ახლავს. ამასაც ახალი კედლებით აშენებენ ტურისტებისათვის. ძვ. წყობაში ნაგლეჯი ქვების თევზიფხური მწკრივები (?) მენიშნა...<sup>\*</sup>

ესაა XIII ს-ში კომნინოსების აგებული ციხე, რომელსაც XVI ს-ში ოსმალები ეუფლებიან. მათივეა ეს კოშკიც. აქ 40 ასკერი აკონტროლებდა “აბრეშუმის გზასო”, ასევა აბრაზე. მის დროს კი 450-მდე მებრძოლს იტევდათ. ამ გზის კონტროლს ეს ციხე მეორე ციხესთან შეთანხმებით ახორციელებდათ. ეს ციხე, სადღაც ზეგით უნდა ყოფილიყო, ხეობაში. ე.ი. გზა იქით გადიოდა, საიო?\*

ციხიდან ხეობის ბოლოს ერთ ლაზს მივადექით. **ჩიქოვანი** ვყოფილვარ და ცოლიც ჩიქოვანიაო. 4 შვილის მამა ქართულს ამტკრევდა. ამასაც დავუტოვეთ ანბანი. საკუთარი სახლი, მდინარეში „გემი“ რესტორანი, საკალმახე, მოტელსაც ვაშენებო... ამ ხეობაში 3 ცალმალიანი **ხიდია**, ერთზე მანქანაც გადადის. 10 ს-ზე ართვინში სასტუმროში დაგბინავდით.

## 9.07.08

დღეს წავედით **მაჭახლის** სათავეებში. დაუდი იქაურია. იქ 6 სოფელი თურქეთს დარჩა 1921 წ. მოსკოვის ზავით, დანარჩენი სოფლები – ჩვენ. აკრია, ეფრატი, მინდიეთი, ზედვაკე, ქვაბისთავი, ხერთვისი. აქ ცაცხლაძის ჩანა-

\* ეს გზა პონტოს ქედს გადაივლის და ჭოროხის ხეობაში ჩადის – შენიშვნა მ. ფხაჭიაშვილისა.

წერ მიკროტოპონიმიაში მონიშნული მქონდა საინტერესო სახელები. მინდოდა ოდგილზე შემოწმება. მივეღით მაჭახლის ერთ სათავესთან, საიდანაც მოჩანდა სოფ. ეფრატი. იქ გურჯები დაგვიხვდნენ, მეტყველები. იმათთან საუბრის მერე დაუდმა ჩვენი იქ ჩაყვანა გადაიფიქრა. არადა იქაა ნადარბაზევი, ნანინო, ნაჭიშკრევი (აგრია); ნაგანევი, ნაქალაქევი, ნაქილისავი, ზიარეთი სირთი, სახატი ღელე, ქვაგაცივაგვ (ეფრატი), ნაციხარი, ნაარხევი, ციხიანი (მინდიეთი), ინაწმინდა, ნაქილისვარი, ნაჭიშკრევი, ყურუხიდი (ქვაბისთავი)... იქნებ ჩვენ მაჭახელში მაინც მოხერხდეს სხვა ადგილების მოხილვა...

მერე შავი ტბა ვნახეთ (ეს შავშეთია?), ყარაგიოლ და ნავით გავისეირნეთ. აქაური კალმახი მეუკეთესა... ამ ტბიდან იღებს სათავეს **ქლასკურის ხევი.**

ჭოროხი დაუგუბებიათ ელექტროსადგურისათვის. მას ჩაუყლაპაგს ქლასკურის ხევის ნაწილი, ჩაის ფაბრიკა, მეჩეთი; მხოლოდ მინარეთის ზედა ნაწილი ჩანს წყალში. ჭოროხსებ ორი ასეთი სადგური უკვე მზად აქვთ, აპირებენ – 16-ს. რა ეშველება ჭოროხის ზღვასთან შესართავს?...

ქლასკურის ხევისა და ჭოროხის შესართავთან, ორივე მდინარის მარცხენა ნაპირზე, კლდოვან ბორცვზე, ქვევიდან კოშკი შევნიშნეთ. ავედით. აღმოჩნდა მც. ერთნავიანი, დარბაზული ეკლესია (დახლ. 3X4 მ). სახურავი კლდის დაუმუშავებელი ლოდებით დუღაბზე. შესასვლელი W-დანაა, რომელსაც ზევით თაღი ახლავს. არქიტრავის გარეთა ნაწილი ჩამოვარდნილია. ჩანს O მოგრძო სარკმელი, S-ით – კვადრატული. საკურთხეველი ბრტყელია. 2-3 ადგილას სარეზონანსო ჭურია. ქვედა სართულში საძვალეა, რომელსაც N შესასვლელი აქვს, აქაც თაღია. საფლავები ნაჯიჯნია, დასულან კლდემდე. ეკლესის დაბლა კიდევ რაღაც ნაგებობებია, ასეთივეა წყობაც. იქ ერთგან თაღური გადახურვის მოგრძო შენობის ნაშთია S-N მიმარ-

თუდებისა. (სატრაპეზო?)... აქ სენაკები და სამეურნეო სა-  
თავსები იქნებოდა ალბათ მონასტრისა. ეს უნდა იყოს  
XIV–XV ს-ის ნაგებობები, სოფ. ხებას ნაქილისგარია.  
აქ ბერიძე ცხოვრობს ბორჩხიდან გადმოსული.  
გურჯებმა ქართული იციან. ეს ნამონასტრალი არ  
იცის არცერთმა რუკამ.

სამაგიეროდ, ართვინის ტურისტულ რუკაზე აღნიშნუ-  
ლია ეკლესია, ბორჩხის სიახლოვეს, არგაქო. აქ სიბერ-  
ლეში გუმბათიანი ეკლესია დაგლანდეთ. აღმოჩნდა ოთხივე  
მხრით ბრტყელაფსიდიანი, მაღალი, მთელი გუმბათით გა-  
დარჩენილი ნაგებობა დას. კარიბჭით. მას ფართო, თაღო-  
ვანი შესავლელი აქვს. ოთხსავე კედელში თითო სარკმე-  
ლია და თითო მომაღლო ნიშა. გუმბათი ტრომპების გარე-  
შე აზის კადლებს. ი საკურთხევლის კადელიც ბრტყელია.

ეკლესია მოხატული ყოფილა. ფრესკები დაზიანებ-  
ულია. შერჩენილია ქართული ასომთავრული წარწერები  
და ბერძნული. პალეოგრაფიულად XIII ს-ის შემდგომი ხა-  
ნაა: „ა“-ის ზედა ხაზი მუცელს მოშორებულია; „დ“-ის მუ-  
ცელში „ა“-ია შეწიაღებული...

## 10.07.08

მამაწმინდის ი საკურთხევლის მარჯვენა სვეტის ძირ-  
ში, ოთხკუთხა ჩარჩოში 11 სტრიქონიანი ასომთავრულით  
შესრულებული წარწერაა:

- |  |           |
|--|-----------|
| 1-----                                 | გცფბზძძძ  |
| 2-----                                 | ჩრგძძ     |
| 3-----                                 | სზპ+ზპ    |
| 4-----                                 | უზძ-ზპ    |
| 5-----                                 | ????????? |
| 6-----                                 | ????????? |
| 7????????????????????????????????????? |           |
| 8????????????????????????????????????? |           |
| 9????????????????????????????????????? |           |

9?????????????????????????????????????

10?????????????????????????????????????

11?????????????????????????????????

სამხრ. კედელზე ჩარჩოში 8-ს გაგრძელ.

1 ტ?+ჩტ?+?????

2 ????????????????

3 ????????????????

4 ????????????????

ფრესკების ფიგურებს განმარტებითი წარწერები ახლავს: მარჯ-ზ, ი-ნე, მ-ქლ, გ-ბრ-ლ, ნათლისმცემელი... გრავნილებსა და შარაგანდებს ბერძნული წარწერები ახლავთ. ქართული ზემომოყვანილი წარწერა განახლებასა თუ სხვა სამუშაოზე მოგვითხრობს ვიდაცის მიერ, რომლის ძენი შენდობით იხსენიებიან.

გუმბათი აგურისაა. გარედან ტუფის კვადრებით. ირგვლივ გალაგანია. სახელი ეკლესიისა ადგილობრივმა გურჯმა იცის. ბაგრატიონები მხოლოდ ფოტოებს იძლევიან უტექსტოდ, უგეგმოდ.

მხატვრობაში სცენებია: აღდგომა, ნათლისდება, ჯვართამაღლება, ნიკოლოზი, მარჯვნივ მაცხოვარი, მარცხნივ – დვოისმშობელი. მთავარანგელოზები მ-ქლ და გ-ბ-ლ.

W მინაშენი გვიანია, ნაკერი არ აქვს.

N კედლის W თაღში სცენა: შუაში წმ. ნიკოლოზი წარწერით (ასომთავრულით) წმ. ნ-კლ-ზ. გვერდით იმავე კედელზე საკურთხევლისაკენ ი-ს ქ-ე ძლ-ვაი და დედა დვოისა.

S კედლის W თაღში ცენტრში ჩვილით დვოისმშობელი, აქეთ-იქით ანგელოზები (ალბათ მიქელ და გაბრიელი).

O კედლის N ნიშის თაღში – მაცხოვარი ასოები **W** და...? შეიძლება წმ. ნიკოლოზის სახელობისა იყო ეს ეკლესია. ბორჩხიდან ამოსულმა გურჯმა გვითხრა ამ ეპლესიის ძველი სახელი მამაწმინდა. მეორე წარწერაში თითქოს მხატვარი იხსენიება აბასა---ძე.

მამაწმინდიდან უპანა გზაზე ციხე დავინახეთ, ჭოროხის მარჯვნივ. აქ ორი ხევი უერთდება მთავარ მდინარეს, რომელთა შემაერთებელ გზაზე, მაღალ მთაშია, ეს ციხე. სოფელს ჰქვია **ესენლერ ქოი**, ხევს – **სანკოთი**, ციხეც **სანკოთისაა**. შემორჩენილი კედლებისა და კოშკების წყობა „უჯარმულია“, საშუალო ზომის კლდის ლოდები, რეგულარული მწკრივებით. კოშკები ზოგი მრგვალია, ზოგი – კუთხოვანი, ქვედა ციხეში გადასტურვა, ზევიდან ორფერდა გადახურვის ნაკვალევით. შესასვლელი ექნებოდა მისასვლელ, N მხრიდან. S კედელში პილასტრის ნაწილია. საკურთხევლის მოხაზულობა თითქმის გეგმაში იკითხება. აქვეა ამოლესილი წყლის აუზი, კლდეში ამოკვეთილი. ის მოგრძოა, კლდეში მნელად საკვთო.

ქვედა ციხიდან ზედაში ამავალი გზა სწორ კედლებს შორის გადის, N-ით მრგვალი კოშკი ყოფილა. ზედაციხეს მცირე ფართობი უჭირავს და რამდენიმე სათავსია. აქედან შესანიშნავი ხედია: ჭოროხის შეგუბებული, დაკლანილი დინება, გაღმა სოფლები. მარჯვენა სანაპიროზე ორი მეზობელი, პარალელური ხევი, თავისი სოფლებით, მათი შემაერთებელი, ციხის N-ით გამავალი გზა, რომელსაც ციხე აკონტროლებს. ეკლესია ციხეში, მისი პატრონის აქ სანგრძლივ ყოფნას მოწმობს. ზედაციხეში სათოფურებიცაა. ციხის ქვევითაც რაღაც ნაგებობათა კვალია – **ციხისძირი**.

ეს ციხე შესაძლოა IX-X ს-სა იყოს, აშოტ კურაპალატის დროისა, ის ტურისტულ რუკაზე ჩანს, ხუთვერსიანზე იქნება – **ბაქირ ქოი კალე**.

გზად ართვინის ციხე გადავიდეთ ჭოროხის მარცხენა, მაღალ, კლდოვან სანაპიროზე. იქ ძირითადი კოშკი მოჩანს, ერთი სამზერით ჭოროხისაკენ. ციხეში ჯარი დგას, არ მიგვიშვებენ. ციხის უკან ართვინია,

ტერასებად შეფენილი ფერდზე. ციხეს X ს-დან ვარაუდობენ.

ვისადილეთ კერძო რესტორანში. მის დას-ით საცხოვრებელ უბანს მამაწმინდა პქვია. ეკლესიის გვალი აღარაო. დაუდი აქაუარია, მშობლებთან სძინავს.

## 11.07.08

**ენირაბათი** – ახალ რაბათს ნიშნავს. ძველი სადიყო? ეს მშვენიერი ტაძარი ხოშტარიაშ” სადოქტოროდ გამოიტანა... მშვენიერი გარემო, კაკლის ხეები, ხილი, სახნავი... ტაძარს გალავანი აქვს, მის შიგნით, ტაძრის SO კუთხეში, მოგრძო შენობის ნანგრევია – ალბათ სატრაპეზო. NO-ით ერთი გათლილი ლოდია, ზედ უცნაური ასოა ამოჭრილი, თავზე სწორსაზოვანი ქარაგმით. ბერძნულ W-ს გავს.

შენობის SW კუთხეში, მიწიდან დაახლ. 3 მ-ზე ერთი გათლილი ლოდია ჩასმული. ორი კოპიანი ჯვარია ზედ ამოფესაჭნილი, მის ქვევით ჩარჩოში ჩასმული ერთსტრიქონიანი, რელიეფური სომხური წარწერაა, მგონია „¶ სურბ იოვანნეს“. ეს ქვა გვიან უნდა იყოს ჩასმული, მისი ჩასმისას გამოყენებული ხსნარი სხვა ფერისა და მასალისაა, ვიდრე საერთოდ გამოყენებული... ეტობა „შატბერდის“ გასამართლებლად ჩასვეს...

ვიდრე ხუციშვილის<sup>7</sup> მიერ აღმოჩენილი მეორე ნანგრევი არ მინახავს, დ. ხოშტარიას აზრი უფრო სარწმუნო ჩანს...

**არტანუჯი** მეორედ ვნახე. მას არტანუჯის წყალი სამი მხრით ერტყმის, მეოთხე მხარეს მშრალი ხევია. მისი ქალაქი N-ითაა ციხისძირში. ციხეზე შერჩენილი ორი ასას-ვლელი აშკარად შეიმჩნევა. პედლების წყობა ძველიცაა, მეორადიც... ეკლესია და აშოგის საფლავი დანგრეულია. ეკლესიას თავისი მრგვალი აუზი აქვს. ციხეს – თავისი მოგრძო. ორივე ამოლესილია. ახლა კიბის შემოსასვლელს

ქვევიდან თაღი იჭერს – ზედ კიბეები ამოჭრილი და დალაგებული ქვის საფეხურებად იქნებოდა. ქალაქს თავისი გალავანი, ეკლესიის ნანგრევი (IX ს.) და სასახლის პედლები შერჩენია. დაუდმა ესენი აღარ იცოდა და ჩვენ შევნიშნეთ ანთიდან დაბრუნებულებმა. ეკლესია და სასახლე ბაგრატიონებს აქვთ ვებ-გვერდზე.

**ანთისაკენ** მისასვლელად გზას გავყვით NW-ით ზეგანზე, არტანუჯს ზევიდან დავხედეთ: გზაჯვარედინის ცენტრშია ყველაფრის მაკონტროლებელი. „არზენა“ მის ირგვლივ ზეგნებზეა შეფენილი. არტანისკენ აქიდან მიმავალი გზა უმოკლესია. ყოველმხივ გამოყოფილი კლდე მიუვალია.

უდელტებილი გადავიარეთ და სხვა ხევში დავეშვით. ულამაზესი სოფლის SO ფერდობზე ნანგრევებად ქცეულ ტაძარს მივადექით. ის არ უნახავთ ბაგრატიონებს, არ აუზომიათ. კლდის გადაღმა NO-ით ხეობის სოფლებია და აქეთ მომავალი გზა. ეკლესიის S-ით დიდი ნაგებობის სათავსებია – იქნებ სატრაპეზო, ან ეპისკოპოსის სადგომი. მეფის დარბაზობის განგებაში (XIII ს.) ??? მგონია ნათქვამია: „პირველად შემოვიდეს დიდისა ანთისა ეპისკოპოზი და დაჯდეს მეფის მარჯვნივ...“ კლარჯეთის ეპისკოპოსის ეს უპირველესობა იქნებ ტრადიციას ემყარებოდა: ანთის ხატის საგალობელში (არსებ ბულმაისიმის ძე) ხომ ნათქვამია, რომ ანდრიამ აქ მოიტანა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი...

შშევნიერი ხილიანი სოფელია, უტკბილესი ბალი...

უკანა გზაზე გამოვუარეთ **ახიზის ციხეს**. არტანუჯისწყლის მარცხნივაა, კლდეზე. მრგვალი ბურჯებისა თუ კოშკების მასივები საშუალო ზომის თანაბარი ქვებით, რეგულარული მწკრივებია. „უჯარმული“ წყობა კარგად ერწყმის ქცის ცნობას: ვახტანგმა აქ ააშენა ციხე და შიგ პირველი ეკლესია, რომელიც

საეპისკოპოდ იქცაო. კლარჯეთში ეს ორი საეპისკოპოსო იყო.

ციხეზე მცირე ფართობია კლდის ხერხემალსა და ფერდზე. O-ით მრგვალი ბურჯის შიგნით, რაღაც ნაგებობის ძირში, ოთხკუთხა ამოშენებული ამოსასვლელია. ხომ არაა წყლის გვირაბი?

ხერხემალზე ერთი ბუნებრივი გამოქვაბულია. ქველაზე მაღალ ადგილას ნანგრევის კვალია (კოშკის?) ცოტა O-ით მეორე ასეთივე ნანგრევის ნაკვალევია ეკლესიის? ციხის ქვევით გამოქვაბულებია, ერთი ამოშენებული თაღია.

## 12.07.08

**დოლისყანაში** ავედით. ეს მშვენიერი ტაძარი მთელია, გადაარჩინა მეჩეთად გადაქცევამ. ახლაც რესტავრაციას უტარებენ. გარედან და შიგნიდან. ორსართულად გადაქცეულს, ახლა ასუფთავებენ. აქაური სამხრ. სარკმლის წარწერა და ბარელიეფები მეტყველებენ ეკლესიის მთავრანგელოზების, მიქაელისა და გაბრიელის სახელობაზე.

უცნობი უნდა იყოს S მინაშენის წარწერა საკურთხევე-ველში: მაცხოვრის რელიეფურ გამოსახულებას სამკუთხა ქვაზე წარწერები აქვს ამოჭრილი: „იესო ქრისტე“. ქვევით: „წმიდაი ესე ეკლესია აკურთხე დღესა“. მის ქვევით ორი კვადრატული ქვიდან ერთი დაკარგულია. იქ დაწყებული წარწერა ალბათ მეორე ქვაზე გრძელდებოდა: „მეფეს... რამ... ქრისტე შეიწყალე“.

S მინაშენიდან მთავარი ტაძრის შესასვლელის არქი-ტრავი მოგვიანებით შეულესიათ და მოუხატავთ. აქ მარცხნივ 3 ფიგურა მოჩანს, მავედრებელ პოზაში. შემდეგ, ორი მოზრდილი ფიგურის ქვედა ტანი კოჭებამდე კაბებში. არ ვიცი რემონტის გამო თუ ადრევე, შელესილობა ზოგან აცვენილია და მოჩანს ორი სტრიქონი ნუსხური წარწერის

ნაწილი. ქვეყითაც წარწერაა ასომთავრული. აქაც ნაწილია. გაირჩევა სიტყვები „დავწერე“... „ლოცვებად“ (?)

საკურთხეველში მოხატულობისა და წარწერათა (განმარტებითი) ნაშთებია.

ს კედელზე შესასვლელის მარცხნივ ფრესკულ გამოსახულებებზე ქართული ნაკაწრი მინაწერებია: „ქრისტე შეიწყალე მოძღვარი პეტრე გაბრიელის ძე დღესა პეტრე-პავლობასა 22“. საოცარია, რომ დღეს, პეტრე-პავლობა დღეს, ვკითხულობ ამას!!!

ქვევით ნუსხურით ამოკაწრულია: „საშინელო მთავარანგელოზნო მიქელ და გაბრიელ დარიბს მახარებ (ელს შეეწიეთ)“... ქვევით მხედრულით: „მახარებელს“.

ზევით, შავი ფანქრით რუსული სამხედროების მინაწერები 1889. ქვევით რუსულადგვ: ფარსადან მიქელაძე, 1903 წ. მაისი.

სამხრეთის კედელზე მიპრაბია მეჩეთობის პერიოდისა. აქვეა არაბული ფრესკული წარწერის ნაშთი. დოლისყანა ძვ. ქართველთა აქაურ მეურნეობაზე მიგვითითებს. ახლა სეხილია.

ხუციშვილის შატბერდის ძებნაში მივადექით სოფ. გურჯანის დანგრეულ საყდარს. მაღალი ი კედლისა და დას. კედლის ნაშთები. ირგვლივ სხვადასხვა ნაგებობათა ნაშთებია. ბაგრატიონებს ეს „უცნაური“ ეკლესია VIII-IX ს-ებით აქვთ დათარიღებული. აქ ეს სახელი ალბათ ოსმალობის დროინდელია...

როგორც იქნა, მივადექით სოფ. ბოსელთას. საინტერესოა, რომ ადგილობრივი თურქები უწოდებენ ამ სოფელს შატბერდს. ასევე აქვთ აღნიშნული ტურისტულ რუკაზედაც. ეს ხუციშვილი-ბაგრატიონების შემდგომ არ მომხდარა. მაშ ქართველებმა როდის დაივიწყეს ეს სახელი და როდინდელია ბოსელთა?..

აქ მართლაც უზარმაზარი, გაფცევნილი ტაძრის ჩონჩხია. არის მცირე სალოცავიც და სხვა შენობათა ნაშ-

თები. ყველაფერი ბუჩქებს დაუფარავს. ყველაზე შთამბეჭდაგია ვეება ლოდგბით, რეგულარულ მწკრივებად ნაგები მოგრძო დიდი შენობის ნაშთი. ის ან სკრიპტორიუმი, ან სატრაპეზოა. ხუციშვილს მხოლოდ მისი ფოტო მოაქვს. ძალიან შთამბეჭდაგი ნანგრევებია...\*

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია კლდის ხერხემლის დაბოლოებაზე მდგარი ციხე, რომელიც ეკლესიის NO-თაა. ძველმა ნაგზაურმა კლდეს მიგვაყენა, მერე ბილიკით ვიარეთ დაახლ. 500 მ. კლდეზე. მეორე მხარე ფრიალოა. ვეება ციხე მერთლაც შატ-ბერდია.

მისასვლელ მხარეს 25 მ-მდე მომრგვალებული სამსართულიანი კოშკი და „ტალღური“ კედლებია, ძველი მოზრდილი ლოდგებით ჰორიზონტალურად ნაგები. შესასვლელს (O მხარეს) თაღური გადახურვა აქვს. იქვე, მარჯვნივ მცირე ეკლესიის ნანგრევია S მინაშენით. mc. ნავი დაახლ. 2,5 მ. X 4 მ. ჩანს აფსიდის ქვედა რიგი. მის თავზე, დამცველ კედლებზე, რაღაც ფართო და მაღალი ნიშაა გაურკვეველი დანიშნულებისა.

შიდა ციხის ოთხკუთხა კოშკი ორსართულიანია. აქვს ორი სარკმელი მომრგვალებული თავსართებით. დას. გაჭრილი ოთხკუთხა გასასვლელი მიუვალ კლდეზე გადის... ალბათ შემოვლითი ბილიკი იყო სამხრ. ფერდზე. შიდა ციხესთან ჭურია. ეკლესიის დას. კედლოთან კი ლოდზე ამოჭრილი 4-5 საფეხური მიდის ოთხკუთხა ამოდარულ ჩაღრმავებასთან. მერე აქვთან N-ით გაყვანილი დარით ჩადის ამოლესილ წყლის ორმოში. ალბათ, წვიმის წყალს აგროვებდნენ. ასეთი შთამბეჭდაგი ციხე მე აქ ჯერ არ მინახვს...

**შატბერდის ციხე,** სახელწოდების მიხედვით, თითქოს წინ უნდა უსწრებდეს ტაძარსა და სოფელსაც. ეს

\* დ.ბერძენიშვილის შენიშვნა: აქ ამბობენ – თამარის ციხეაო ე.ი. – ძველია. ხუციშვილის რეკაზე ის „კლაჯათის ციხეა“ (ბერგქეთი?).

ციხე მეტი საბუთია ტაძრის (შატბერდის) აქ დასაგულვებლად, რაც ენირაბათში არა ჩანს. სოფელში ვეღარ შევედით. იუსუფელში ვივახშემეტ და დამე პარხალში ამოვედით.

ჭოროხის ხეობის სოფელთა ქართ. სახელები: აგარა, ბოსელთა, გურჯანი... ხანცოელის ცხოვრების მონაცემები ენირაბათის, ან ბოსელთას სასარგებლოდ ჯერ ვერაფერს მეუბნება...

### 13.07.08

გუშინ ფიცრულში გაგათენეთ. ცხელი წყალი იყო. დღეს პარხალის დიდებულ ტაძარს მოვაკითხეთ. ის აღწერილი აქვს ექვთიმეგს<sup>8</sup>. საღებავით შესრულებული წარწერა შეა ნავის S თაღებში დღესაც გარკვევით იკითხება. საოცარი სიდიდის ტაძარი დღესაც მთელია, თუმცა მეჩეთობის დროიდან ეტყობა რემონტის კვალიც. შიგნით მეჩეთი გავადებინეთ. უზარმაზარი სივრცე N კედელზე ქორალით იკვეთება. ორი მაღალი ნიშაა საკურთხევლის წინა ორ სვეტში. სამხრეთის სვეტზე რელიეფური ჩუქურთმა და სამ-სამი ფიგურად გამოკვეთილი სვეტისთავზე. აქ დგებოდა ეპისკოპოსი, N-ით ალბათ მონასტრის მამასახლისი.

შიგნით მოხატვის კვალია. ჩრდილო კედელზე რელიეფია ოსტატის ფიგურითა და წარწერით (N-სკენ). S-ის პერიოდი წარწერაა „ქე შე თ-დრ-ტ“ (ოვოდორიტე).

ტურისტები იყვნენ ისრაელიდან, ისტორია მომკითხეს, მოკლედ მოგუყევი ინგლისურად.

ეს ტაძარი ოთხთა ეკლესიის ასლია იმავე დავით კურაპალატის აგებული. უფრო დიდი უნდა იყოს, საინტრესოა ეს წყვილები: ჯვარი-ატენი, ოთხთა-პარხალი, არჯევანსარვანი-ბჭითი... რატომ მესამები არ შენდება მათი კოპიო?

პარხალის წყლის გადაღმა მთაზე, ორი ცალნავიანი დარბაზული ეკლესია მქონიმეს აქვს. გამყოლი პატარა ბიჭის მამაშ 50 ლირა მოგოთხოვა – აღარ ავედით.

წავედით თამარის არხის სანახავად. ავყვით ხევეკის ხევს, მივაღწიეთ სოფ. ქობაკის ერთ უბანს: გუნეის (ესაა თბილი, სამხრეთი). აქ ძველი ქვებით აშენებული სახლის ნანგრევი ვნახეთ: თაღიანი, გათლილი შესასვლელი რაღაც ძვ. ნაგებობისა, ასევე გათლილი, საშუალო ზომის ქვები. აქ არხი ვერ მიგვასწავლეს, თუმცა დათუნაცა<sup>9</sup> და ექვთო-მეც მას ასახელებენ – ალბათ აქ იწყება. მეორე უბანი წყალგაღმაა, მას ყუზე (ცივი) ჰქვია. აქ გურჯები ცხოვ-რობენ, ამბობენ ბათუმის მხრიდან. კობაკს ისინი იაზრებენ: ქვად და ბუქად (ზამთარი ასეთიაო). აქ ისინი ახლა ზაფხულობით ამოდიან, ზამთარს ქვებით, ჭილათში. ქარ-თული სახელებია: იეთი, ხევა, წყალს უწოდებენ ხევს. სოფლებია საჯვარეთი, წიფლაკარი (ან წითლაკარი), ქვედა სოფლებშია: კაკალი, ვაშლი, ვაზი, ლელვი, ბალი და ალუბალი, ასევეა პარხალშიც.

თამარის არხი მიგვასწავლეს ზაგრიეთში, ბალხი-ბარში... დაუდმა დაიგულა და წვიმაც წამოვიდა. იძულებული გავხდით წამოგსულიყავით იუსუფელში. გზად ორი ციხე დავინახეთ. აქეთ წამოსვლისას (ზეიან დღეში) ვნახავთ იუსუფელიდან (20 კმ-ია, ნახევარი საათის გზაზე).

## 14.07.08

დღეს თთხთასაკენ წასულებმა გავკასიძეების ციხეს გაგუარეთ. თამაზმა<sup>10</sup> შემოუარა ასასვლელის ძებნაში. ავალთ ოდონდ თოკითო. მე უნდა ვცადო.

თთხთა ეკლესია დამით ვნახე შარშან... ეს უფრო მომწონს: აქ უფრო იგრძნობა სიძველე, ამკობს სხვა შენობებიც. მოხატულობა ოდნავ მოჩანს. ესეც პარხალივით მთელია, ოდონდ უფრო მცირე. ის, ჯამედ ქცეული, მოვ-ლილ-შეკეთებულია...

უფრო მცირე, დარბაზული, ერთნავიანი, ეკლესია იქვე SO-ით. იქ უფრო ჭარბად ჩანს აგური. სახურავი ჩაქცეულია მაგრამ ლამაზია საკურთხევლის თაღი. საინტერესოა სამკვეთლოსა და სადიაკვნოს ადგილზე შექმნილი მცირე ნიშები საკურთხევლის ორსავე მხარეს. ამ ეკლესიის ქვეშ დახშული, დაროვანი სივრცეა შესავლელით O-დან (გამონგრეულია). ესაა საძვალე, არეული მაძიებლების მიერ.

მთავარ ტაძარში სამკვეთლო და სადიაკვნო ორსართულიანებია საკუთარი ასასვლელებით (მისადგმელი კიბე?). დას. მინაშენი გვიანი უნდა იყოს. მას ებჯინება გრძელი შენობა N-S-ით დამხრობილი, საკუთარი შესასვლელით SO კუთხეში. ესაა სატრაპეზო, რომლიდანაც N გასასვლელით გადიოდნენ სკრიპტორიუმში. ესაა დრმა თაღებით, ორად გაყოფილი, უფრო ფართო, ნათელი შენობა, სადაც იწერდნენ, თარგმნიდნენ ბერები... ოთხთა ეკლესია ოთხი მახარობლის სახელობაზეა აგებული დავით კურაპალატის მეფობისას, ის ათეული წლებით უნდა უსწრებდეს პარხალს.

წყალგაღმა კლდეზე ერთნავიანი დარბაზული ეკლესია ჩანს. აღწერილია ექვთიმესთან...

აქედან სპერიდან მომავალ გზას დავადექით, ჭორონის მარცხენა ნაპირზე ფეთერექის ციხე ვნახეთ. ესაა 4-5 მრგვალი კოშკი გალავნით გაერთიანებული. წყობა ნარევია, ბათქაშზე. მთავარი კოშკი 3 სართულიანია, სათოფურებით მოსასვლელი მხრისაკენ. ციხეში წყლის მრგვალი ორმოს ნანგრევი ჩანს. მოსასვლელი მხრისკენვე ერთი ბრტყელი კედელი, უძირო ნაპრალის თაღით დაჰყურებს. ეს არაა ამოსასვლელი. მე ვთვლი, ესაა ზარბაზნის საფარი, რომელიც აქ მოსასვლელ მხარეს იცავს. კიდევ ერთი მრგვალი კოშკია მოსასვლელის კლდე-კარში. ის მარტო კლდეგარს კი არა, იქ ჩამომდინარე წყლის დამცავიცაა.

ალბათ გვიანი, ოსმალური ციხეა გზის დამცავი სპერიდან იუსუფელისაკენ.

იუსუფელის შესასვლელში, ჭოროხის მარჯვნივ, მცირე ერთნავიანი, გაფცევნილი ეპლესის ნანგრევია. ე.ი. იუსუფელის ადგილას ძვ. სოფელი ყოფილა, სახელი?..

ისევ თამარის არხის სანახავად ავედით და გუშინძელივით, 4 საათიდან წვიმა დაიწყო. დილითაა მოსვლა საჭირო. გურჯა დევაძემ, ხეობაში პანსიონატის პატრონმა, კალმახი მოგვართვა და ლუდი... მას ანბანი აჩუქა ელდარმა. წერა-კითხვის გამარცელებელი საზოგადოებაა თურქეთში... ბიჭები მანქანის სახურავს გაუშიანურდნენ, იქიდან იღებენ ყველაფერს.

ჩვენი სასტუმრო „ბარსელონა“ 40-დოლარიანი ნომრებით, ყველაზე ძვირია, რაც აქამდე გაქონია. აქ ორჯერადი კვება ფასში იგულისხმება.

აქ შარშან ყოფნის დროს, სანაძე<sup>11</sup> თავისი მეუდლით ცხოვრობდა. დამე გეწვიეთ; ახლადა გამახსნდა, აქ 50 ბიანი აუზია ლია ცის ქვეშ. რატომდაც არავინ ბანაობს. სასტუმროს პატრონი ქართველია, მისი ცოლი ესპანელი. აქედანაა სასტუმროს სახელი „ბარსელონა“.

## 15.07.08

დღეს გადავწევიტეთ ორჯერ ჩაშლილი (წვიმების გამო) **თამარის არხის** მონახულება. დაგვაბნია ექვთიმესა და ქობაკელი გურჯის მონაცემებმა. ექვთიმეს ეტყობა არხი არ უნახავს და ზეპირნათქვამი ჩაიწერა: არხი იწყებაო სოფ. უთავში, ქობაკის მახლობლად დასრულდებაო **ზავრიეთში**. გურჯი სულ სხვაგან მიგვითითებდა. დათუნა, სხვებთან ერთად, **ზავრიეთს** მიგვითითებდა. ამიტომ მივაკითხეთ ამ გურჯულ სოფელს და ადგილობრივ აქმედს მივაკითხეთ ოჯახში. დავსხედით, ველაპარაკეთ თურქულ-ქართულად. ცოლი უფრო ენაწყლიანი გამოდგა. სოფლის მონაცემები უკან ჩავიწერე. მერე აქმადი გამოგვევა და მიუხედავად სიძნელეებისა, სა-

თავემდე მიგვიყვანა. ის კი გამოდგა უთავიდან ქედით გამოყოფილი ხევის სათავე, რომელიც (ხევისწყალი) ვეება ლოდით ორად იყოფა. ერთი ლიდი ნაწილი ხევად მიედინება, მეორე კი კლდეს მოუყვება სოფლისკენ. მთელი არხის გავლას სოფლამდე 40 წუთი მოვანდომეთ, დაახლ. 3 კმ. ეს არხი ადგილებში კლდეშია გაჭრილი, მეორე მხარესაც ყორითაა გამოყვანილი, ზოგან მეორე მხარესაც კლდეა. ახლა ამ არხს უვლიან და ბეტონით ამაგრებენ, ზოგან კი მიწაყრილებში მოდის. არხს იყენებენ სარწყავად, ადრე კიდევაც სვამდნენ. სასმელი წყლის მილიც აქვე იღებდა სათავეს, რომელიც ახლა გაწყვეტილია. წყალი სხვაგნით მოჰყავთ მილებით.

ჩემი ძირითადი დასკვნაა: პარხლის ხეობა არხების განვითარებული ქსელით ხასიათდება. თითქმის ყველა, პარხლის წყლიდან ზევით მყოფ სოფლებს, ასეთი არხები პარხლისწყლის შენაკადი ხევებიდან აქვს გამოყვანილი. ამიტომ ქობაკი და უთავი ზავრიეთან ამ არხით ვერ იქნებოდა დაკაგშირებული. ე.ი. იმათ, როგორც ყველა სოფელს, თავისი არხები პქონდათ, რაც ხალხმა ერთმანეთს დაუკავშირა და თამარს მიაწერა მათი სიძველის გამო. სამანქანო გზა წვიმისგან წამხდარი ასეთი არხებიდან გადმოსული წყლის ჩანჩქერებითაა გადაგვებული.

მაღლიერებმა ცოლ-ქმარი ჩვენი მანქანით ავიყვანეთ წითლაპარში. ბალხი და ბალხიბარი ასევე ქართული (გურჯული) სოფლების სახელებია.

გზაზე გადავიდეთ და არ ავსულვართ სარიგიოლის ციხეზე, პარხლისწყლის მარცხნივ. დურბინდით მომეჩვენა თხელი კედლები, ნაგლუჯი ქვების გვიანი წყობით. ოსმალურ ნაგებობად ჩავთვალე...

მეორე უფრო დაბლა მყოფი ციხე მდინარის მარჯვნივაა კლდეზე. მას კასპირუქის ციხეს უძახიან. მიუვალიაო. დურბინდებში გვიანი წყობა მომეჩვენა, თუმცა ნარევიც ძველთან და უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე

სარიგიოლის ციხე (იქ „ყვითელი ტბა“ არსად ჩანს). ამ კასპირუქის ქვეშ სოფელს ჰქონა დერეპაზუ ე.ო. ხევისკარი და ციხეც მისი ჩამკეტია...

ამ ორ ციხეს შორის, მდინარის მარცხნივ ერთი სახლი დაგინახება ტერასებზე, მხოლოდ ვენახი ჰქონად გაშენებული. აქ ღინოს არ აყენებენ, უურძენს ყიდიან, საქმაოდ ძვირიაო, გვითხრეს...

## 16.07.08

დღეს კავკასიძეების ციხეზე გვინდოდა ასვლა – არ აგვიშგეს, საშიშიაო. ბ. კუდაგა<sup>12</sup> აუყვანიათ ალპინისტებს... ექვთიმეს მიერი იქაური ეკლესის წარწერა მურვან კავკასიძისა XV ს-საა და ეკლესის განახლებას გვაუწყებს. ის უნდა ყოფილიყო ამ საგვარეულოს რეზიდენცია. მათივე ყოფილ პარხალი და ოთხთა;

ექვთიმე არ განმარტავს ეს სამეფო მონასტრები როდის იქცა საკავკასიძოდ... აფსიდაში ქმიტორი უნდა იყოს გამოხატული ოთხთა ეკლესის მაკეტით. ზევით ექვთიმეს თქმით, მოსე ყოფილა, რომელიც ღმერთისგან იღებსო ქვის ფილებს 10 მცნებით... ასეთ უჩვეულო ფრესკა მის სიძველეზე მეტყველებსო. გასარკვევია საკავკასიძოს მოცულობა და ოარიდი...

**ისპირიდან ართგინს** მომავალი (იუსუფელი 1950-იან წლებში დაარსდა) გზა ჭოროხს მოუყვებოდა. რუკებზე 3 ციხე უნახავი გვიმდინა. ზევიდან დავიწყეთ.

ჭოროხის ზემო წელი უფრო განიერდება და აქ სოფლები უფრო მის ჭალებშია განლაგებული. წააგავს ბუნება მტკვრისპირებს სამცხეში. აქ მთები უფრო ტიტველია, ვიდრე პარხლისწყლის ხეობაში.

**სოფ. ქიოფრუ გორენთან** ხევი უერთდება ჭოროხს მარჯვნიდან. ხერთვისში მცირე კლდოვანი ბორცვია, რომელზედაც ოთხეუთხა კოშკია ნაგლეჯი კლდის ქვით შერეული წყობით ნაშენი. მხოლოდ კუთხის ქვებია მოზრდი-

ლი, გათლილი ლოდები. ორი სამზერი ჭოროხს გაპყურებს: ან გზა იყო მარცხენა მახრეს, ან ნავებით დაუშვებოდნენ. ქვევით გალავნის ნანგრევებია. ოშნახის ციხე ოსმალური უნდა იყოს, გზის ჩამკეტი ჭოროხსა და მის შენაკად ხევზე.

უფრო დაბლა ჭოროხს უერთდება **ერსისის ხევი**. აქ გზა გადის ჭოროხის მარჯვენა მხრიდან ამ ხევით ოშეის ტაძარზე გარდამავალი. იქ მაღალი კლდის ხერხემალია, რომლის ქიმზეა **ერსისის ციხე** (მდებარეობით წააგავს ბოსელთის ციხეს). ყოველი მხრიდან მიუვალს, სამანქანო გზით დავადეჭით ქვედიდან. აქედან ადვილად მოსასვლელია და 30 მ-მდე სიმაღლის კოშკი და კედლებია, აქედანგვე აქვს შესასვლელი, ამ სამსართულიან, ოთხეუთხა კოშკს. ეკლესიის კვალი არა. არის მრგვალი წლის ორმო, ყრუ კედლებიანი ოთხეუთხა მცირე, იზოლირებული კოშკის ნანგრევი, 4-5 სათავის. ყველაფერი ნაგლეჯი ქვით ბათქაშზეა ნაგები. ესეც ოსმალური ციხე უნდა იყოს, თორთომის ხეობიდან აქეთ მომავალი გზის ჩამკეტი: სწორედ მისკენაა მიშვერილი სამზერები. ციხის ქვეშ **სოფ. ერსისია**.

ამ ხევის ჭოროხთან შესართავში, აუგალ კლდეზე კიდევ ერთი ნაციხარის ნანგრევია **სოფ. სელუქბადლართან**. ისიც ოსმალური ციხე უნდა იყოს ჭოროხის გზის მოდარაჯე.

ოლთისის წყლის მარჯვენა შენაკადზე ხუციშვილს იშხნის **ციხე** აქვს აღნიშნული, თუმცა ის იშხნისხევისაგან ქვედითაა გამოყოფილი. იქ პამუქჩულარის ციხე დაპყურებს მაღალი კლდიდან მის ქვეშ გაშლილ სოფელს. აქ ერთი ზურგიანი კოშკია 3-4 სართულით. სამზერები და სათოფური მისასვლელ მხარესაა, ოვალურ გალავნის შიგნით სათავსთა ნაშთებია. შესავლელი ს-დან პქონიათ. ჩარი ქვისა ყოფილა ქუსლიანი. კედლები თხელი, ნარევი, გვიანი ოსმალურია.

იმავე ხევის მარჯვნივ ამოშენებული ციხექვაბია 3  
ნაწილად. 3-4 სართული მოჩანს. წყობა აქაც გვიანია.  
იშხანიც ვნახეთ...

## 17.07.08

იუსუფელის ბუკლეტში რაღაც ეკლესია იყო გალავნით. ბევრი ვეძებეთ, მიგვასწავლეს: ოლთისისწყალს მარჯვნიდან ხევი უერთდება იშხნისხევის ზემოთ. იქ ზეგანზე ავედით ქვევით სოფ. დარიჯია, ზეგანზე მისი უბანი – სარიტოსუმ. შეა სოფელში ძველი ერთნავიანი დარბაზული შენობაა. ეკლესიას შეასვლელი N-იდან აქვს, აქვე მეორე კარია სანახევროდ ამოვსებული. აფსიდაშიც ერთი ოთხეუთხა ნიშა N მხარესაა და სარკმელიც. ნაშენია საშუალო ზომის გათლილი ქვებით რეგულარულად.

სოფლის NO-ით კიდევ 2 ეკლესიაა. აქედან ერთი მოზრდილი გათლილი ქვების რიგებით ნაშენია, რომელსაც ენაცვლება ბრტყელი სწორი ქვები. მოზრდილი დარბაზი სამნავიანია. როგორდაც ვიწრო N და S ნავებით. N ჩანგრეულია, S უკეთ გადარჩენილი. S შემოსასვლელთან ეს ნავი კედლითაა გადაკეტილი. მას თავისი აფსიდა, სარკმელი და 2 ოთხეუთხა ნიშა აქვს. ლამაზია მისი თაღი. W შესასვლელით ფართო შეა ნავში შესულს აფსიდაში მოხატულობის კვალი გვხდება. ეკლესიის S-ით ოთხეუთხა შენობა ზევით სამრეკლო, ქვევით საძვალე უნდა იყოს.

მეორე, აგურის ერთნავიანი დარბაზული გალესიაა. მას W შესასვლელი აქვს. დახურვა – მთელი. აფსიდაში ორი მომაღლო ნიშაა, S-ით უფრო მაღალი. N და S კედლებში, 2 ფართო თაღით გამოყოფილი ფართია, წინ შემაღლებული, ოთხეუთხა იატაკით. ქვეშ თაღოვანი საძვალეა (?).

ამ ეკლესიას აგურისავე გალავანი და ოთხეუთხა კარიბჭე აქვს, რომლის -კედლებში კიბეა, ალბათ სამრეკლოზე აღმავალი, რომელიც ახლა მონგრეულია. ეს გან-

სხვაგებები ამ ბოლო ეკლესიას სომხურად მაფიქრებინებს. ის უფრო გვიანი მეჩვენება, ვიდრე 2 სხვა. სოფლის O-ით მაღალ კლდეზე ციხეა. მაღალი 3-4 სართულიანი, მრგვალი და ოთხკუთხა კოშკები ნაგლეჯი ქვის ნარევი წყობისა, არის თევზიფხურიც. გადაკეთება-რემონტი ცხადია. ქვედა ციხეში შესასვლელი თაღოვანია, კუთხიანი არქიტრავით. აქვეა რაღაც თაღოვანი, ყრუქედლებიანი დაფლული შენობა, იქნებ სანოვაგის საწყობი. მის O-ით შემაღლებაზე ოთხკუთხა მოგრძო უსახურავო დარბაზი შეიძლება ეკლესია იყოს N შესასვლელითა და ერთი სარკმლით O-სკენ. საკურთხეველი ბრტყელია. ზედაციხეს გარედან 4-კუთხა შესასვლელი უჩანს, იქ ვერ მივედით. ეს მიუვალი ციხე შესაძლოა, ძველზე დაშენებული ოსმალური სიმაგრე იყოს. S-ით ქვედზე ბილიკებია, იქნებ იშხნისკენ მიმავალიც... სოფლის ძველ ეკლესიას სასაფლაო აკრავს. ჩამოსვლისას სოფლის სახელი გვითხრეს – **ხნძორ...**

მერე წავედით **ხახულში...** ეს მე შარშან ვნახე. მოლამ კარი გაგვიღო მეჩეთში, რომელმაც შეინახა ძეგლი მთლიანად. გადავიღე ძველ ხიდზე დაშენებული ახალი. გამოუვარეთ **აზორტის ციხეს**, გადავიღეთ, ასვლა ხვალ **აშმაშენთან** ერთად. გადავიღეთ თორთუმისწყლის ჩანჩქერი, რომელიც ტურისტებისთვის მოუწყვიათ. ტბაში ნახევარკუნძულზე სასაუზმეა ტურისტებისა. ოშეში სიბნელით მოვედით: ასე უნდოდათ გადაღება „კინოშნიკებს“... ხვალ იუსუფელიდან **თორთუმისწყალს** გავვებით **აზორუმისკენ**. ვნახავთ აშმაშენისა და აზორტის ციხეებს, თორთუმსაც – თუ მოვასწარით. იუსუფელს 5 წელიწადში კაშხალის წყალსაცავი დაფარავს, 1250-ან წ-ში აგებულს.

## 18.07.08

დღეს დაგტოვეთ იუსუფელი. პირველად ვნახეთ **აშმაშენის ციხე**. მე და ოზორ წავედით. სხვებმა თქვეს – მიუ-

ვალიაო. თოკი ჩამაბა, თუმცა არ დამჭირვებია... დროშა აიტანეს თურქებმა და ჩვენც ავედით. ციხე ორი ნაწილისაა – ქვედა ციხეში მრგვალი კოშკით შემოდიხარ. ის ორსართულიანი უნდა ყოფილიყო. იქვეა ხარო თვალური, ამოშენებული კედლებით. გალავნის სამზერები ყველა მოსახლელსა და წყლისპირა გზას გადაჰყურებენ. ქვედა ციხიდან ზედაზე ასასვლელში ბათქაშის ორი ნაკვალევია (ნახევარწრიული) იქნებ ჭურებზე მიგვითოთებდეს. ზედა ციხის მრგვალ კოშკში საპირფარეშო დაბალი ნიშაა და ხერელი კედლის სისქეში. აქ ჩაცუცქულმა სურათი გადავიდე. მაგონდება მინდაციხე, ძამისციხე... ესაა ნამდვილი გზის ჩამკეტი ციხე, რც ბატონობს ოშკის ციხე-ქვეყანაზე. წყობით ის არაა ისე ძველი, როგორც ბოსელთა იყო, თუმცა XIII–XV სს-ში იქნებ ძველ ნაციხარზე აშენდა...

**ოშკის** საინტერესო დეტალები ისევ გადავიდეთ, სანთელი დავანთეთ. მე აქ საკურთხეველში ფრესკულ წარწერაში ჯოჯიკი მახსოვდა, დამხგდა „შეგამკვე და განგაშენე“. საოცარია ჩორდვანელთა ეს ვეება ტაძარი. ალბათ ბასილის გადაბურვის მერე იღებენ (?). რატომაა მხოლოდ აქ ასე დაწვრილებით მოთხოვობილი მშენებლობის ანგარიში? სხვაგან რატომ არაა? რომელი მკითხველისთვისაა ეს საინტერესო?

მთავარი საკურთხეველი დვოისმშობლისაა, S-წმ. ნიკოლოზის, N-იოანე ნათლისმცემლისა. და მაინც ამ უკანასკნელის სახელობისაა ეს კოლოხი. რელიეფებშიც დვოისმშობელი, იოანე ნათლისმცემელი, ქტიტორი მეფეებია, წმ. ნიკოლოზის ფრესკა სადღარა? არზრუმის მუზეუმში სილოგავას<sup>13</sup> ნაპოვნი რელიეფებია გადასაღები.

**აზორტის ციხე** შორიდანვე იტაცებს თვალს. მის ძირში ხიდით გაყოლილ გზას გავყევით. იქ ახლა ამ კლდის ქვებისგან ქუჩის მოსაკირწყლავ კვადრატულ ქვებს ჭრიან.

ასასვლელი ბილიკი საკმაოდ დაკიდულია. თაზო და მე შეგვიდექით. პირველი რაც შეგვხვდა N ფერდზე, ამოშენებული გვირაბი იყო, რომელიც, ჩანს, თორთომის წყალზე ჩამოდიოდა. O-ით აქ მცირე ხევი უერთდება მას – მარჯვნიდან. გვირაბი შუაზე ჩანგრულია, მისი ქვედა ნაწილი – ამოქოლილი. ქვედა ციხეში შესასვლელი მრგვალ კოშკში O-დანაა. ალბათ გვირაბს ამოყოლილი ბილიკით. შესასვლელთანვე იწყება გვრაბში ჩასასვლელი. ამის მერე კოშკსავე მთელ სიმაღლეზე მიჰყვება კიბედ გაშლილი დაკიდული კედელი. აგცოცდეთ თოკის გარეშე. მერეც ეს ასასვლელი გვირაბს მიჰყვება, ადის O-ით მყოფ 2 ოთხკუთხა სათავეში. მერე ისევ კიბებით ასული ხვდები უსახურავო კორიდორში, რომელიც O-დან S-ით უგლის ზედა ციხის კომპლექსს და მიადგება მთავარ, უმაღლეს ოთხკუთხა კოშკს. დაკიდულ კლდეებზე ერთგან S-ით, გასასვლელი ჩაქცეულია და დერეფნის ბოლომდე ვერ მივედით.

ზედაციხის შესავლელი O-ითაა, ის ახლა ისეა ჩამოზვავებული მიწით, რომ ფორთხვით შეისვლება.

აქ მარცხნივ ვეება ოთხკუთხა დარბაზია ორსართულიანი. ქვედა შელესილია. მისი ფართია 10x12 კვმ. გადახურვა (თუ იყო) ალბათ ბანური იქნებოდა. არ მესმის ამ სათავსის დანიშნულება. მის მეზობლად კარით შედიხარ ყრუ გამოქვაბულში – ალბათ სანოვაგის შესანახი თუ იყო. მარჯვნივ წყლის დიდი ორმოა ამოლესილი, იქვეა ხარო და რაც მთავარია, N განაპირზე დგას მცირე კალესია (3მx4მ.). ის, როგორც ყველა სხვა კედლები ნაგლეჯი ქვით ბათქაშზეა ნაშენები. საკურთხეველში ერთი სარკმელი და 2 კვადრატული ნიშაა. N სარკმელი და S შესავლელიც შერჩენილია, გადახურვა აღარაა. შიგნიდან შელესილს მოხატვა აღარ უჩანს...

კალესის SW-ით მცირე ნახევარწრიული კედელია, რომლის თაღი N-ით გადის და ზედ გზას დაჲყურებს. აქედან დაშვებული ლოდები ბილიკთან მოსასვლელს იცავდა.

მთავარი ოთხკუთხა კოშკისეკენ კედელს მიუყვება დია კიბე. ის 3-4 სართულიანი იქნებოდა. N კედელში დიობია, ალბათ აიგანზე გასასვლელად. იქ ვერ შევეძით.

მთავარი კოშკის ქვევით, N მხარეს, ზედვეა ორი ოთხკუთხა კოშკი მიშენებული. მათ ცალკე შესასვლელები აქვთ O-დან. მესამე კოშკიც ოთხკუთხაა და მთავარს ეკვრის O-დან.

კიდევ რაღაც ნანგრევია გალაგნის შიგნით ზედაცის ტერიტორიაზე.

ზედაცის შესავლელს შიგნიდან მაღალი თაღოვანი შედრმავება აქვს. მისი დანიშნულება გაუგებარია. ეს ციხე თავისი წყობით არაა ადრეული. თუმცა სომხური გეოგრაფის **აზორდაცფორი**, ეგეპის, აქ ადრეულ ციხესაც ვარაუდობდეს.

ქართული მფლობელობის გვიანი საუკუნეები კი აქ აშეარაა. აქ უნდა მსხდარიყვნენ ის ძმები, ხახულარები, ნავყვარყვარეს საბუთში რომ ისენიებიან ათაბაგის მეტოქებად („მრავალთავი“). იგივე ციხეა თურქულ წყაროებში მოხსენიებული (ჩემი წერილი თორთომისხევზე აღარ დაიბეჭდა?)...

**არზოუმისაკენ** გზა თორთომისწყალს მოუყვება. უნახავი გვრჩება ისი, ექექი... არზოუმამდე 70 კმ-ზე გახვდება „დერეპაფუ“ – ე.ო. ხევისკარი. აქ მართლაც ვიწრობია. აქ იქნებოდა **ხანი**, ან ხიდი.

გზა შეუმჩნევლად ამოდის ზეგანზე. რაიმე მნიშვნელოვანი უდელტეხილი არ ჩანს. ახალი გზის გაყვანა ყველაფერს ანგრევს. გზის მარცხნივ, კლდეზე რაღაც ნანგრევი, შესაძლოა, რუკაზე აღნიშნული ციხე იყოს. თორთომის ციხეზე ეტყობა სხვა გზით უნდა მივიდეთ არზოუმიდან. მოსაძებნია გურჯი ბოდიზიც. ქ. თორთომს ამოვუარეთ და არზოუმის ფართო ველზე ამოვედით. მოვთავს-დით სასტუმროში...

## 19.07.08

დღეს არზრუმს მოუნდით. ყველაზე ძველი აქ ციხეა, რომლის კედლებში V ს-ის ფენას ეძებენ რომის ბიზანტიური ხანიდან. მას მერე აქ ქალაქია. ციხეში სელჩუკების აშენებული მეჩეთი და მინარეთია, რ-ის არაბული მინაწერი 1124-32 წლისაა. მინარეთზე ავედით და გადვიდეთ სურათი. ციხეში გათხრები სწარმოებს და ნაგებობანი ჩანს. ქალაქის მუზეუმში ოშეში სილოგაგას მიერ ნაპოვნი წარწერიანი რელიეფები გადავიდეთ. არქეოლოგიურ მასალაში ჩანს თრიალეთურის და მარტყოფის ნივთებთან მსგავსება. ისიც გადაიღეს. გარეთ საფლავის ქვებად გამოყენებული ცხვრებია. ე.ი. სხვაგანაც ყოფილა ეს ტრადიაცია.

სადამოს ბასიანის ველზე გავედით. აქ ახლა პატარა დაბაა. კლდეზე ციხეა, რომელიც წვენ წყაროებში არ იხსენიება. ოსმალური უნდა იყოს. ზედაციხეს ორი გალავანი ევლება, ყველაფერს გათლილი ქვებით ანახლებენ... ეს უზარმაზარი შენობა მოელ არმიას დაიტევდა. ერთგან დამხრობით O-W შენობის O კედელი ჩანს სარკმლით. ის ოთხეუთხა ბურჯზე დგას. ასეთებით დანარჩენი კოშკებიც. ეკლესიად ჩათვლას ხელს უშლის აფსიდის რკალის უქონლობა. ციხეს S-ით ჩაუდის არეზის-არაქსის წყალი. მესაქონლე, მემარცვლე ზეგანი. შესაძლოა, ესაა ჰასან-კალე. არზრუმს რამდენიმე კარი ჰქონია, ერთს გურჯიგაფუ – ე.ი. ქართლის გარი რქმევია. ახლა ამ უბანსაც ასე უწოდებენ, ხოლო 1608 წ. იქ აშენებულ მეჩეთს „გურჯიგაფუს მეჩეთი“ ჰქვია. „გურჯი ბოლაზი“, თორთუმი და აზორდი ხვალ გზად უნდა ვნახოთ, მერე ოლთისი. დაუდის მაგიერი მოვიდა.

## 20.07.08.

დღეს გამოვედით არზრუმიდან. დათომ (დაუდი) დაგვტოვა, ჩვენი თარჯიმანი ვახტანგ საღინაძეა<sup>14</sup> – თბილისში მაცხოვრებელი, რომელსაც ართვინში აქვს სკოლა დამ-

თავრებული. არზრუმიდან გამოსულების პირველი მიზანი გურჯი ბოლაზი იყო. სოფ. შივექში 80 წლის მოხუცმა მიგვასწავლა ეს ადგილი. მისი შეილი ჩავისვით და წავედით. ახლა ეს ადგილი ძველ ნაგზაურზე ჩვენი მანქანით მოვიხილეთ. გაშლილი ზეგნიდან გზა მთიან ხეობაში შემოდის. ეს სახელი დას-დან შემოსულისთვის არის „საქართველოს კელი“. ახალი გზა მას სრულიად შორდება. ახლა ამ მცირე გადასასვლელს „თაშლი ბოლაზ“-ს უწოდებენ. მოგონილიც აქვთ ოქმულება: ვიღაც უდირსი კაცი ჩაუქოლავთ (ქალის გაუპატიურებისთვის) და მის მერე ყველა აქ გამომვლელი ქვას აგდებსო... მთებში გამავალი ეს გზა მანძილს ამოკლებს და ჩამოდის ოსეანში – კ.ი. დასასვენებლად სადგურში მძიმე გზის მერე... გურჯი ბოლაზი თითქმის პერპენდიკულარულია ახალი გზისა. მით ახლა მხოლოდ საქონელი დაიარება, გადავიდეთ...

მერე თორთუმყალაზე მივედით. აქ ასფალტიანი გზა მოდის სოფელში, ციხის ქვეშ ორორთუმისწყალზე რომაა გაშენებული. ეს კლდეზე ნაგები ლამაზი ციხე ორი ნაწილისაგან შედგება. ქვედა ციხის შიგნით გზიდანვე იქცევს უურადღებას ეკლესიის ნანგრევი. აქ მხოლოდ W კედლის ნაწილი, N კედელი და აფსიდის N ნაწილია შერჩენილი, თაღოვანი გადახურვით. შესასვლელი S-დან იქნებოდა. აფსიდაში N მხარეს, სარკმლის მარცხნივ, ორი მაღალი ნიშის თაღები მოჩანს. ასეთივე იქნებოდა სარკმლის მარჯვნივ. რომელიდაც აქაურ ცნობილ ეკლესიაში ოთხ-ოთხი ასეთი ნიშა იყო სარკმლის ორსავე მხარეს. N კედელში 2 ნახევარსვეტია, რომლებიც კედლის ნახევრამდე ჩამოდიან. ზევით პროფილისებური სვეტთავებია. ეკლესიის წყობა, ისევე როგორც ციხის ძველი ფენები, საშუალო ზომის კლდის გათლილი ქვებით რეგულარულადაა ნაგები. გადაკვეთების კვალიც ხშირია. ზედა ციხის კოშკები მრგვალიცაა და ოთხკუთხაც. არის

სათავსების ნაშთები, ორმოები. ერთი თადოვანი აგურის შენობაა, შიგნიდან ამოლესილი “წყლის აუზი?” ზედა ციხის მთავარი კოშკი ორსართულიანია.

ქვედა ციხის გალავანი კლდის რელიეფს მიჰყვება. იქ ერთი მოზრდილი კოშკია ოთხეუთხა, 2-იც ძველ კედლებზეა დაშენებული. აქ კედლებს გასწვრივ ხის ძელები აქვს ჩაუოლებული. ინგლისელის გეგმაზე (ჩემ სტატიაში მაქვს) ეს რუსული ჯარის ნაკვალევადაა მიჩნეული.

ციხის ქვეშ გაშლილი სოფელი (სახელად **თორთუმბ-კალე**) ქალაქის ნაწილზეა გაშენებული: მშვენიერ ბაღ-ბოსტნებია თორთომისწყლის ნაპირებზე.

თაყა ფანასკერტელის ბრძოლა მოვიგონე თემურლენგთან, ეს ეპიზოდი ჩაიწერეს ბიჭებმა. აზატმოსე არ ვახსენ... ფანასკერტელი (ამიერტაოდან) თორთუმსაც ფლობს იმიერტაოში, ე.ი. ორივე ტაო ერთი საერისთავოა. ასევე ორივეს აერთიანებს იშხნისა და ბანას საეპისკოპოსოები. ე.ი. “ამიერ და იმიერ” ცნებები გეოგრაფიულია, რაც არ ასახულა საერო და საეკლესიო დაყოფაში.

მიშამ<sup>15</sup> და ბიჭებმა, მე და თამაზი გაგვისტუმრეს კლდეზე ნაგები კალადიბის ასაღებად. თამაზი ვერ აძვრა და უნახავი დაგვრჩა შიგნიდან ეს „**ციხისძირი**“. გამონგრეული შესასვლელი და გვიანი ოსმალური კედლები გარედან გადავიდეთ. თურქული წყაროები ამ ციხესაც უნდა იხსენიებდნენ.

## 21.07.08

**შავშათის** პროვინციულ სასტუმროში მოვეწყეთ. საკიდებიც კი არაა... შავშათი 1916 წ. 5-ვერსიან რუკაზე ჯერ არაა აღნიშნული. იქაა **სათლელის რაბათი**.

ჭოროხის ხეობის ვეება შიშველი კლდეებიდან უცებ ნაძვნარიან ხეობაში გადმოვინაცვლეთ. ბორჯომი-ბაკურიანი, ან შოვი... ეს ნაცნობი ქართული გარემოა. აქაურ მთიან სოფლებშიც, პირველ ყოვლისა, გზებია მოვლილი, ზო-

გან ბეტონისაცაა. ამით აკავებენ აქაურ სოფლელებს. ჩვენთან უგზოობა სოფლიდან ქალაქში მოერეპება ხალხს, მერე – სოფელი დაცლილია და გზა ვიღას უნდაო და ასე გავხდით თავკომბალა...

**დაბაწვრილი** ძველი სახელია, ახალი თურქული – არ მახსოვს. ის შავშეთისწყლის მარჯვენა შენაკადის სათავეებშია (მასურეთი). აქ სოფლის შუაგულში, პატარა თხემთან, გორაკზე მოჩანს კოშკის ნანგრევი. ის მცირე ზომის თანაბარი ქვებით რეგულარულად კირზეა ნაწყობი. ჩრდილ მცირე ნანგრევია თაღოვანი გადახურვის ნაწილით. ის გალესის W და N გედლების ნაწილი შეიძლება იყოს. მის დასით კიდევ ერთი ნაგებობის ბუდეა. წყობით შესაძლოა განვითარებული შუა საუკუნები იყოს. მე მგონია, აქედან ბილიკებით შეიძლება არტანში გადასვლა, შესაძლოა მათი ჩაკეტვაც ევალებოდა ამ სიმაგრეს.

ამ ხევის პარალელური ხევი დასით უსახელოა, ზედ პუნქტებია: **ციხია, სხლობანი, მერია.** ხუთვერსიანის ჩვენი პლანშეტი არავითარ ნანგრევებს არ აჩვენებს. იძულებული ვარ ხუციშვილისა და ბაგრატიონების რუკით ვისარგებლო. დაბაწვრილი ამართლებს თავის სახელს. სხვა ხევზე არის დაბაკეთილი. ხეობის დაბაჭველივით, ესეც ძველი ქართული ფორმაა. მერე წავედით ოქრობაგეთში, იქაური ციხე და ეკლესიის ნანგრევი უპევ მარს<sup>16</sup> აქვს დღიურში. სოფლის შუაში მოზრდილი ოთხეუთხა შენობაა 2-3 სართულიანი. მის კედლებში შიგნიდან გასწვრივ ხის მორებია დატანებული და შიგვე ჩამოცვენილი. აქ ერთგან ბუხარია დაყოლებული. ადგილობრივთა თქმით, აქ ბოლოს უცხოვრია **ზორაბეგის**, რომელსაც აქვე აბანოც ჰქონია. მახლობლად მისი საფლავიცაა. ამბობენ, აქ ეკლესია იყო, რომლის ადგილას ახლა სკოლააო.

**თქრობაგეთის** ეკლესია მგონი, ექვთიმესთანაა. აქ სამნავიანი ტაძარი უნდა ყოფილიყო: აფსიდაში დაცულია გათლილი ქვების პორიზონტალური რიგები. აფსიდაში მრგვალი სარკმელია. სამკვეთლო და სადიაკვნე თანაბარ, საკურთხევლის დონეზე შემორჩენილი. ორივეს სწორკუთხია აფსიდი აქვს, ერთი კვადრატული ნიშით. თითო სარკმელი S და N კედლებში. W კედლი შერჩენილია, ოდონდ გაფცევნილია მოსაპირკეთებელი ქვებისაგან. ამ ეკლესის ქვები სათლელის ციხეში გადაიტანესო...

**ბალგანაში** არაფერიაო და არც წავედით. მეორე დღეს ჩიხორში კი მეტყველებ გვითხრა მშენების მაღალიაოდ...

მარის დღიურში ველისა (ველიქო) და ბარის ციხებია აღნიშნული.

## 22.07.08

ჩვენი სასტუმროს ადმინისტრატორი ქართველი გამოდგა და თავის სოფელში ენიგაია (ძველი ციხეაო) ციხესიმაგრე დაგვისახელა. წავედით. შავშეთისწყალს მარჯვნიდან უერთდება ამ სოფლის ხევი. ის მე-12 კილომეტრზე სათლელიდან. ავედით საოცრად მაღალ მთაში, სადაც სოფლებია გაშლილი.

კლდეზე ციხე მოჩანს. მის ძირში **სოფ.** წევთიძ, ე.ი. ესაა **წევთისციხე.** მანქანა საკმაოდ ახლო მივიდა. გამყოლად ორი ქართველი წამოგვყვა, ერთი დერგიშაშვილი იყო, მეტყველე. არ დაიჯერეს, რომ ოქროს არ ვეძებდით... ეს ხალხი შემლილია ამ თემაზე!

ციხე საკმაოდ შთამბეჭდავია. დიდი მრგვალი კოშკის წყობა საშუალო ზომის ქვებისაა, რეგულარულად. შესასვლელი ჩამონგრეულია. მეორე, O კოშკის S-ით მცირე ეკლესის ნაშთია დაახლ. 3X2 მ. წყობა აქაც ციხისაა. მის სამხრეთით, ეკლესის იატაკის დონეზე თაღოვანი სათავსის ნანგრევია, რ-საც კედლები შიგნიდან შელესილი აქვს.

წყლის რეზერვუარად ჩავთვალე. SW-ით არის მესამე კოშკის ორმოც. აქედან შესანიშნავად ჩანს თრივე ხეობის სოფლები, იქ გამავალი გზები და რაც მთავარია ციხე აკონტროლებს ორი მეზობელი ხევის შემაერთებელ გზას. წევთის ციხე უნდა იხსენიებოდეს XI ს-დან. ციხის NO-ით გზა ამოდის „ბაწარა“. ის მიადგება თაღოვან მაღალ კარს. აქ შერჩენილია თაღოვანი გადახურვის მოგრძო შენობა უსარკმელოდ, ოღონდ N კედელში ჩანს სათოფეები. პირველი დარბაზიდან შედისარ მეორეში სწორკუთხა გასასვლელით. ის უფრო ვრცელი მეჩვენა. ესეც თაღოვანი სათავსია, რომლის N ყრუ, მიწაში ჩამჯდარი კედელი ოქროსმაძიებლების მიერაა ჩამონგრეული. ორსავე დარბაზში ჭურების ნატეხები სალტეიანია. ე.ი. პროვიანტისა და სიონის საწყობი უნდა ყოფილიყო მეციხოვნეთათვის, რომელიც გვიან შუა საუკუნეებშიც მოქმედებდა. ქვევით წევთიბარია.

ეს სოფლები უბნებად განაწილებულია მთის ფერდობზე და ქართველებითაა დასახლებული, ზოგს ახსოვს ძველი გვარი, სხვებს – არა. ლაპარაკით გვაგებინებენ, შეილები ვეღარ. მთის სოფლებში წყალი კარჩხალის მთიდან გამოყავთ, საკმაოდ შორიდან. მოყავთ ყველაფერი: მარცვლეული, ბოსტანი, ხილი (“აღესა”), ფუტკარი, საქონელი, ფრინველი. მეზობელ ხეებია სოფლები ზემო და ქვ. — ჩიხორი (საქართველოში ჩიხორიში). მარის დღიურში ჩამოთვლილია მათი უბნები: ანდრიაწმინდა, წითელოდლი, ლიბანი, დასამობა, გოგოეთი, ბრილი, აგარა, ნიოლეთი (ნიოლისძე), მერვეზი, ჭედრიული. ახლა დაამატეს: თეთრავეთი, გარდისყანა (?), ბერიეთი, წურიეთი, მაფრიეთი, ჭედრული. დაასახელეს სხვა სოფლებიც: შერთული, მარაბული, ახალდაბა (იქ ქართველები აღარ არიან). “ეთი” დაბოლოება ეგების გვარების ერთად ცხოვრებას აღნიშნავს. მართან მიქელეთია გარემოფთან.

ავედით არდიაწმიდაში (ანდრიაწმინდა) (sic), ესაა მთის საზაფხულო სოფელი მესაქონდეთათვის სეზონურად (აპრილიდან ოქტომბრის ბოლომდე). დასახლების თავზე კლდეებია, სადაც ბუნებრივი “მაღარა” (გამოქვაბული) ყოფილა. სოფლის შემოსასვლელთან გზით ყელგადაჭრილი გორაკია, სადაც ძვ. და ახალი საფლავებია. ამბობენ, აქვე იყო „ზიარათი“, რომელიც ოქროსმაძიებლებმა გადათხარეს.

ამ ხეობაშიც ქართულად მეტყველებენ: ზოგს ახსოვს გვარი: ჩოლოყაშვილი, ველიშვილი, თამაზაშვილი. ახალგაზრდებს, უფრო ბავშვებს უჭირთ. ელდარმა მათ ქართულ-თურქული ანბანი დაურიგა. მეურნეობა აქ ისეთივეა, როგორც წეფთისხევში. ყველგან ახსენებენ თამარას და არხების თაობაზე ყველან...

## 23.07.08

დღეს სათლისწყალს ავყევით. პირველი რაც იყო, ესაა ხიდი მარისგან შენიშნული. ის ერთმალიანია, მთელი. ის ზევიდან გადახურულია ახალი ხიდით, გაგანიერებულია და ახლაც მოქმედებს.

ხუციშვილის რუკაზე აღნიშნული იყო გარელოფის ციხე. მივედით, სოფელში არავითარი ასეთი არ აღმოჩნდა. წყაროში XI ს-ში მოხსენიებული წეფთის ციხესთან ერთად, ასე უკვალოდ როგორ გაქრა?

სამაგიეროდ ვნახეთ ციხისძირი (კალადიბი), იგივე სვეტი, რაც ჯერ კიდევ გიორგი ყაზბეგმა<sup>17</sup> შენიშნა. ესაა ტბეთის ზევითა სოფლის განმხოლოებული წვეტიანი გორაკი, რომლის გვერდით ახალი საცხოვრებელი შენობებია. გორაკზე მრგვალი კოშკის ნანგრევია, ნაგლეჯი მცირე ზომის ქვებით ნაგები კირზე. ეს კოშკი მართლაც, სვეტად იქნებოდა აღქმული მცირე დიამეტრის გამო. იქვეა წყლის რეზერვუარი, ამოლესილი შიგნიდან. არის მეორე კოშკის (?) ბუდეც, სხვა 3-4 სათავსის ბუდეც, რომელთაც გალა-

ვანი უნდა პქონოდა შემოვლებული. ის არც ისე მიუვალი სიმაგრეა, რომ მთავარ ეპისკოპოზე, აქ გამაგრებულს, ბიზანტიელებისათვის გაეძლო. უნდა ვენდოთ წყაროს. მტბევარი ეპისკოპოსისათვის შავშეთის ერისთავობის მინდობაც რადაც გამორჩეული დამსახურებაა (ახსნა უნდა!).

შეჩვენება, რომ ეს გაიგივება უფრო სარწმუნოა, ვიდრე სამუშიას<sup>18</sup> ნაპოვნი კედლის ნაფლეთი ტბეთში... იქ ასეთი ვერ მიგვასწავლებ, თუმცა ტოპონიმიაში ჩანს ნაყალევი ტყეში (ცეცხლაძე<sup>19</sup>).

**ტბეთის ტაძარი** მეც და ბიჭებსაც გადაღებული გვაქს. ამიტომ S კედლის გადაღება ვიკმარე. გარყდოფის ციხის ძებნაში სოფ. შავმთის ნაეკლესიარი ვიპოვეთ. იქ მოზრდილის ეკლესიის მხოლოდ გაფცევნილი საკურთხეველია, N-ით სარეზონანსო ჭურით. განვითარებული ფეოდ. ხანისა უნდა იყოს.

**წავედით იმერხევში,** რის იმიერი ხევია? პირველი, რაც აქ შეგვხვდა, ძველი ორმალიანი ხიდი იყო. მარცხენა მალი ლამაზად შემორჩენილა შუა ბურჯამდე, მდინარის მარჯვენა კი, – აღარა.

**შერე ჯგარისხევის ციხე** ვნახეთ (ჯვარი სადღაა?). ეტყობა მნიშვნელოვანი „ჯვარი“ იყო, რომ ხევს მისცა სახელი... ციხე კლდეზეა, მოჩანს 2 მრგვალი კოშკი. ნაგლეჯი ქვით ბათქაშზე ნარევი წყობით ნაშენი. გადარჩენილის მიხედვით, ორსართულიანი უნდა ყოფილიყო ორივე. ერთ კოშკს მეორე სართულში შესახვლელი აქვს, გარეთ კი გამოშვერილი ქვა მისადგმელი კიბისთვის. აქვეა საოთვე ღრმულები. კოშკში ერთ ლომი, წერაქვი და ურო ოქროს-მაძიებელთა შრომის იარაღები... ამ ხალხს ვიდაცა უნდა შთააგონებდეს, რომ ქრისტიანულ ძეგლებშია მაინცდამაინც თქრო ჩამარხული... მეორე კოშკი სანახევროდ დანგრეულია, იქ ორი კვადრატული სამზერია. ორ მთავარ კოშკს გალავანი აერთიანებს. აქ ორი პატარა კოშკის ნანგრევია, შემოსახვლელის საცავად. არის ქვევრის დიდი ნა-

ხევარიც... ეს ციხე ოსმალურია და, ცხადია, ჯვარისხევზე გვიანი.

გზაზე, მდინარის მარცხენა ნაპირზე სოფ. ყოფილა – **დემირკაფუ, ე.ი. რკინის კარი.** იქ არაფერიაო...

ავედით მაიდანჩიყში. აქ ქართველები არიან. გვარები ელდართანაბა. ციხე კლდეზეა. არ აგვიშვეს ჟანდარმის გარეშე. დურბინდით – ოსმალურია... სოფლების სახელებია: ივეთი, იფხრევი, დიობანი, სოფლიეთი, წყალსიმერი, სესილეთი, სურვანი, ჩიქველთა (ციხეა იქ), რახათი, დასამობა, შარაბული. იფხრევის ციხეს პარეხი ჰქვია, თამარას აშენებულიაო...

## 24.07.08

**ბერთას დღეს ორთაქიო ჰქვია.** აქ ჟანდარმის უფროსმა მიგვიწვია. პასპორტები მოგვთხვა, რომლებიც სასტუმროში გვქონდა დატოვებული. დარეკა, შეამოწმა და დაკმაყოფილდა... მერე ყავით გაგვიძასპინძლდა, დედით ჩეჩენი ახალგაზრდა. მოგვიყვა: შარშან აქ იყვნენ ხელოვნების ისტორიკოსები ვ. გრემელიშვილის<sup>20</sup> მეთაურობითო (მეც მთავაზობდნენ წამოსვლას...) ჩვენც იქ ვიყავით ხანცთაში, და დათვებისგან ვიცავდითო. ვანოს, გრემელაშვილს, არყის სმა მოუწონა... რაა ეს ხანცთა ასეთი მნიშვნელოვანიო. მოვუყევი მოკლედ... შემდეგ გზა მიგვასწავლა და პატივით დაგვემშვიდობა.

სოფლის განაპირას მეჩეთია მინარეთით. იქვე ძველი ბერთის საგრაპეზოსი თუ სკრიპტორიუმის ერთი ვრცელი კედელიდა დარჩენილი ქარაფის პირზე. მას ხუთი ფართე სარკმელი აქვს S მხარეს. ამ დიდროვან შენობას თაღური გადახურვა ჰქონია, რომლის თაღები კაპიტელებს ეყრდნობა სარკმლებს შორის. დას-ით გალავანია და რაღაც სათავსთა ნაშთები. ნაგებობა მოზრდილი გათლილი ქვებითაა. 0-ით არის საძვალის ნანგრევიც, აქაც თაღური გადა-

ხურვაა. ტაძარი იქნებოდა დღევანდელი მეჩეთის ადგილას: იქ ძველი ქათა წყობა აშკარად შეიმჩნევა.

მეჩეთის NW-ით ჩამომავალ მცირე ხევზე მშვენიერი ძველი ერთმალიანი ხიდია, რომელსაც ძველი ნაგზაური მოუყვება. მნიშვნელოვანი მონასტრების სიახლოვეს ხიდები დამახასიათებელია: რკონი, ბიეთი, დარეჯანის მონასტერი (სამცხეში).

მერე პარეხთასაკენ (პარეხელთა) გავწიეთ. ვიწრო ხეობის სათავეშია სოფელი შეფენილი. იქიდან ბილიკი მიუყვება S-სკენ ექსპონირებულ კლდის მასივს. პარეხი ქართულში კლდის ქარაფს ნიშნავს. ასეა აქაც. ბილიკი ჯერ მოზრდილი ქვებით ნაგებ კვადრატულ შენობას მიადგება: საოსტიგნება, ან სკრიპტორიუმია. ცოტა 0-ით ორი გვერდი-გვერდ მდგარი ეკლესიაა. S-ით უფრო ძველი სამნავიანი ბაზილიკაა. წყობა: მოზრდილ, თლილ ქვათა რიგს ენაცვლება ბრტყელი ქვები, ლამაზია 0 ფასადი. ცენტრალურ ნავს ნახევარწრიული საკურთხეველი პქონია თავისი სარკმლით. N და S ნავები ცენტრალური ნავის აფსიდის დონეზე გამოყოფილი სამკვეთლოთი და სადიაკვნით ბოლოვდებიან. მათ ბრტყელი საკურთხეველი და სარკმელი აქვთ. N სამკვეთლოს W და S შესასვლელი, S სადიაკვნეს კი, მხოლოდ W შესასვლელი აქვს.

რამ გამოიწვია N-ით მყოფი ერთნავიანი დარბაზული ეკლესიის აგება – უცნობია. იქნებ ძველი დაინგრა? უოველ შემთხვევაში N-ით მყოფი ეს შენობა წყობით უფრო გვიანია.

აღმოსავლეთით ბილიკი მიადგება მცირე ჩანჩქერს: ბერები აქ პირს იბანდნენ... მეც აქ დავლიე მიქაელ პარეხელის<sup>21</sup> ნასვამი წყალი. შემდეგ ისევ მცირე ეკლესიაა უფრო მოგვიანო წყობის. ის თითქოს გადმოხურული კლდითაა დაცული. (კალანდიას<sup>22</sup> აქ ხუცური წარწერა უპოვია)... O-ით კიდევ ორი შენობის კვალია, ალბათ ბერების საცხოვრებელი...

მერე ოპიზას\* მივაკითხეთ. გული მომიკლა ამ ვეება შენობის დანგრევამ: შუაში გზა გაუტარებიათ. ვერაფერი გავუგე ნანგრევებს. კიდევ კარგი, ექვთიმეს, მარს და სხვებს დანგრევამდე აქვთ ნანახი. გასაოცარია მშენებლობაში გამოყენებული გათლილი ქვების სიღიღე. აქაც რამდენიმე დამხმარე შენობის ნაშთია. ოპიზარების სადგომ-სამუშაო შენობების ნანგრევებიღაა. აქვე აშენებულ ჯამეს და მინარეთს ლათინური ასოებით აწერია ქართული სიტყვები: არ არის ღმერთი გარდა ალაპისა, მოდით ვილოცოთ ერთად... (ლაპილაპ, ილ ალლაპ...). იგივე სიტყვები ინგლისურად გადმოუციათ. ეს გაამართლებს ტაძრის დანგრევას და იქ გზის გაყვანას...?

წავედით ხანცთაში. აქ ახალი გზა გაუყვანიათ, რაც სერპანტინით მოვყავართ მაღალ კლდოვან მთებში. მდინარე 300 მ-ით ქვევითაა. მიწისძვრას გუმბათი ჩაუნგრევია ნაწილობრივ. კარგია, რომ მთელი გუმბათი გადაღებული და შესწავლილია. ხანცთელის აგებული ძველი სამნავიანი ბაზილიქის ნანგრევი, თავისი საძვალითა და, საგარაუდოდ, გრიგოლის საფლავით, შთამბეჭდავია... ჩანს სკრიპტორიუმის, სატრაპეზოს, სხვა ეკლესიათა და სენაკების ნაშთები. ერთი ეკლესია წყაროზეა დაშენებული.

ცეცხლაძის მიერ მოძიებულ ტოპონიმიაში ჩანს: **ალკდამაძირი, დეპანწმინდა?, მარამწმინდა, გალავანი...** აქ ახლა დაცლილი სოფლის ხილის ბაღებია. ეს იწვევს ეჭვს: ცხოვრებაში ხაცთა, კლდოვანი, მოუსავლიანი ადგილია... მაგრამ გრიგოლის მოსკლისას, მართლაც, ასე იქნებოდა. ხილის ბაღები მერე მოსულმა მოსახლეობამ გააშენა X ს-ის მანძილზე. ყველაფერს გადაწყვეტდა მახლობელი გამოქვაბულის მოძებნა, სადაც გრიგოლმა მარტომყოფელი მამა იპოვა და მასთან

\* დ.ბერძენიშვილის შენიშვნა: ნ. მარი ოპიზას განმარტავს, როგორც ლაზურ თ-პიჯას, ე.ი. სანაპიროს. შდრ. ლშკი-ო-შქი, ე.ი. შუაში მყოფი.

დასახლდა. ვ. გრემელაშვილს უნდა ვუთხრა... ყველა ეს მონასტრები ერთმანეთის სიახლოვეს გრიგოლის მოწაფეთა აგებულია. მხოლოდ შატბერდი იყო მცირედ მოშორებითო...

## 25.07.08

**წყაროსთავამდე** შემთხვევით შემხვედრმა ახალგაზრდა ტოპოგრაფებმა მიგვიყვანეს. 40 წელი დაკიდულ აღმართზე ბილიკით ვიარეთ. მერე ერთი მოსახლის ეზოდან დავინახეთ მოზრდილი ეკლესის S კედელი და მის მახლობელ კლდეთა მწვერვალებზე პატარა ეკლესიები – 4 დარბაზი. მთავარ ეკლესიაზე თაზო და ელდარი ავიდნენ. მათი მონაცოლით იქ დიდორონი შენობათა ნაშთებიც ყოფილა (სატრაპეზო-სკრიპტორიუმი, სენაკები...). ხილის ბაღებით სავსეა ეს, მართლაც, წყაროების სათავე. **მიჯნაძორს** ვერ მივაკვლიეთ... ჩამოსვლისას „მოვშე“ და კლდეს მკერდი დაგვარი... გზიდან წყალგადმა დავინახეთ **ნუკას საყდარი**. ის ქარაფ კლდეებშია და მხოლოდ ბილიკით მიისვლება.

**სათლეს ციხეს** მივაკითხეთ. ძირითადი კოშკი ოთხ-სართულიანია. შესასვლელი მისადგმელი კიბით 3 სართულზეა. I-ზე საპირფარეშოა, დარი ამოგსებულია... ძელი წყობა ყველგან საშუალო, ერთი ზომის მცირედ ნათალი ქვებია კირზე. IX-X ს-სა უნდა იყოს. მას გარდა არის 3 ოთხკუთხა კოშკი. ერთი სამსართულიანია შესასვლელით W-სკენი. ძელ კოშკებს მხოლოდ სამზერები აქვთ, განახლებულ კედლებში საოთვეებიცაა. არის დარბაზული ეკლესია ნანგრევით. NW-ით დიდი წყლის ორმოა. არის დიდი ორსართულიანი სასახლე, რომელსაც ჩანს თაღური გადახურვა ჰქონია. ესაა შავშეთის ერისთავის რეზიდენცია (იქნებ მტბევარი ეპისკოპოსისაც), რომელიც გვიანობამდე მოქმედი ჩანს (საოთვეები). სათავსთა ნაშთებში იქნებოდა მარანიც, სურსათის

საწყობით. ამ ლამაზ ციხეზე თურქული ნახევარმთვარე და ვარსკვლავია მიკრული. აქვე ფრიალებს მათი დროშაც... კიდევ კარგი სანახავად მაინც გვიშვებენ...

## 26.07.08

შავშეთის წყლის მარცხნივაც გადავინაცვლეთ. აქ ხუციშვილის რუკაზე ორმა ციხემ მიმიზიდა. ერთი ხევის შუაზე, ქათეთრის სოფელში გამოდგა. ესაა ხილიანსათიბიანი, გაშლილი სოფელი, გზით ტრაქტორებით მოობული ზეინის გვერდზე, მოუთიბავ ბალახში აღგილობრივი გლეხის VOLVO-ა...

სოფლის შუაში, შემაღლებაზე, მრგვალი კოშკი ჩანს. მივედი, ნაძღვილი მოტი და ბეილი<sup>24</sup>. შესანიშნავია მრგვალი კოშკის მოზრდილი, თანაბარი ლოდების რეგულარული წყობა კირზე – პირველი ნიშანი სიძველისა. კოშკი სამსართულიანი უნდა ყოფილიყო. შესასვლელი მეორე სართულზე მისადგმელი კიბით... ორი სამზერი მოგრძო და მოსასვლელ გზებს გაჰყურებს. სათოფურები არაა, ე.ი. თოფის მოგონებამდე მოქმედებდა.

ესამე, ზედა სართული, შეკეთების დროინდელია და ცოტა მოგვიანო: წყობა ნაგლეჯი ქვისაა, არეული ბათქაშზე. გალავანიც თხემის ზედაპირს მიჰყვება და წყობით ისიც ძევლი ჩანს. გალავანში სხვა სათავსოა ნაშთებიცაა. ესაა ადგილობრივი ფეოდალის ციხე. ეკლესია არ ჩანს (იქნებ დაინგრა)... ქარეშლია თურქულად.

მეორე ციხე უფრო მაღლაა, ამავე ხეობაში. ის მაღალ კლდეზეა სოფ. ვერხნებალში (კარა ადაჩი). ხუციშვილის რუკაზე მას სანთუშეთის ციხე<sup>\*</sup> ჰქვია. ის

\* შენიშვნა დ.პერძენიშვილისა: სანთუშეთ-ში ხანი საყურედღებოა. აქვე ყოფილა „ხანთუშეთ ქიოფრულუ“ ხიდი, რომელიც დასასვენებელ ადგილთან ერთად გზაზე მიუთითებს. „თუშეთი“ ასასნელი რჩება...

სოფელი მეორე ხევშია, მაგრამ უფრო შორსაა ციხისგან. ამიტომ გერხევნალის ციხე უფრო შეეფერება. ეს მაღალი, გვიანი, ოსმალური მრგვალი კოშკი მაღალ კლდეზეა, ორი ხეობის დამაკავშირებელი მოკლე გზისა და ქედზე გარდამავალი, არტაანის გზათა ჩამკეტად. ჩანს არტაანი მარტო გორგასლის მოგონილი არაა და უფრო ძველია – არტაანიშ ც?უჯი (შანიძე<sup>25</sup>), მაგრამ შემდგომშიაც მნიშვნელოვანია მისკენ მიმავალი გზა მტკვრის ხეობისკენ (კოლის გაგლიო). ამიტომაა, რომ ოსმალები ამ გზის საკონტროლო ციხეებს აგებენ.

გერხევნალის ციხე სამსართულიანი ნაგლეჯი ქვით, ნარევი წყობით ბათქაშზეა ნაგები. მას არ ინდობენ ოქროს მაძიებლები და უშედეგოდ ხსნიან და ხსნიან...

გერხევნალის ციხე სამსართულიანია, ნაგლეჯი ქვით, ნარევი წყობით ბათქაშზეა ნაგები. მას არ ინდობენ ოქროს მაძიებლები და უშედეგოდ თხრიან და თხრიან... აქ წყლის ორმოა ამოლესილი და გალაგნის ნაშთი ბურჯებით კლდის გაყოლებაზე...

სოფლის მოხუცებმა მეზობელ ხევში ეკლესია მიგვასწავლეს. ბევრი ვიარეთ გრუნტის გზებზე (ძლივს არ ვნახე საქართველოს სოფლის გზა!). მაღალ მთაში ვიღაცამ ყალა დაასახელა. ორაკზე, მართლაც, ძველი ციხის ნანგრევი გამოდგა. მისი კედლის გარე და შიდა პირი თანაბარი და მცირე ზომის ოდნავ თლილი ქვებია, მაგრამ პირწმინდად მოურდვევიათ, დაუტოვებიათ კირზე ნაშენი ჩონჩხი. ძველი წყობის რეგულარული მწკრივები ძლივს შეიმჩნევა შიგნით და გარეთ. მთის თხემზე ისევაა ხევადასხვა სათავსოთა ბუდეები. ყველაფერი სპეციალურად გადათხრილია. მოსახლეობაში თქმულებაა გავრცელებული – აქ მიწისქვეშა ქალაქი იყო... ამას ხელს უწყობს ისიც, რომ მახლობლად ნელთბილი მინერალური წყარო ჩქევს, რომელსაც აბანოდ ხმარობდნენ. იქნება გათლილი ქვებით ნაგები კედელი გამოუჩენიათ: ალბათ აბანო იყო, რომელ-

საც თიხის კერამიკული მილებიც ახლავს... დავეშვით სოფელ ქაფუ ქოიში. აქ მეტეთის კედელში (1981 წ.) ქართული წნული ორნამენტია, ეზოში კი ტრაპეზის ქვა ერთ მხარეს ვარდულით. კვადრატული ზედაპირი მრგვალ სვეტს ეყრდნობა, ე. ი. აქ ძველი ქართული ეკლესია იყო...

## 27.07.08

ნ. ცეცხლაძის “ტოპონიმიდან” ზოგიერთი საინტერესო ცნობა ასეთია: **ციხია** – აქ იყო ციხის შიგნით, რომელიც აკონტროლებდა არტაანისკენ მიმავალ გზას. ამჟამად იქ შეიმჩნევა ციხის მხოლოდ ნანგრევები. სოფლის სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს: **ციხეა – ციხია.**

სოფელ ტბეთში დღესაც არის ქვის დიდი საწნახელები, როგორც ჩანს, თურქების მოსვლამდე აქ საუკეთესო დვინოს აუკენებლენ... ტბეთს სპეციალური ადგილი ჰქონია დვინის შესახათად. სოფლის განაპირა ადგილს, სადაც ჭურებისა და ქვევრების კვალი დღესაც კარგად ჩანს, ჭურათი ჰქია.

„გარეულობი // გარეულობი“ გზების გასაყარზე მდებარე პუნქტს ჰქია. ცნობილია სოფ. გარეულობის და გარეულობის ციხე, რომელიც იმერხევისა და შავშეთის გზების გასაყარზე მდებარეობს. სოფელი უმცელეს წყაროში მოიხსენიება, „გარეულობის“ ფორმით. გარეულობის ციხე მოიხსენიება XI ს-დან. ჩვენ იქ ვედარავერი გვიჩვენეს. (ნ. ცეცხლაძე. ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმიდან. სს „გამომცემლობა აჭარა“ ბათ. 2004 წ. 243–244).

დღეს წამოვედით შავშეთიდან, მინდოდა მენახა ეპლესიები ხუციშვილის რუკაზე აღნიშნული. არცერთი დღეს არაა... ეტყობა უნახავად, სხვათა ცნობებზე დაყრნობით დაიტანა. ამას ჰქია მოგზაურის მოტყუება...

სათლის რაბათთან მოახლოებისას შევნიშნეთ ახალ კორპუსებთან ძველი ნაგებობები. ამოვედით, ვნახეთ ციხე-

სიმაგრედ ნაგები საცხოვრებლები 1850 წლისა. შესასვლელს არაბული წარწერა პქონდა... უცებ გამოვიდნენ ამ სახლის მკვიდრნი. ერთი სიმპათიური მანდილოსანი პულტურული გარეგნობით გამოირჩეოდა. მან აიღო ინიციატივა და მოგვიყვა, რომ აქ სელიმ სიმშიაშვილის<sup>26</sup> შთამომავლობა ცხოვრობს!! აგვიხარდა, მოვეხვიერ, ჩავიწერეთ. აღმოჩნდა ზაფხულობით ნათესაობა აქ იკრიბებოდა ერთ ძმასთან. ბევრნი იყვნენ, სამი თაობა, გამახარა განსხვავებულმა ჯიშმა. პატაწუნა ჰყავდათ მშვენიერი... სახლს ირგლივ დიდი ეზო ერტყა, სულ ამათი. წაგვიყვანეს და სასაფლაოსთან ეკლესია გვაჩვენეს, რომელსაც ყველა გვიმალავდა... რატომ ხდებოდა ეს, ვერ ვხვდები... ზეინაბმა<sup>27</sup> გვითხრა, რომ ჩვენ ახლა მენოლის გვარს ვატარებთ, მაგრამ არავის გუყვარვართო (სელიმს თურქებმა თავი მოჰკვეთის). თვითონ ანკარაში ცხოვრობენ და კარგად იციან თავისი გურჯობა. გვაჩვენეს სიმშიაშვილთა გენეალოგიური ხე, რომელიც ბათუმელ ხალვაშს გამოუცია წიგნში – სელიმ სიმშიაშვილი. ამათ ნათესაობა ჰყოლიათ აჭარაში. თვითონაც ნამყოფნი არიან. ეკლესია სასაფლაოზე დგას. ძველი ეკლესია მცირე ზომის თანაბარი ქვებით ნაშენი, ერთნავიანი შენობა უნდა იყოს, სათლელის ციხის თანადროული. S – დან მოშენებული ორნავიანი გათლილი ქვით ნაგები, შესაძლოა, სომხური ეკლესია იყოს, ჯვრებით შემცული... ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა, გამაპმადიანებული გურჯებისა. ამათი ნათესავების გამბანე – გამპატიოსნებლებიც აქვე მარხია, პატივით იხსენებენ.

## 28.07.08

**ჩამოვედით ართვინში,** მოვეწყეთ იმავე სასტუმროში. მე გადავწყვიტე ჩვენი დროის მეორე ნახევარი მოვანდომო უფრო საკვანძო, გადამწყვეტი პუნქტების მონახულებას, რადგან ჩვენ ყველაფერს ვერ მოვასწრებთ. ართვინის სიახლოგეს ასეთი რამდენიმეა. თუხარისი კლარჯეთისა და ტა-

ოს საზღვარზე, ჭოროხის ხევში აქვს წყაროს მითითებული, ამიტომ საგარაუდო ციხეებს მივაშურეთ. პირველი აღმოჩნდა ართვინ – იუსფელის გზაზე, ჭოროხის მარცხენა შენაკადს შევუყევით. ვიწრო ხეობაში კლდეზე გადმომდგარი მელოსციხე გამოჩნდა. აქაც თურქული დროშა ფრიალებს ე.ი. მიისვლება... სოფლიდან ახლოს მივედით, თუმცა, უთოკოდ თამაზმა არ მიმიშვა... ეს ზურგოვანი სამსართულიანი და გალავნიანი კოშკი, უდაოდ, გზის ვიწროებს აკონტროლებს. მისი გარე წყობა (მცირე თანაბარი ზომის ქვები) მთლიანად მოცლილია. შერჩენილია ბათქაშის წყობათშორის ჩონჩხზე დაშენებული გვიანი საბრძოლო, მრგვალი კედელი. მას სამი სალოდე აქვს, რომლებიც მოსასვლელ მხარეს ურტყამენ. კოშკს აქვს მაღალი, ფართო თაღოვანი შესასვლელი პირველსაგე სართულზე, რომელიც გვიან ამოუვსიათ კირსენარითა და ქვებით, ე. ი. კოშკის პირველი სართული დაუყრუებიათ. ამდროინდელი უნდა იყოს სათოფეებიც, რომელიც ასევე მოსასვლელ მხარეს იცავდნენ. მეორე სართულზე შესასვლელია მოწყობილი, ალბათ, მისადგმელი კიბით. მესამე სართულის ღიობი, ალბათ, აივნისთვის იყო, რომელიც გალავნით მოზღუდულ ეზოსა და ქვევიდან მომავალ გზას გაჰყურებდა. ეზოში არის წყლის მრგვალი ორმო, ამოლესილი. გალავნის კედლები გვიანდელის შთაბეჭდილებას ტოვებს. მცირეა ფართობი მეციხოვნებისათვის. უეჭველია, გზის საყარაულო კოშკია, იქნებ ქართულიც, გვიანიც.

მეორე ციხე ჭოროხის მარჯვენა შენაკადის სათავეშია. ხუციშვილის რუკაზე მას **ხოდი** ჰქვია. იაილების გარემოცვაში სრულიად მიუვალ კლდეზე, ხევების სათავეშია ეს მოზრდილი, ოთკუთხა, განიერი კოშკი. მას კუთხეები მომრგვალებული აქვს. შორიდან ბინოკლით დანახული: წყობა გვიანია, ნარევი. ორ-სამ სართულიდან შენობას სახურავი ჩაუქცევალი უჩანს, რადგანს მოჩანს ზედა სართულის ქვები, რომლებიც რაღაცას (გადახურვას?)

ეყრდნობა. მომაღლო (განგრეული?) კარი 0-ით მოჩანს. კლდის ზედაპირს 0-ით და N კიდეზე გადავანი შემოუკვება. მის შიგნით საკმაოდ დიდ ფართობზე სათავსთა ნანგრევები ჩანს. გალავნის გარეთაც, N-ით ჩანს რაღაც შენობა (კოშკი). მესაქონლე მთიბავები გვარწმუნებენ, ციხე მიუვალიაო... მართლაც, მათი დროშა აქ არ ფრიალებს, ეჭვს იწვევს მათი მეტისმეტი წალილი, არ აგვიშვან ციხეზე: ქრაელები მოდიან და კერ ადიანო, დათვმა დაგლიჯაო... აქ ამსვლელს იარაღი უნდა ჰქონდესო... ეს დათვები და ვეფხვები მოგონილი გვგონია, მაგრამ ბინოკლით დამთვარიელებელი თამაზიც მიუგალობას „აწვება”... საინტერესო იქნებოდა მისი ახლოდან ნახვა.

## 29.07.08

არტანუჯისწყალზე მოქმედი ძველი ხიდი გადავიდე. მერე ახიზის ციხეს გაფუარეთ და მისი ამოშენებული გამოქვაბული, სადაც ფრესკებია – გადავიდეთ. **ტანძოთი (სხლობანია, ტანძ-მსხალი)**. არტანუჯის წყალს მარცხნიდან ერთვის, ამ ხევის სათავეში მთის სოფელია, ხილიანი. მის მისასვლელში, კლდეზე ციხეა გამოკიდული. მისი წყობა ნარევი ქვისაა, ბათქაშზე. ოსმალური უნდა იყოს წყობის მიხედვით. აქაა წყლის საცავი, სათოფურები, მეორე სართულზე - საპირფარეშოს მაღალი თაღი. მისი დარი გარედან დახურული ყოფილა, ოქროს ძიებაში ისიც მოუნგრევიათ, საწყენია რომ არაფერი დახვდათ...

ტანძოტის ჯამეში მარს ქართული წარწერიანი ქვაუნახავს, ალბათ ეკლესიისა. იხსენებოდა სამადავლე-კალმახელი და თამარი, მათი შვილები-გიორგი, იოანე და სუმბატი. მეორე წარწერაში: „მისესა ტანუტერობასა შინა აღშენა... წარწერა 1312 წლისა ყოფილა. ტანუტერობა ალბათ მონასტრის წინამდებარს (მამასახლისს) გულისხმობს (შდრ: მიჯნაძორელთა დავის წიგნში – XI ს. „სამამასახლისო სამსახურებელი”).

ეს სომხური წოდება არ უნდა იყოს გასაკვირი (მიჯნაძორი, ტანძოტი, შატბერდი)...

სოფელში ორი ჯამე დაგეხვდა. ორივე შიგნიდან და გარედან გადესილი. წარწერა მაშინ დაიფარებოდა. იქვე გვიჩვენეს სომხური ეკლესია წარწერით – 1843 წლისა.

**სოფ. კლარჯეთს ახლა ბერექეთი, ე.ი. ბარაქიანი პეტრე**. მარის თქმით: „გორებით გარშემორტყმული, დიდ შესანიშნავ მოედანზე გაშენებული, სადაც მისი უბნებია გაფანტული, ამ ფართო ზეგანზე ბატონობს ციხე.“

მართლაც, კლარჯეთში ასეთი ფართო ზეგანი ჯერ არ შეგვხვედრია. არტანუჯთან უფრო მცირე ზეგნებია, ან-ჩასთანაც. ტაოში ბანაა, აქ კი ეს ზეგანი, თურქები რომ ბერექეთს უწოდებენ, ე.ი. მოსაგლიანია ყოველმხრივ, ხილიცაა. სარწყავი არხიც ციხის ძირში იწყება. უბნებს სახლები არ აქვთ, არც მართანაა.

ციხე, ხევის სათავეშია კლდეზე. ეს უფრო ძველი მეჩვენა, ვიდრე ტანძოტისა: ბრტყელი ქვები რეგულარული წყობითაა კირზე ნაგები. კოშკი ორსართულიანია. კირი პირველსართულზეა. სამზერები ზუსტად სოფელს და მოსახლელს გაჰყურებს. სათოფელი არაა. გალავანი მცირე ფართობს მოსაზღვრავს თხემზე. არის წყლის რეზერვუარი ამოლებილი. ჩანს 2-3 სათავსის კვალი, გადაკეთებაც ეტყობა ნარევი წყობით.

ეს პუნქტი იმითაა საინტერესო, რომ ის აძლევს სახელს ამ მხარეს, ისევე როგორც ტაოსკარი - ტაოს. ე.ი. ის უფრო ძველი უნდა იყოს, ვიდრე არტანუჯი – კლარჯეთის ბაგრატიონთა ცენტრი. ასევე იქნებოდა ტაოსკარი და ბანა.

დღესვე გვინდოდა ამავე ხევზე გვენახა ქობტახორის—ციხე და მეწაგილი ენი რაბათამდე მაგრამ დ. ასათიანე<sup>28</sup> თირქელი ასტკივდა (ქვიშის გავლა) და 2 საათზე წამოვედით ართვინში. აფთიაქში ნაყიდმა წამლებმა მოასულიერეს, ღმერთმა ინებოს...

## 30.07.08

**ფენირლიქი** – ყველის სოფელია, უჩ-სუს (სამწყლის) ნაპირზე. მისი უბნები ორ დასახლებადაა განაწილებული ხევზე. აქედან სასმელი წყალი გაჰყავს მთავრობას არტანუჯში. **ჯეჯილათი** სახნავია, იობატი (რაც თურქულად აუხსენელია), ჭალის აგარა, მოლუსხევი, შუალთა. გზა მიადგება ტყეებსა და საძოვრებს, ფეხით კლარჯეთშიაც გადაგა, ტანძოტშიაც...

**ქობთაქორში** გზა (ბილიკი) მხოლოდ პეინირლის მეპლედანაა. 1840 წლამდე იქ რუსებსა და სომხებს უცხოვრიათ. სხვა ამოსასვლელიც გნახეთ, ჩამოსვლისას... დათვი, ტახი, კურდღელი, ხილი, თაფლი, კურძენი.

ციხე კლდეზეა შემძვრალი, გზის საკონტროლოდ. მისი წყობა, ნაგლეჯი ქვით ბათქაშზეა ნაშენი. ერთი კოშკია და გალავანი. ერთი სამზერი, ორი სათოფური, ერთი წყლის ორმო, გარედანაც შეკირული.

სახელწოდებაში თავიდანვე ქობი – ქვაბი ვიფიქრე; ვკითხე, თუ არის გამოქვაბულები... ეგების მეორე ნაწილში მთის კილოებში შერჩენილი „ქორი“ იყოს, ე.ი. სახლის ზე-და ნაწილი (შდრ: ქორ-წილი) ქობთა-ქორში გამოქვაბულების ზედა ნაწილი შეიძლება იგულისხმებოდეს.

ადგილობრივი, სტამბულიდან ზაფხულობით აქ ამოსული, ახალგაზრდა შეგვხვდა. ციხეზე წამოგვყვა, აქ 35 წ. რუსები და სომხები ცხოვრობდნენ, 1840-იან წლებში ოსმალებმა გარეკესო. ჩანს, მათი ნაშთია ტანზოტი და მისი ეკლესია 1843 წლისა. ქართულია და თურქულად არ იხსნება ზევით ჩაწერილი ტოპონიმები. ოჯახში მიგვიყვანა, ხილით გაგვიმასპინძლდა, პატარა ბავშვები ინგლისურს ამტკრევდნენ: სპეციალურ სკოლაში დაგვყავსო... ტელეფონები დავუტოვეთ...

მარს პქონდა აღნიშნული: **მეწაგილში** (ესეც 1840-იან წლებში გარეკილი სომხების ნაკვალევია) ენირაბათის სიახლოეს ციხე-დარბაზებიათ. ხუციშვილის რუპაზე აღ-

მოჩნდა ციხე (ჩანს, მარისგან აუდია)... მივედით, 80 წლის მოხუცი ვნახეთ. მან გვითხრა, რომ ეს არ მახსოვს, მამაჩემისგან გამიგია, რომ ერთ შემაღლებულ მოედანზე (გვიჩვენა) ეკლესია მდგარაო... კედლის ნასახიც ვერ ვნახეთ... ე.ი. აქედან გაზიდული ქვებით უშენებიათ სახლები და ყორები... ვისაც არ ვკითხეთ, ვერავინ მოიგონა ციხე სიახლოვეში. ესეც ცოდნაა, რომ დავადგინეთ: მარის დროინდელი ციხე ახლა აქ აღარაა!!

უკან დაბრუნებულებმა არტანუჯის ქალაქს გაუუარეთ და დაუდას მიერ ვერ მონახული ეკლესის ნანგრევები მოვინახულეთ. ის ადრევე შევნიშნეთ, ანჩიდან წამოსულებმა და შორიდან გადავიდეთ. ბაგრატიონებს ის აზომილი და IX–X საუკუნეებით დათარიდებული აქვთ. ეს ვეება ტაძრის ნანგრევი ქალაქის გალაგანს ებჯინება NO მხარეს. S კედლის მაღალი ნაწილი ახლაც შერჩენილია. უნდა ყოფილიყო სამნავიანი ბაზილიკა დიდი, უხეშად დამუშავებული ქვებით ნაგები. კარგად ჩანს N ნავის საკურთხეველში შესასვლელი და S კედლის გარეთ საძვალის თაღი (?)... ზევით მოჩანს სასახლის ნაშთი (ორსართულიანი) ისიც აზომილია ბაგრატიონებისაგან... დათო ფეხზე დაგვხვდა.

### 31.07.08

დღეს დაუდა ჩამოვიდა, ვახო გავისტუმრეთ. წამოვედით ოლთისისკენ, გზად ხერსის ციხეს გამოვუარეთ ხუციშვილის რუკის მიხედვით. იქ ციხეა აღნიშნული და კითხვის ნიშნით თუხარისი აწერია. აქაც მოვტყუვდით. ადგილობრივებმა ვერაფერი გვაჩვენეს... სამაგიეროდ ეკლესია მიგვასწავლეს ხერსის დიდი დელის მარცხნივ (ეს დელ ჭოროხის მარჯვენა შენაკადია). კედლის ფრაგმენტი, მცირე ზომის თანაბარი, უხეშად დამუშავებული ქვითაბა ნაწყობი. შიგნიდან და გარედან ერთნაირი წყობაა. ერთი შერჩენილი კედლის ნახევარი გაფცევნილია და მხოლოდ ბათ-

ქაშსდა ეტყობა ანაბეჭდები. დაახლოებით IX-X საუკუნეების ეპლესიას გავს. საეჭვოდ მეჩვენა, რომ აფსიდის ნახევარწრე ვერ შევნიშნე: ალბათ დანგრეული მერე სწორკუთხად ამოაშენეს. ეს ეპლესია არც რუკაზეა აღნიშნული...

**ოლთისწყალს შემოვყევით ამიერტაოში.** აქ მკაცრი კლდეები შედარებით მწვანე მთებით იცვლება, ხეობა იშხნის მერე ფართოვდება და მეტია სახნავ-სათესი.

გზად ოლურის გადასახვევში ციხე გადავიდეთ, რასაც ხუციშვილთან **ნორბერთი**, ხუთ ვერსიანზე-ქეფრიბაშ, **ხოშავიზი** აწერია. მერე გადავიდეთ ბანის ორი ციხე წყლის გაღმა-გამოღმა. ესენი ადვილი სანახავია ოლურიდან...

ოლთისში პროვინციულ სასტუმროში მოვაწყვეთ. ერთ სართულზე საერთო საპირფარეშოა...

## 1.08.08

ოლთისს ცენტრშივე აღმართული ვეება ციხე დაჟყურებს, რა თქმა უნდა თურქული დროშით... ქალაქი დაბლობშია, გარშემორტყმული მთებით. ოლთისისწყალი ერთი დაბინძურებული მდინარეა, ხალხი პირქუშია, მაგრამ სხვა ადგილებისგან განსხვავებით, აქ სასაღილი-კაფეებში ათათურქისა და მისი ცოლის სურათების ნაცვლად მეპატ-რონეთა მამა-პაპის სურათებია... ცენტრს ამშვენებს ცხენოსანი ათათურქი ხმლით... დღეს დიღიდან ავუყევით ოლთისის ხევს. დავიწყეთ ნარიმანით, აღმოჩნდა, რომ ნარიმანი ძველიდან 14 კმ-ით ზევით გადაუტანიათ. ეს ცვლილება არცერთ რუკაზე არაა. ხუციშვილ-სილოგავას რუკა საოცრად იტყუება... 28 კმ ზედმეტი გავიარეთ... უქვთიმე თაყაიშვილის „მოგზაურობიდან” ამოწერილი მქონდა ციხე-პუნქტების სახელები. აქ ამოვიკითხე ალაბალიკსუზე დიდი ციხის არსებობის შესახებ. ავედით ხევის ბოლო სოფელში, იქაურმა მოხუცმა „ეპლესიების ციხე” გაიხსენა... დავ-

ქვეითდით და ნახევარ საათში მივადექით შესანიშნავ ჭალას, მდინარის ორი ტოტის ხერთვისში.

აქ შორიდანვე თვალი მოგვტაცა ეკლესიების კედლების ძველმა წყობამ. ორი უფრო ძველი ეკლესია მაღლაა ქედზე. პირველი (ქვევიდან) უფრო მომცროა (6 ნაბიჯი x 4 ნაბიჯზე), ერთნავიანი. ნაგებია მოდიდო, კლდის გათლილი ქვებით. შესასვლელი S-დან თაღოვანი ყოფილა. ერთი სარკმელი W-დან. აფსიდაში ერთი ნიშა.

მის ზევით მეორე სამნავიანი ბაზილიკა უნდა ყოფილიყო. უკეთად შერჩენილი N ნავის საკურთხეველის ნახევარწრიული ნაწილი. ცენტრალური აფსიდა გეგმაში იგითხება; S-ისა საერთოდ მონგრეულია. საკმაოდ შთამბეჭდავი ზომები (16 ნაბიჯი x 9 ნაბიჯზე). შესასვლელი W-დან და S-დან (ცენტრალურ ნავში) თუ აქ დანგრეულიც არ ემატება. წყობა პირველი მცირე დარბაზისა უნდა იყოს: მოზრდილი გათლილი კლდის ლოდები. ვარაუდით, ვამბობრადგან უსვინდისოდა გაფცევნილი და მხოლოდ ბათქაშის ანაბეჭდებზე ეტყობა მოსაპირკეთებელი ქვების ზომა-მოყვანილობა. ჩრდილოეთის შერჩენილ ბათქაშზე, ზევით, შერჩენილია პროფილირებული (რელიეფური ზოლით) კაპიტელი, რომელიც აქეთ-იქიდან გადმოსულ თაღებს იჭერდა. საერთო იერით ეს ორი შენობა IX-X საუკუნეების შეიძლება ყოფილიყო. ამ სამნავიან ბაზილიკას N-დან უცნაური, ნახევართაღიანი გადახურვით კიდევ ერთი კედელი აქვს მოდგმული. შესასვლელი W-დან, N კედელი სწორია. ეს წყობის მიხედვით ნარევი, გვიანი შენობა, შიგნიდან ამოლესილია, S-დან ეკლესიის N კედელს იყენებს. მგონი გვიან მოსულმა მაპმადიანებმა ეკლესიების არარსებობისას აბანოები მოიწყვეს. წყალი აქვეა ხევიდან დარით მოსაყვანი...

ოდნავ დაბლა, ფერდზე ორი ერთმანეთზე მიშენებული ეკლესიაა. ისინი ერთდროულად არ უნდა იყოს ნაგები: კედლებს ნაკერი არ ეტყობა. ისინი მცირე ზომის თანაბა-

რი, უხეშად დამუშავებული ქვების რეგულარული წყობითაა ნაგები და განვითარებულ შუა საუკუნეებსაც წააგავს (იქნებ ძველსაც). ქვედას შესასვლელი N-დან აქვს და საკურთხეველში 2 კვადრატული ნიში აქვს. მეორე ეკლესია თოთქოს შემდგომში უნდა იყოს მოდგმული...

თუ ეს ეკლესიები აქ მონასტრის არსებობაზე მიუთითებს, მაშინ მათი სამეურნეო სავარგულები S-ით გაშლილი მშვენიერი ჭალა იქნებოდა...

კლდის თავზე ერთი გვიანი, მრგვალი კოშკის ნანგრევია. ალბათ, ოსმალთა ბეგისა, რომელიც აბანოსაც მოიწყობდა. სოფელი (თუ იყო) ტერასებად იქნებოდა წყლების ორსავე ტოტზე... აქედან გზა გადადის სოფლებში. მოსახლენი ამბობენ გზის გაყოლებით ციხეებს: **ყარადაში, ციცანკალე, კალადერე.** ამავე **ალაბალიკსუს დაყოლებაზე,** ოლთისისწყალთან შესართავამდე, კლდები ვიწროვდება. ამ მდინარის მარცხნივ დიდი ციხის ნანგრევებია. აქაა მრგვალი კოშკები ძველი, მცირე, თანაბარი ზომის ქვებით, ჰორიზონტალური წყობით ნაგები; არის გვიანი შეკეთების კვალიც – ნარევი წყობით.

ციხის O ნაწილში, მოზრდილი დარბაზული ეკლესიის ბათქაშის ჩონჩხია შემორჩენილი, უსვინდისოდ გაფრქვნილი მოზრდილი გათლითი ქვის მოპირკეთებისაგან... განვითარებული შუა საუკუნეებია, ცხადია, ოსმალების მიერ მეორედ გამოყენებული.

ოლთისის ციხე გორაზეა. მისი კედლები, ისევ უნიჭოდ, თავიდანაა აგებული. შერჩენილია თანაბარი, მცირეზომის ქვათა რეგულარული რიგები, გვიანი გადაკეთებით.

**ყველაზე საინტერესო** მე აქ S ნაწილში მოთავსებული სიქსტაკონქის გეგმაში შერჩენილი ნანგრევი მეჩვენა. მის საკურთხეველს, წყობის დაბალ რიგებში წნული ორნამენტი არშიად შემოუყვება. ეს მე ბიზანტიურ ხელობად მეჩვენება (თუმცა ქართული რამ გამორიცხა? ე. თაყაი-შვილს მოჰყავს ქართული წარწერები საიდანაც ჩანს, რომ

ეკლესია ქართული იყო, წმ. გიორგის სახელობის ...). აღარ მასსოვს ექვთიმეს რა უწერია MAK XII ნომერში... აქვეა ვიდაც შეის ასანის საფლავი XI საუკუნისა. ციხიდან მოჩანს ქალაქის გალავანი და ოსმალური სასაფლაოები წრიული გადახურვით. იქ ახლა ქალაქის ნაგავსაყრელია...

ურარტელები, რომაელები, ბიზანტიელები, ქართველები, სელჩუკები, ოსმალები – ასეთია ოლთისის ისტორია მთელ იმიერტაოსთან ერთად...

ქალაქის აღმოსავლეთით სოფელ **შენგერლი-ში** ვნახეთ კლდეზე შემდგარი ოსმალური გვიანი ციხე. აქ გამავალი ძველი გზის მაკონტროლებელი უნდა ყოფილიყო. გვიანი წყობის ნარევი ქვა ბათქაშზე, ერთი ოვალური ფორმის გალავანია, შიგ სათავსოთა ნაშთებით.

ოლთისისევი მნიშვნელოვანი გზა იყო მტკპრის ხეობით აღმ. საქართველოში შემომავალი გურჯი ბადაზი კი უფრო თორთომისევის გზას ემხრობა, თუმცა თორთუმის გზასაც იტოტებს.

თორთუმის გზა ძირითადად ზღვისპირას და დასავლეთ საქართველოს ემხრობა. თორთუმის გზა ოსმალებისა და ბიზანტიელების დროს საქართველოს დასაპყრობად იყო მნიშვნელოვანი: ყველა ამათი გათვალისწინებაა საჭირო აქაურ ციხეებზე საუბრისას. და მაინც, via est vita წყვეტს ციხისათვის ადგილის შერჩევას, განსაკუთრებით ხეობებში. თურქეთი, ჩვენგან განსხვავდით, ახლაც შესანიშნავად ახორციელებს ამ პრინციპს: ერთი მოსახლისათვის მთაში გაყავს ძვირად დირექული გზა...

## 2.08.08

დღეს დილით ავიბარგეთ თორთუმიდან. წამოვედით ბანისწყალზე ორი ციხის სანახავად.

პირველი ციხე მდინარის მარცხენა ბორცვზეა. ის არაა მაღალი და ადვილად მისასვლელი. თხემი მთლიანად მოზღუდულია გალავნით. ის გვიანია წყობით:

კლდის დაუმუშავებელი ქვა ბათქაშზე. კედელი კუთხეებში მომრგვალებულია. ერთადერთი მნიშვნელოვანი აქ მოზრდილი, ერთნავიანი დარბაზული ეკლესია. მას სახურავი წაქცეული აქვს და თითო მოზრდილი სარკმელი S და N კედლებშიც არის. კედლის წყობა ნარევი ქვითაა, ზოგჯერ ხაზგასმულად აფერადებული ჭაღრაკულად. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ გალავანი გაუქმებულ ეკლესიას შემოავლეს ოსმალებმა და ციხედ აქციეს გზის სიახლოვეს. ეკლესის O კედლების გარეთ მრგვალი ამოლესილი წყლის რეზერვუარია.

**მეორე ციხე** მდინარის მარჯვენა კლდოვან ფერდზეა შეფენილი. ის უფრო რთული ნაგებობაა – შედგება ქვედა და ზედა ციხისაგან. კედლები მისი საკმაო სიმაღლისაა შერჩენილი. მისი წყობა, თუმცა კლდის ნაგლეჯი ქვით კირზე ნაგები, მაინც შეუძლებელია, თუნდაც გვიანი, ეს კედლები ძველს არ მისდევდნენ. გალავანი საკმაოდ შთამბეჭდავია, რომლიდანაც შესაძლოა ზედა ციხეში მოხვედრა, აქ ორი მაღალი და ძლიერი მრგვალი კოშკია, რომლებიც ორ-სამ სართულიანია. ქვედაში შესასვლელს ზევიდან სალოდე დაცურებს, არის სამზერებიც გზის სათვალოვალოდ. ზედა ციხის ერთ კოშკს სულ ზევით დია საბრძოლო მოედანი აქვს. აქა-იქ სამზერი, შესაძლოა, სათოფედაც გამოდგეს. მე უფრო შესაძლებელი მეჩვენება ბაგრატ IV-ის დროინდელი ბანას ციხე ეს იყოს, ხოლო მეფის მომლოდინე ლაშქარი აქვე ველზე იქნებოდა გაშლილი. მისმა დანახვამ დააფრთხო პარკიმანზი და შინ მისული მეფე საბერძნეთს დაბრუნებას გადაურჩა. ამას დათუნა მეორე ციხეზე ყვება. ციხის ქვევით, მინდორში დიდი ვრცელი ოთხკუთხა შენობა დგას, მოზრდილი, მრგვალი დიობებით მოსასვლელი N და W მხრისაკენ. მე მეჩვენება, რომ ეს ოსმალთა მხრიდან საზარბაზნედ დასადგმელი შენობებია, რომელიც მომხდეურს დიობებში ზარბაზნის ლულებს

გამოაყოფინებდა, შედრ: თელავის ბატონის ციხეში არსებული ნახევარწრიული ბურჯი. ამ ოთკუთხა შენობის წინ დიდი, მრგვალი, ამოლესილი ორმოა ამოშენებული. მგონი რეზერვუარი უნდა იყოს მებრძოლთათვის (აბანო?).

ციხის ძირში, კლდეში ხერელი შენიშნა თამაზმა, შეძვრა და გამოქვაბულ-ეკლესიაში აღმოჩნდა. W შესასვლელი და O სარკმელი, გაგანიერებული აღმოჩნდა, მთელია თაღური გადახურვა, საკურთხეველი, იქ ორი კვადრატული ნიშა. თამაზმა ანდრიას ხატი დაასვენა და სანთელიც აუნთო....

წყლით ციხის მომარაგება პრობლემა იქნებოდა. ახლა მის ქვეშ არხი გადის ბანისწყლიდან გაყვანილი. იქნებეს ქველი ტრადიციაა? მაშინ გალავანში გაივლიდა, ექვთიმეს უთხრეს აქ გვირაბია წყალზე ჩამავალიო. (კოლა-ოლოისი, 353).

**ბანას ტაძარმა\*** ყველა გააოცა. ეს მე შარშან ვნახე. საოცარია მის ირგვლივ გაშლილი სავარგულები და გამწვანებული სოფლები. ამაშია ტაოს ძალაც (ასეთივეა ოლთისიც). კლარჯეთის სიძლიერე მის მიუვალ კლდეებშია, მაგრამ ამდენი სავარგული იქ მხოლოდ კლარჯეთს აქვს. ეკლესიების ძებნაში ხევს ავუყევით და ერთგან სოფ. ინჯეჩაის ქვემოთ (ორწყალს ნიშნავს) კლდეზე შერჩენილი ნაეკლესიარი ვნახეთ. W შესასვლელი და იქვე ერთ ქვაში გამოჭრილი სარკმელი ვნახეთ. საკურთხევლის ქვეშ, ორმო თუ ოქროს მაძიებელთა გამოთხრილი არაა, მაშინ საძვალე შეიძლება იყოს. ქვის წყობა, მეტ-ნაკლებად, რეგულარულია და შესაძლოა XIV-XV სს-სა იყოს.

მერე ქვევით ჩამოვედით და მიგვასწავლეს სოლომონ-კალეს სიახლოეს გამოქვაბულები. თამაზმა თოკით ყველა აგვიყვანა. აქ მთავარი ეკლესია მოხატული და დაზიანებული

\* შენიშვნა დ. ბერძენიშვილისა: ექვთიმე მას „უნიკუმს“ უწოდებს (კოლა-ოლოისი, 369).

ლია. ფრესკებს ახლავს ქართული ასომთავრული ასოები. გუმბათში მაცხოვარია. გვერდზე, გამოქვაბულში 4 სამარხი აუქოთებიათ, ჩანს ძვლები. მთავარი ეკლესის გვერდით ისევ პატარა ეკლესიაა გამოჭრილი კლდეში, შემდეგ ამოშენებული სენაკებია. ეს გამოქვაბულები აღწერილი აქვს ექვთიმეს და ბაგრატიონებს გადაღებული. მაინტერესებდა ციხე სოლომონისი, მაგრამ ახლა ყურადღება ეკლესიაზე გადაგვაქვს. მე ინიციატივებს მოვრჩი...

მოვეწეოდ ოლურის სასტუმროში, ნომერში მარტო ვარ. მადლობა უფალს, ამოვისუნოქე.

### 3.08.08

დღეს ტაოსკარით დავიწყეთ. მანქანა ოლურიდან მივიღა ბოლომდე. რუკაზე (5 ვერსიაზე) ვევბა ბაღების გარემოში აღნიშნულია ეკლესია. ექვთიმეს აქაური მრგვალი ეკლესია აღწერილი აქვს. მართლაც, საოცრად წააგავს ბანას: აქაც მრგვალი გარშემოსავლელი უნდა იყოს, რომელთა შორის გვხვდება სამკუთხა ნიშები, მის სამხრეთით იმავე წყობის (ე.ი. საშუალო ზომის გათლილი ქვების) რეგულარული რიგებია. ეს ეკლესია როგორდაც გრძელი ჩანს, მაგრამ შესაძლოა იმავე პერიოდისა იყოს. სოფელში (ჩათახ), რომელსაც ქართულად ხერთვისი (ორი წყლის შესაყარშია) ჰქვია, მესამე ეკლესისის საკურთხევლის N ნაწილია შემორჩენილი, იმავე თანადორული წყობისა.

უკვე სახელი ტაოსკარი ცხადყოფს მის მნიშვნელობას, აქ ორი წყალი ერთვის, ერთს თურქული სახელი აქვს, რაც ქართულად წყალწითელად გადმოიცემა. მას თურმე მიყვება ბილიკი, რომელიც კლარჯეთში გადავა. ტაოსკარი სწორედ იქიდან ტაოში შემოსასვლელს უნდა აღნიშნავდეს ამ მაღალ კლდეთა შორის. ამ პუნქტის (ტაოსკარის) მნიშვნელობაზე უნდა მეტყველებდეს ასეთი ტაძრის აქ გაშენება...

ამავე „წყალწითელას” უერთდება მეორე ხევი, სალა-ჩურისა რომლის მარჯვენა შენაკადზეა კალმახის ციხე და გაჩემორის მონასტერი. იქით ახლა გზა გაყავთ და ჩვენ ამ მონასტრისკენ წავედით. მანქანა შესართავში დავაყენეთ და ფეხით შეგუშევით წყლიან ხევს. გზიდან მოჩანს „მიუვალი” (ექვთიმე), კალმახი, მაღალ კლდეზე. ვაჩემორის მონასტერი ციხისკენ მიმავალი ბილიკის ცოტა ზვითაა. აქ რამდენიმე ეკლესიაა, სატრაპეზო, კარიბჭე სამრევლოთი. ერთ გადაკეთებულ, გრძელ, ბრტყელაბსიდიან ეკლესიაში საკურთხეველი თითქმის შუაზე მოუწყიათ მოგვიანებით, დამოკლებული ეკლესია შეულესიათ, მოუხატიათ. ირჩევა წმინდანთა სახელები: გიო, დეკ, სტეფანი, პროკოპი. ქვევით ასეთივე ასომთავრულით ირჩევა: “...გრიგოლ შემოსწირა...” შესასვლელში ასევე ასომთავრული ნაკაწრი წარწერაა: “ქე შე გაბრიელ და ერი მისი ადიდე”. ეს წარწერები ექვთიმეს გამოცემული აქვს. მონასტერს მრავალგზის გადაკეთების კვალი ეტყობა და მაინც შემორჩა სომხური “ძორი” ე.ო. ხევი. აქვე გაღმა “კამახ” ციხეა. მის ძირში ვარ და ვერ კი ავსულვარ... როგორ ავუხსნა ამ ახალგაზრდებს, რომ შესაძლოა ეს ჩემი ბოლო შანსი იყოს... ან ვინ მოისურვებს იქ ასვლას?...

ტაოსკარში დაბრუნებულებს გამყოლმა რეგულარული წყობის მრგვალი ბურჯის კედლის ნაწყვეტზე მიგითოთა: აქ ძველი არხი გადმოდიოდა და მისოვის ამოაშენესო... ვინ იცის როდინდელია ეს არხი ტაოსკარში? ამ შესანიშნავი ბაღების სამყოფელში, სადაც ბრინჯიც კი მოჰყავთ?...

გუზამ ტაოსკარელი, ეს დიდი, ძლიერი ფეოდალი თამარის წინააღმდეგ განდგომას რომ ბედავს, ცხადია, ამ ტაოსკარს გულისხმობს, მაშ სადაა მისი საჯდომი ციხე? კალმახი ამ რაიონშია, მაგრამ ხომ ადრე ის კალმახელოთა საბუდარია, სულა კალმახელი, მეფის ერთგული, ლიპა-

**რიტს** იჭერს და ბაგრატ IV-ს ჩაბარებს. ამის სამაღლობელად მეფემ მას სამცხეში ისეთი მამული მისცა, რომ მან ციხისჯვარელთა შტოს დაუდო სათავე. კალმახელიძეები მერეც რჩებიან... სულკალმახის სახელი შენახული თქმულებაში, სულა კალმახელიძან უნდა მოდიოდეს... ასე, რომ გუზამ ტაოსკარელს რაღაც სხვა ციხე უნდა სჭეროდა ტაოში და მისი ტაოსკარელობა წარმომავლობას შეიძლება აღნიშნავდეს და არა აქაური ციხის მფლობელობას. საიდანაა წარწერა მამამისის საფლავისა ახალგაზრდებმა რომ ჩამოიგანეს?\*

უკან დაპრუნებულებმა **ნორბეთის** ციხეს გამოვუარეთ. ეს მაღალ კლდეზე მდგარია, ოლურისწყლისა და ოლთისისწყლის შესართავში. მისი ზურგიანი კოშკი ძველია და ძლიერი. ნაგებია მოზრდილი დამუშავებული ქვებით. აქვს ხუთი სამზერი (არასათოფურები) და სამსართულიანია. მის ირგვლივ შემოვლებული გალავანი გვიანია და ფერიც თეთრი დუღაბისაა, აქვს უკვე სათოფურებიც. აქვს ასეთივე წყლის რეზერვუარი, შელესილი. სწორედ ამ ახალი გალავნის გამო შეარქვეს გვიან მოსულმა სომხებმა ახალციხე, ისე რომ მისი კოშკის სიძველე არ გაუთვალისწინებიათ... **ზურგიანი კოშკი IX-X სს.** შეიძლება იყოს.

#### 4.08.08

დღეს ფანასკერტიდან დავიწყეთ. ამ ძველი ციხის მხოლოდ ნანგრევებია. არის ძველი და განხლების კვალი. ეს ციხე ასპანიძეებს უნდა დახვედროდათ. ის ნამდვილი ციხე დარბაზია ორი წყლის (ფანასკერტ-სუ, კაპ-სუ) ხერთვისში ამართულ გორაზე. აქ მხოლოდ წყლის ორმო ჩანს, ეკლესიის თუ სხვა სათავსოთა ნაშთები წაშლილია.

\* შენიშვნა დ. ბერძენიშვილისა: ტაოსკარს ქვევით, სალაჩურისა და ოლთისისწყლის შესართავთან, ექვთიმე უთითებს დიდ ციხეს სოფ. კრანში (ხუთვერსიან რუკაზე “Kraut”). ეგებ აქ.

გადავანს მრგვალი ბურჯები აქვს ერთგან. ოთხკუთხა შენობის კვალია გადავანშივე. ეს ციხე, ორ ხევს მიყოლილი, ორი გზის მაკონტროლებელი ქვეყნის ბატონის ციხეა, რომელიც თავისი ერით ისე ძლიერია, რომ მეფის ჯარის დაუხმარებლად აკეთებს დიდ საქმეებს, თან ბედიც სწყალობს (“არცა, ღმერთო, უბედო” - თამარის ისტ.). მანვე მოახერხა გუზან ტაოსკარელის დამარცხება და მერე ფანასკერტელის სახელით ტაოს ერისთაობა ოთხი ს-ის განმავლობაში. მერე ციციშვილები ქართლში...

ექვთიმე ამ სოფელში სამი ეკლესიის ნაშთს უთიოთებს. იქიდან წაღებული წარწერიანი ქვა მაშინ მოსახლის შენობაში ყოფილა ჩაშენებული: „...ა... /ი სახბლე/ სასუბატ /ისათს ესად/”, ე.ი. “სუმბატისათვის ერისთავისა” (?) IX-X სს. (კოლა-ოლთისი, გვ. 372).

სოფელი დიდია, ხილიან-მოსავლიანი, ღონიერი ეკონომიკურად და დიდი; ასეთ ციხეს ეკონომიკური საფუძველი უნდა ჰქონდა, რომ საერისთაოს ცენტრი გამხდარიყო, თუმცა ტაოში სხვაც იყო დიდი მნიშვნელოვანი ციხეები.

ფანასკერტიდან თრთის სოფელს მიგაშურეთ. ის ოლურიდან ზევით, ორთისწყლის ხეობაშია გაშენებული. აქ, მართლაც, სვეტივით შერჩენილ კლდეზე, შორიდანვე ოთხკუთხა კოშკის ნანგრევი (ექვთიმეს დროს “ლამაზი კოშკი”), მისი მისასვლელები ალაგ-ალაგ კედლებითაა გადაღობილი. საფიქრებელია გზის მაკონტროლებელი სათვალთვალო კოშკი იყოს. თამაზმა ასვლა აკრძალა: სახიფათოაო...

უპან მობრუნებისას ოლურამდე კიდევ თრი, ასეთივე კლდის თავებზე, ისევ მრგვალი და მეორე-კუთხოვან-გადავნის ნაშთიანი კოშკი გადავიდეთ. ისინი გზის მეორე კუთხიდან მივიჩნიეთ: ერთობ მცირეა მათი ფართი.

## 5.08.08

ავიბარგეთ ოლურიდან. ექვთიმესთან და რუკაზედაც (ხუთვერსიანი) ტაოსკარს ქვევით, სალაჩურისა და ოლთისისწყლის შესართავთან ნაჩენები იყო **ციხე** და **სოფ.** **კრანი.** აქ მაღალ კლდეზე, მართლაც, დაგვანახეს ციხის ნანგრევი. ისევ: „აუ, იქ რა ავა, ორი ქვა გდია, ერთი კედელი, არ ლირს წვალებად”... ბინოკლით - წყობა გვიანია, მაგრამ აქაც შესაძლოა ყოფილიყო ძველი ფენები. გადაღებით დავგმაყოფილდით... ექვთიმესმიერი კალმახი, ვაჩემორი და ეს კრანის ციხე, უეჭველად, ფანასკერტის თემში იგულისხმება (სალაჩურის ხევი), ე.ო. გუზანს ორივეგან შეეძლო პქონებოდა საჯდომი და ფანასკერტელად წოდებულიყო (როგორ დავთმე და არ ავედი ამ ციხეზე!!!). მერე გზად ბანას **თემში** გამოვიარეთ. გზისპირზე მყოფი ექსკონქიანი ნანგრევის (კიაგემის ალტი) პირდაპირ გამოქვაბულებია. იქ ამსვლელებს სოლები და თოკი დაუტოვებიათ. თამაზი, დაუდი და მე ავცოცდით. აღმოჩნდა ბუნებრივი გამოქვაბულები, რომლებიც ბერებს გაუფართოვებიათ და გამოუთხრიათ. თაღური გადახურვა და კედლების დამხრობა თითქოს სამლოცველოს მოწყობილობას გულისხმობს, გვერდითი სათავსოები, ალბად, სენაკებად გამოიყენებოდა. მოხატვისა და შელესვის კვალი არ ჩანს. არაა გამორიცხული მოპირდაპირე ეკლესიის ბერების სამყოფი ყოფილიყო.

გადავედით **სოფ.** **სოლომონისში** და წყაროსთანაც, შემაღლებაზე ეკლესიის ნანგრევი დაგვხვდა. ის შეძერწილი ყოფილა მოზრდილი გათლილი ქვებით. გეგმაში, შესაძლოა, სამნავიანი ბაზილიკა ყოფილიყო. მოზრდილი ეკლესიიდან მხოლოდ S გვერდის ნაწილია გადარჩენილი. ხომ არაა ეს ექვთიმეს მიერ ჩამხუსის ეკლესიის ნანგრევებად აღწერილი პუნქტი? მაგრამ იქ ტეტრაკონქია (კოლაოლთისი, გვ. 336).

სოლომონის ციხეში მანქანამ მის მირში მიგვიყვანა. აქ შერჩენილია გალავნის მრგვალი ბურჯი და კედლები

ძველი, თანაბარი, საშუალო ქვების ზომისა, ასე დამახასიათებელი რომაა აქაური მშენებლებისათვის. ეს ციხე ნანახი და აღწერილი აქვს ექვთიმეს. მაშინ აქ გუმბათიანი ეპლესიაც მდგარა, შიგნიდან სულ მოხატული, წარწერებიც ყოფილა: „დღმერთო და წმინდაო დიმიტრი, შეიწყალე ცოდვილი დავით მონაზონი, ამინ.” ფრესკული წარწერა კი იკითხებოდა ასე: „შებიძე მიქელს შეუნდვენ ღმერთო დიდო (?), ამინ.” ყოფილა ფიგურები წინასწარმეტყველთა და მოციქულთა. ექვთიმე ტაძარს IX–X საუკუნეებით, მოხატულობას კი - XVI საუკუნით ათარიღებს (კოლა-ოლთისი, გვ. 398).

დარეჯან კლდიაშვილი<sup>29</sup> ამ ციხეს მიიჩნევს კალმახის ციხედ. მე ვფიქრობ, ამას მეტი დასაბუთება უნდა. ეს ბანას თემია და აქ სხვა ციხეები პირველობენ... წყაროებს უნდა შეჯერება. წამოვედით კოლაში, გზა ბანისწყალს მოყვება და ბუნებრივ-გამოქვაბულებიანი კლდეების გარემოში მიდის. ამოვედით ტრიალ ზეგანზე, რომელიც მოებითაა გარშემორტყმული. ხე არსადაა, მხოლოდ შემოსასვლელ მთებზეა ნაძვნარი. აქ ქურთები ცხოვრობენ. მიწურები. წიგის გროვები... ჩვენი ჯავახური გარემო.

მოვეწყეთ სასტუმროში. სადამოს მტკვრის სათავე გადავიდეთ. აქ ექვთიმეს მიერ აღწერილი პუნქტები გვაქვს სანახავი: დადაშენი, ოთხთა ეკლესია, ოკამი, კალაჯუხი...

## 6.08.08

კოლაში უკვე ორი სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული უანდარმი დაგვყვება მანქანით.

პირველი რაც ვნახეთ, ეს იყო მართლაც შესანიშნავი ციხე კოლის უკიდურეს სოფელთან, კლდეზე. ის სამი მხრით მიუვალ ქარაფზეა და მტკვარს მიყოლილ ორ გზას უდგას ყელში. მეორე გზა N-დან ამოუყვება მშრალ ხევს და ველზე (სოფელში ამოდის). ერთადერთი მისასვლელი მხრიდან შესანიშნავი, მაღალი კედელია ამოყვანილი. ერ-

თი ოთხეუთხა და სამი მრგვალი ბურჯით გამაგრებული. აქვეა ოთკუთხა, მაღალი შესასვლელი. მას თავზე განიერი სალოდე დაჟყურებს. შიგნით, ორსავე მხარეს, ზევით ორი ბუდეა ქვაში გაჭრილი, ორფრთიანი ქვის კარის ქუსლებისათვის, კედლებში მსხვილი ბუდეებია ურდულისათვის. წყობა ამ ნაგებობისა ნარევია. გამოირჩევა ძველი – მოზრდილი გათლილი ლოდები ქვევით, ზემოთ მათი ზომა მცირდება და რეგულარულ მწკრივებს იცავს. კედლებში ზოგან ისევ დიდი ბრტყელი ლოდებიცაა დატანებული. NW კუთხეს მრგვალი ორსართულიანი კოშკი იცავს საკუთარი შესასვლელით ეზოს მხრიდან. ი და W მხარეს კლდეს ისევ მიუყვება კედლები, რომლებიც ქარაფთან წყდებიან. შიდა ეზოს ვრცელი ფართობი სათავსოთა ბუდეებს უჭირავთ. შესაძლოა, ეკლესიაც ყოფილიყო... შეკეთება ეტყობათ კედლებს. ექვთიმეს დროს ეს ციხე უკეთ იყო შენახული და აღწერილიც აქვს: **გალაჯუხი, გახუშტით ქუმურდუხი, “ვგონებ ბეჭის ციხედო”**. თუ ასეა, მაშინ სახელი ადგილმდებარეობას ასახავს. ეს იქნებოდა სასახლევრო ციხე არტანისაკენ. საინტერესოა წყაროებში... შემდეგი ნაეკლესიარი იყო სოფელ ბუდაქლისთან, ძველი ჯეჯორი. ის აღწერილი აქვს ექვთიმეს (კოლა-ოლთისი, 310).

**დორთ-ქილისა - ოთხი ეკლესიად სხვადასხვა ადგილას, რომელთაც ერთმანეთთან არ უნდა ჰქონდეთ კავშირი (თავისი ნასახლარები ახლავს). ბრალოდ, სიახლოვის გამო, თურქებმა მათ ოთხი ეკლესია უწოდეს. აგების დროც მათ განსხვავებული აქვთ. ისინი დღეს უსახურ ნანგრევებს წარმოადგენენ და უკეთეს მდგომარეობაში აღწერა ექვთიმეს (იქვე, 307-309).**

**დადაშენის ეკლესიიდან მხოლოდ გაფცენილი ჩონჩხის ნაწილი დაგვხვდა. აქ ეკლესიის W-თით ვნახე ჯავახეთურ-თრიალეთური მშრალი წყობის კედლები**

საპირე დიდი ქვებით, შუაში ჩაყრილი ხურდა. მას უჭირავს მთელი თხემი.

ექვთომებს მიერ ნანახი ეკლესია, გალავანი და კოშკები ახლა აღარაა (იქვე, 305-307)...

სამაგიეროდ ეკლესია NO-ით ქვედის დაბლა, იმავე წეობის მოგრძო კედელია, რომლის ჩონჩხს მოზრდილი ლოდების ანაბეჭდები ეტეობა. ეს გრძელი კედელი გალავნის არაა (მოპირკეთება), ის უგებ სასახლის ნაშთი იყოს, დადაშნელი ეპისკოპოსისა. NW-ით კიდევ ერთი ნაეკლესიარია, უსოფლოდ, ამასაც დადაშნის ნაწილად მიიჩნევენ. გაფცენილი, ერთნავიანი, დარბაზული ეკლესიაა... დაუდმა თქვა, რომ სოფელში შარშან უპოვიათ ქვაჯვრის ბაზისი ზედ ჯვრითა და ვაზის რტოთი. მისი სურათი ბაგრატიონებს აქვთო... ახლა ის ქვა ჟანდარმებმა წაიღეს არდაგანის მუზეუმში.

**უჩქილისა – სამ ეკლესიას ნიშნავს.** ეს ერთი განაპირა სოფელია ქოლისა, მთის კალთათა ძირში. აქაური ეკლესიები ჯერ კიდევ ექვთომებს დანგრეული დახვედრია, სამი იყო. სოფლის მუხტარმა უანდარმებთან მოლაპარაკებების მერქ, ვიდაცას ეზოში მოზრდილი და დამუშავებული ქვა გვიჩვენა. მას, შედარებით სიმაღლესთან ვიწრო, ზედაპირზე ორი ღრმული ჰქონდა. მეორე ბრტყელ მხარეს ასომთავრული წარწერა აღმოჩნდა, ქვა მაგარი ჯიშისაა და ამიტომ ასოები ღრმადაა ამოჭრილი. ასოებში ნახშირი იყო ამოხაზული.

წარწერა თავისუფლად იკითხება: „ესე ჯრ-ნი საფ-ლა ზ-ა“, ე.ო. „ესე ჯუარნი საფლავსა ზედა“. მაშასადამე, საფლავის ქვა ალბათ, ცოლ-ქმრის საფლავზე იქნებოდა დადგმული და ზედ ორი ქვის ჯვარი იქნებოდა მრგვალ ფოსოებში ჩადგმული. „ა“-ს პორიზონტალური ხაზი ტანს მოშორებული არაა; „ლ“ ნუსხურია. შესაძლოა წარწერა X-XI სს-ა იყოს. წარწერის საპირისპირო ბრტყელი მხარე არ ჩანს. ქვა დიდია და მისი გადმობრუნება შეუძლებელია.

მუხებარმა თქვა, ეს ქვა ეკლესიის ნანგრევთან იყო. იქ კი გეგმაც არ ჩანს. გადათხრილია ყველაფერი. სოფლის განაპირას, ბუნებრივ კლდის ლოდზე, რაღაც ამოღარულები გვაჩვენა. აღმოჩნდა „ქე“ (ხუცურად!) ე.ი. „ქრისტე“.

მოსახლემ სპილენძის დაზიანებული ლარნაკი გამოგვიტანა სახლიდან. ისიც მოლასათვის იყო შეპირებული და საიდუმლოდ ინახავდა. ერთი მხარე დაზიანებული ჰქონდა. შიგნიდან გაშლილი პირის დასაწყისში, წრიულად, არაბული წარწერა შემოუყვება. სურათების გადაღება ძლივს მოვახერხეთ...

კიდევ ერთი მოსახლის ბოსელში, კვადრატულ თახაში შედგმული ჯვრიანი ქვა გვიჩვენეს. ჯვარი ამოღარულია, ტოლმკლავა. სიბნელეში ბლიცით გადავიდეთ. ეკლესიის გათლილი ქვები გამოყენებულია მშენებლობაში...

სადამოს სასტუმროშო წყალი არ დაგვხვდა... ხვალ გადასვლას გაპირებთ არდაგანში... ბიჭები დღეებს ითვლიან თბილისს დასაბრუნებლად.

## 7.08.08

დღეს დილას გამოვედით გოლადან. დავადექით არდაგანის გზას. **მე-14 ქმ-ზე მარცხნივ ეკლესიის ნანგრევი** გამოჩნდა. გადავედით. შემაღლებაზე ერთნავიანი დარბაზული შენობა ჩანდა. მისი წყობა საშუალო ზომის ადგილობრივი გათლილი ქვების პორიზონტალური მწკრივებით იყო კირზე. შესასვლელი S-დან, თითო სარკმელი O და N კედლებში უნდა ყოფილიყო. სახურავი ჩაქცეული, ღიობები ჩანგრეული. N კედლებს შუაზე თაღების საყრდენი პილასტრის კვალი ეტყობა. აფსიდაში ორი კვადრატული ნიშაა. დაახლ. IX-X ს-ების უნდა იყოს.

N-ით ნახოფლარის ნანგრევებია. ეკლესიის O-ით ჩანს ნათხარი ქვაყუთები. უცნობია ადგილის სახელი.

ჩვენი მანქანა შეუმჩნევლად გასცდა უდელტეხილს. შეუმჩნევლად იმიტომ, რომ დაახლოებით კოლასებური გარემოა: მაღალმთლიანი ზეგანი, ოდონდ აქ უფრო გაშლილი და ვრცელი. მთები აქ მარტო საზღვრებზე როდია. ამას გარდა, მეტი ფიჭვნარი. მეტება ეს ბუნებრივი იყოს, ძალიან კი უხდება გარემოს... არტანი უსათუოდ მნიშვნელოვანი საძოვრების ქვეყანაა კოლასთან ერთად (კოლა-არტანი). ის ჯავახეთს არ ჩამოუვარდება. მის მნიშვნელობას უფრო ლაზური გარემო აფასებს: იქიდანაა არტანისაკენ მომავალი გზა (არტანიშ უჯი), ჩანს თრიალეთ-ჯავახეთი უფრო ი საქართველოს ემხრობოდა.

საინტერესოა ქვეყნები და მათი ცენტრები: ტაოს, კოლას, ჯავახეთს, თრიალეთს, ტაშირს, კახეთს, კუხეთს, სვანეთს, ლაზიკას, შავშეთს, სამცხეს... ამავე სახელწოდების ცენტრები თავიდან არ ჰქონია და გვიან გაუჩნდათ. ასეთებია: შავშათი, არდაგანი, წალკა, ან სხვა სახელწოდების ცენტრები (ბანა, თორთომი, ოლთისი, ოკამი, ახალქალაქი ჯავახეთისა, თრიალეთის ახალქალაქი, ლორე, უჯარმა, ჭერემი, თელავი, რუსთავი კუხეთისა, მესტია, ფაზისი, ახალციხე...). სხვებს ქვეყნების თანამოსახელე ცენტრები თითქოს თავიდანვე ჰქონდათ: ქართლი (მთაქართლი), გარდაბანი, გაჩიანი, შუაფხორ, თაკვერი, არგვეთი, კლარჯეთი, გურიანთა. ალბათ, სხვადასხვა მიზეზი აქვს ამ განსხვავებას... მაგრამ არის თუ არა პირველად ცენტრი და მისი სახელის გავრცელება მხარეზე? თუ ჯერ მხარეა და მერე მისი ცენტრი? ალბათ, არც აქ იქნება იდენტურობა (კლარჯეთი ქვეყანა, კლარჯეთი – ცენტრი, ლაზიკა – ფაზისი და სხვა).

მოვეწყვეთ სასტუმრო არდაპანში, არა უშავს. გავედით 12 საათისათვის, ამიტომ არდაგანის უახლოესი ძეგლები ავირჩიეთ.

პირველი იყო **სოფ. ალტაში** (თეთრი ქვა). ამის ძველი სახელია **ური**. ეს იყო ძველი არტანის ერთი

მნიშვნელოვანი ცენტრი. ს. ჯანაშია<sup>30</sup> ამ სახელს იყენებდა  
ქართველთა ჰურიტებთან მონათესავების  
დასამტკიცებლად...

სოფლის განაპირას, მაღალ კლდოვან გორაზე, ნან-  
გრევი მოჩანს. ავედით, აღმოჩნდა შესანიშნავი ძვ. წყობის  
გალავანი და ასევე ნაგები მრგვალი სქელი კოშკი.

წყობა მოზრდილი, ტლანქად დამუშავებული ლოდებ-  
ისა რეგულარულია. კირი ისეა გამოქარული, რომ კაცები  
თავიდან მშრალი წყობა ეგონება, თუმცა გულში კირი  
თეთრად ჩანს ყველგან.

ყველაზე მაღალ ადგილზე ერთი მრგვალი ძლიერი  
გოდოლია. კედლის სისქე 2 მ-ია. მას შესასვლელი მეორე  
სართულზე აქვს, გალავნის შიდა ეზოდან. კოშკი ისე სქე-  
ლი კედლებისაა, რომ შიგნით ძირი ადგილი რჩება სა-  
ცხოვრებლად, საომრად კი კარგია. არც სამზერები, არც  
სათოფესაისრეები აქ არ ჩანს. გალავანი საკმაოდ დიდ  
ფართობს მოზღვდავს დახრილ ფერდზე. მას მისაღომი  
მხრიდან სამი ნახევარწრიული ბურჯი აქვს. აქეთ მხარეს  
ციხეს უფრო მაღალი მთა ემეზობლება და ციხეზე შეტევა  
აქედან უფრო აღვილია. ამიტომ მთისაგან გამოსაყოფად  
ციხის გალავანს კიდევ ერთი დამხმარე საშუალება აქვს:  
ესაა მშრალი თხრილი, რომლიდან ამოყრილი მიწა გა-  
ლავნის მხარეს უფრო ციცაბოს და ძნელად ასასვლელს  
ხდის. ეს ძველი ციხეების გამაგრების გავრცელებული წე-  
სია.

ამ ძველი მოტისა და ბეილის გარეთ, მთის ფერდობი  
ნასახლართა ბუდეებს უჭირავს. ეს ძველი დასახლება  
იქნებოდა, ამ ციხის მეციხოვნე, მტრის შემოსევის უამს.  
ციხის მოქმედების ხანა, შესაძლოა, უფრო გვიანი იყოს,  
ვიდრე სახელწოდება ურია, მაგრამ მაინც ნიშნადობლივი  
მეჩვენება ეს ძველი ციხე აქ (დაახლ. VI–VIII სს.). სოფლი-  
დან გამოსვლისას სახლზე გუმბათი შევნიშნე – ჰამამ,

ესაა ოსმალური აბანო, რომელშიაც ახლა თჯახი ცხოვ-რობს. გუმბათი გადავიდე.

**სოფ.** ოლჩეკში, წყაროსთან, ეკლესიის ნანგრევია. შერჩენილი საკურთხევლის შიდა და გარე წყობა მოწითალო, გათლივლი, მოზრდილი ქვებითაა შეძერწილი, შესაძლოა, XII ს-ის იქოს. შესასვლელი S-იდან აქვს, სარკმლის თაღი შესანიშნავია O მხარეს...

სოფლის N-ით კიდევ ერთი დარბაზული ეკლესიის ნანგრევია მინდორში. ის უსვინდისოდაა გაფცევნილი, დამუშავებული მოზრდილი ქვის წყობა მხოლოდ შიგნიდან SW კუთხში ჩანს.

ისევ სოფ. ოლჩეკს გამოვუარეთ. ეს სოფელი ორი მდინარის შესაყარ სამკუთხედშია. სოფელს თავს დაჰყურებს მაღალ კლდოვან მთაზე, სოფლისკენ გამოწეულ ქიმზე, აგებული „ზიარათი“. ეს სიტყვა ამათთან ჩვეულებრივ თაყვანსაცემ ადგილს ნიშნავს...

ავედით და დაგვხვდა სრულიად მშრალი წყობის ოთხეუთხი ნაგებობა. მისი ვეება ლოდები რეგულარული წყობითაა ერთმანეთზე მორგებული. ორი სამზერი აქვს, ერთი ქედს გაჰყურებს, რომლისგანაც თხრილით ყელი აქვს გადაჭრილი და ქედის ორსავე მხარეს ჩადის. მეორე სამზერი კი სოფლის W-ით ჩამოსული წყლისკენ იყურება. ამ ფართე შენობაში N-ით კიდევ რაღაც ოთხეუთხა სათავსია. დამხრობა არაა ქრისტიანული. ესაა წინარე ქრისტიანული ნაგებობა, ალბათ თავდასაცავი, რომელიც იქნებ, სალოცავადაც იყო გამიზნული. დამახასიათებელია, რომ ამ „ზიარათში“ ადგილობრივი მოსახლე, შუა ხნის ქალი იჯდა და ქსოვდა. ჩამოსვლისას კი, მეორე მოხუცი ქალი შემოგვხვდა, რომელიც ფეხსაცმლის გარეშე, წინდებით მოცოცავდა ბილიკზე... განსაკუთრებულ შემთხვევებში ქართველებიც ფეხშიშვლები მიდიოდნენ ეკლესიამდე (თა-მარი ვარძიაში, ბასიანის ომის წინ მლოცველი).

რას ნიშნავს მაპმადიანთა ეს მოწიწება წინარექრისტიანული ნაგებობის წინაშე? რატომ შეარქვეს მას „ზიარათ“-ი, ამ სახელით ხომ ისინი ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევსაც, საერთოდ სალოცავს იხსენიებენ?..

არდაგანის ჩრდ-აღმ-ით, შესანიშნავი ტყეების მახლობლად მივაგენით სიმაღლეს - **ყაზანყალეს**. ნეტავ ვის მიაწერენ თურქები ამ შესანიშნავი ოთხკუთხა კოშკის მშენებლობას?

ის მტკვრის მარჯვენა მაღალ ნაპირზეა, ქედზე, რომელსაც მეორე მშრალი ხევი ჩასდევს N-დან და W-დან. მტკვარი ამ სამი მხრიდან უვლის ციხის მოპირდაპირე კლდოვან კონცხს და ნახევარკუნძულს ქმნის მდინარის მარცხენა ნაპირზე. შესანიშნავი, გზების მაკონტროლებელი პოზიცია უჭირავს ამ სიმაგრეს.

ოთხკუთხა კოშკი მოზრდილი ლოდებითაა ნაგები კლდის განაპირზე. ეს ოთხსართულიანი ნაგებობა ძველია, მხოლოდ ოთხი სამზერი აქვს და 1 შესასვლელი მდინარის მომზირალი ქარაფიდან. აქ მოსადგმელი კიბით იქნებოდა შესაძლებელი აქ ამოსვლა. პირველი სართული ერუა - საქონლისა თუ პროდუქტის საცავი, მეორე-მესამე საცხოვრებელი, მეოთხე - საბრძოლო. ამ კოშკს გალავანი ახლავს, რომელიც მთლიანად ზღუდავს ქედის ზედაპირს. უმეტესად დანგრეულია. ჩანს სათავსები, იქნებ კოშკის კვალიც, სიმაგრის მეორე ბოლოში, რომელიც დას-ით მომავალ ბილიკს აკონტროლებს. ნასოფლარი გალავნის გარეთად W-ით. იქ ახლა მეფუტერეთა საზაფხულო სადგომია ფიჭვის ტექში. ეს სიმაგრე იქნებ ჯავახეთ-არტანის მონაპირე ერისთავისა იქმ XII-XIII ს-ში...

კიდევ ერთი ეკლესიის ნანგრევი ვნახეთ **არდაგანში**, შემოსასვლელთან გზის პირად. ეს მოზრდილი დარბაზული ერთნავიანი შენობაა, ორი მოზრდილი თახებით აფსიდაში. N და S კედლებს შუაზე პილასტრი ჰქონიათ, რომელიც მოსახლეობას მოუხსნია მოპირკეთების

სხვა ქვებთან ერთად. ეპლესის W და N კუთხებთან, ეზოში მოზრდილი ქვაა ამობრუნებული. შეიძლება ქვის სარკოფაგის ნაწილი იყოს...

## 8.08.08

დღეს საქართველოს საზღვარზე წავედით, ფოცხოვის ხეობისკენ. გზად მტკვრის მარცხნივ დიდი ციხე დავინახეთ. ესაა ორეზაქის დიდი ციხე, რომელიც დიდ ჯარს დაიტევდა. ის კლდოვან შემაღლებაზე დგას და კეტავს მტკვრისპირზე გამავალ გზას. მთელი თხემი დიდ და სქელ გალავანს უჭირავს. კედლებში ჩანს ძველი თანაბარი, საშუალო ზომის რეგულარული რიგებიც და არის გვიანიც: არეული წყობა გარეთ გამოსული ბათქაშით.

ერთგან შესასვლელია ʌ ზედა ნაწილით. ქვევით გამონგრეულია. ბურჯები მრგვალია და ეს შესასვლელიც ზურგიანი კოშკისა უნდა ყოფილიყო, ეზოს მხრიდან, მეორე სართულში მისადგმელი კიბით. საოცარია, რომ გალავნის მთელ სიგრძეზე, კედლებს ორი პარალელური, კედლის გასწვრივი, მრგვალი ხვრელი მიუჟვება. ეს რომ წყვეტილი იყოს, ხის ნაკვალევი მეგონებოდა, კედლის სიმაგრისათვის. აქ ასე არაა და ეს მრგვალი ხვრელი რკინის მილის ნაკვალევს უფრო ჰგავს, რომელიც კედლიდან გამოუდიათ!.. ეერ ვხვდები მის დანიშნულებას. ცხადია, რომ ძველი ციხე ოსმალებს შეუკეთებიათ და გამოუყენებიათ არტაანიდან ფოცხოვისხევისკენ მიმავალ გზაზე. ზოგან ჩანს სამზერები.

გადავლახეთ ერუშეთის ქედი და დაგადექით ფოცხოვის ხეობას. მისი ცენტრი თურქეთში ახალი დასახლება უნდა იყოს, სახელით პოსხოვ... ჩვენ იქ უანდარმერიაში მისვლამდე მერქს ციხეს ჩავუარეთ.

უანდარმერიაში თბილად მიგვიღეს, ჩაით გაგვიმასპინძლენ და თავისი მანქანით ოთხი კაცი გამოგვაყოლეს ავტომატებით.

პირველი რაც გვაჩვენეს, ყველის ციხე იყო. ფოცხოვის მარცხენა სანაპიროზე გამოკიდულ კლდეზეა ეს ციხე. მისი მრგვალი ბურჯები ერთადერთ მისასვლელ მხარესაა NW-ით. აქ წყობა ძველიცაა და ახალიც. გობრონის<sup>31</sup> წამებისეული ტექსტის (X ს.) შესატყვისი კედლების პვალიც მოვიძე: მოზრდილი, გათლილი, მოგრძო დიდი ლოდები. გალავანი კლდის მთელ ზედაპირს მოზღუდავს, ზოგან რადიალური კედლები ეშვება უფსკრულისაგენ. ი ნაწილში, ერთი ოთხკუთხა შენობის ნაწილი, კალების დარბაზის W ნაწილად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა (დამხრობის მიხედვით), მაგრამ ი ნაწილი ჩანგრეულია. მიქელ-გობრონის წამების დროინდელი ფენა არის და, რაც მთავარია, არსებობს შესანიშნავი აღწერა აბულ-ჯასიმის ლაშქრობისა 914წ. და გობრონის წამებისა... სოფ. ყველი ფოცხოვის მარჯვნივაა, ალბათ მერძევეობა, ყველის დამზადება იყო მთავარი (შდრ.: კარაქა თრიალეთში). რომ ეს ძველი სახელია, ჩანს ბერძნული თარგმანითაც, რომელიც ამ ციხეს ტიროკასტრონს უწოდებს.

წურწყაბი საეპისკოპოსო იყო. ისიც ამავე ხევშია ყველის სიახლოვეს მას ახლა აშიკჯულალე პქვია, თუმცა ადგილობრივნი ძველ სახელსაც იხსენებენ. აქ გვიჩვენეს ძველი ციხის (?), თუ კალების კადლები. ამ ქვებითაა აშენებული ადგილობრივთა სახლები, მათი ბუხრები. არის ქვა ორი ფოსოთი ჯვრებისათვის, ისეთი გუშინწინ რომ ვნახეთ კოლას სოფ. უჩქილისაში. შამწეულოდ, ძველი ეკლესიისა თუ ციხის (?) გეგმაც კი არ ჩანს, ისეა ირგვლივ დასახლება, ერთ ქვაზე მხედრული წარწერა „ბადრი“.

ჩავედით ჯაყის ციხის სანახავად, მაგრამ მესაზღვრე-ებმა არ მიგვიშვეს. მე ეს ფოცხოვის მარჯვენა ნაპირიდან სოფ. ჯაყისმანიდან გადამაღებინა ლაზიშვილმა<sup>32</sup> ციურის-თან<sup>33</sup> ერთად. ჯაყისციხე და ალბათ სოფელიც მარცხნი-

ვაა, ჯაყისმანი – ჯაყისუბანი თავისი ციხითა და ეპლესი-ებით კი – მარჯვნივ... არ იქნა ჯაყის ციხის ნახვა, მევი-ჯაყეთ...

**მერეს ციხე** ფოცხოვის მარჯვნივაა. ისიც კლდეზეა, მაგრამ მიუვალობით ვერ დაიკვეხნის. აქაცაა ძველი კლდების წყობა. ერთი ოთხეუთხა მთავარი კოშკი და ვრცელი გალავანი, მთელი თხემის მომცველი. არის გადაკეთების კვალიც – გვიანი. მთავარი კოშკის ეზოს მხარეზე, მეორე სართულზე ოთხეუთხა შესასვლელია. იქ მარცხენა და მარჯვენა, ზედა და ქვედა ქვები ერთიანია, ე.ი. ოთხი ქვა ქმნის შესასვლელს. ის ერთი ქვით იხურებოდა: მარცხენივ, ზევით და ქვევით ფოსოებია ქუსლებისათვის. ასევე ხერელები ჰორიზონტალური ურდულისათვის. ამ კოშქს სამზერები აქვს მოსასვლელი S ფერდობისკენ სამი ცალი. შესასვლელის მარცხენა ქვაზე მხედრული წარწერაა, ორი სახელი უნდა იყოს. XIV ს-ის წარწერას ჰგავს.

ციხის ძირში დარბაზული ეპლესის გაფცევნილი ჩონჩხია, რომელსაც მინაშენები ჰქონია N და W მხრიდან. ბათქაშზე ანაბეჭდები: მოზრდილი, გათლილი ქვების რეგულარული, სწორსაზოვანი წყობაა. ეს უცნობი ეპლესია განვითარებული შუა საუკუნეებისა უნდა იყოს. მერე – მდინარის სანაპირო ჭალაა: მერია, მარადიდი...

ცხინვალში ომი დაიწყო... საწინააღმდეგო ინფორმაციებია რადიოსა და ტელევიზიაში. დმერთო, დაიფარე ჩვენი ხალხი!..

## 9.08.08

დილიდანვე ერუშეთს გავუდექით. ეს არტაანის ნაწილია. **ორუშეთს** უწოდებენ ადგილზე. ეს მთათა ძირში მთავარი გზისპირა დასახლებაა. აქ უკელამ იცის ძვ. ეპლესის ადგილი. მისი ნანგრევები საკმაოდ დიდ ფართს მოიცავს და მხოლოდ გაფცევნილი ბათქაშია დარჩენილი. ეს

არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ ერთნავიანი დარბაზული ეპლესია. ის რადაც უფრო მეტია. ნახე ექვთიმესთან.

მერე ნანატრი კურტკალე-მგელციხეა. მტკვრის ეს ნაწილი მნიშვნელოვანია: აქ მტკვარს გაყოლილი გზა იკვეთება ჩრდილს მიმავალი გზით. ეს გზაჯვარედინი მტკვრის მარჯვნივ აღნიშნულია ოთხი გამოქვაბულით. ერთ მათგანში, ყველაზე მოზრდილში, ნაგებობის კალია – თითქოს გუმბათი და N კედელი... ქვები აქაც მოხსნილია.

უფრო საინტერესო ისაა, რომ ახალი ხიდის ზემოთ, ძველი ნახიდურის ბურჯებია, მტკვრის მარჯვნივ და მდინარეში... მარცხნივ კი რუსული ხიდის ბურჯია. ე.ო. აქ ძველთაგანვე იყო ხიდი გზაჯვარედინზე. სოფელს, რომელსაც სახელი ციხისგან მიუღია (ჯერ ციხე, მერე სოფელი), ციხის N-ით ფერდზეა შეფენილი. სასაზღვრო პუნქტის ქვეშ იქაც გამოქვაბულები ჩანს, ამბობენ ამონაშენიაო. იქ მისვლა ვერ გავძედეთ: უარი არ ეთქვათ ციხის გადადებაზე. ჯაყის ციხესავით აქაც უარს ველოდით, მაგრამ ახალგაზრდა სამხედრომ გულუბრყვილოდ გაგვიშვა, თუმცა ბოლოს ინანა: უფროსებმა დატუქსეს...

ჩვენ მივაღწიეთ ქედისგან განმხოლოებულ კლდეს, რომლის მთელი ზედაპირი ციხეს უჭირავს. შორიდანვე ჩანს მტკვარზე ჩასასვლელი გვირაბის ორი ხვრელი, რომელიც აქ მორევზე ჩამოდის. ქვედა ციხის გალავნიდან ზედა ციხეში ხვდები, სადაც ერთნავიანი დარბაზული ეპლესიაა გათლილი, მოზრდილი ქვებით მოპირკეთებული სწორხაზოვნად. შესასვლელი S-დანაა, თაღური გადახურვით. W და O სარკმელებიდან O ცოტა ფართოა და დაბალი. აფსიდას წარმოადგენს ბრტყელი კედელი. შიგნიდანაც ეკლესია ბრტყელი, გათლილი ქვებითაა შეძერწილი. საკურთხეველსა და შუა ნაწილს, როგორდაც, პროფილირებული თაღები გამოჰყოფენ. N კედელში W-სკენ ერთი ოთხკუთხა ნიშაა. მთელი ეკლესია მოგვიანებით

მოუდესიათ და ფრესკებით დაუფარავთ, რაც თითქმის მთლად გაფუჭებულა. ეკლესიის გარეთ სადა, ყვავილისებური ჩუქურთმიანი ქვა გდია. საერთო იერით ეკლესია IX–X სს. უნდა იყოს, მოხატულობა კი XIV–XV ს-სა (ნახე ექვთიმე). სხვებს მგონია არც უნახავთ...

ეკლესიის N-ით რაღაც მოზრდილი ოთხკუთხა შენობაა. მოზრდილი დარბაზი ორი ნაწილისგან შედგება, მგონი სასახლეა. ერთი სარკმელი მასაც O-ით აქვს. ციხეს აქვს მრგვალი კოშკი და ნახევარწრიული ბურჯები. აქ არის ძეგლი წყობაც (საშ. ზომის თანაბარი, უხეშად დამუშავებული ქაბის რეგულარული მწკრივები) და ახალიც – ნარევი ბათქაშზე. ათაბაგებამდე მგონი ამ ციხეს არსად ვხვდებით. XVI ს-ში კი მას გოგორიშვილი<sup>34</sup> იცავს. მუსტაფა ლალაფაშამ ის ჯაფელებს წაართვა და მერეც მოქმედი იყო. სახელწოდება უნდა გამოხატავდეს გაუტეხლობას (შრდ.: შეუპოვარი, ოჩანის (ციხე...)). ციხის დაბლა კიდევაა რაღაც შენობის კვალი. გვირაბებში ვერ ჩავალწიეთ – ამოქსებულია...\*

მერე იმ გზას გავყევით – გამოქვაბულებს რომ გაუპლის და ჩრდილის ტბისკენ მიდის. ამოვედით ზეგანზე და მტკვრის მარჯვენა შენაკადზე, ყაფარ კლდეებში გამოჩნდა ულამაზესი შაითანკალე – ქაჯის ციხე. ვეფხისტყაოსნის ყველა მხატვარს, მე ვფიქრობ, ნანახი პქნიდა ექვთიმესთან ქაჯის ციხის ფოტოგრაფიული სურათი, ყველა ამას იმეორებდა თავისებურად...

კლდე სავსებით მიუვალია სამი შხრიდან. მეოთხე მისახლელი მხარეც NW-დან ყელგადაჭრილია. აქ გადის ერთადერთი ცხენის ბილიკი, ჩანს უმოკლესი და მნიშვნელოვანი, მას ადვილად აკონტროლებს ეს ციხე. მაგრამ ის

\* შენიშვნა დ.ბერძენიშვილისა: ციხის O-ით კიდევ ჩანს ერთნავიანი დარბაზული ეკლესია, ალბათ სოფლისა. ელდარმა ნახა და გადაიღო. მისი ნახევარწრიული აფსიდაც მოხატული ყოფილა... ციხის გაღმა, კლდეებში მოჩანს გამოქვაბულები.

უფრო მნიშვნელოვანი, დიდი ხნის სადგომი, რეზიდენცია უნდა ყოფილიყო ათაბაგების ხელში. სწორედ მათი პატრონობის პერიოდი და ოსმალთა მფლობელობის ფენებია აქ ყველაზე ჭარბად. არის უფრო ძველი – საშუალო ზომის ქვათა პორიზონტალური მწკრივებით.

მისასვლელ მხარეს იცავენ დაახლ. 30 მ (თუ მეტი არა) სიმაღლის დაუზიანებელი კედლები. გიკვირს ამ სიმაღლე, მიუვალ კედლებს რად უნდოდათ ეს ბასტიონები. თუმცა ზარბაზნების დროს, ალბათ, მახლობელი სიმაღლეებიდან იყო საშიშროება. ქვედა ციხეში შედისარ შთამბეჭდავი შესასვლელით, ორ მრგვალ ბურჯს შორის. ამას იცავენ სპეციალური მოხრილი კედლით (როგორც ოქროს ციხეშია) და სალოდეთი, რომელიც ზედ შესასვლელს დაჰყურებს. სალოდები ყველა ამ მოსასვლელ მხარეებშია, არის შიგნითაც ვიწრო მრგვალი ხვრელი, რომელიც უპვე ქვედა ციხეში, მთავარი კარიბჭიდან შემოსულს ეცემა თავზე... საოცარია, ამ სალოდე, საზარბაზნე ხვრელების მოწყობის ტექნიკა. არის ორი დიდი წყლის საცავი, იქვეა ეპლესიაც. ესაა მოზრდილი, ერთნავიანი, დარბაზული ეპლესია, რომელსაც დაახლოებით შემოსასვლელის თავის სიმაღლეზე, ორლილვიანი სალტე შემოსდევს თხივე მხრიდან. ოლთისის ციხის ეკლესიას ასეთი სალტე მოჩუქურთმებული პქონდა და მე ბიზანტიურად მეჩვენა (თურმესულ ტყუილად). ეკლესია შიგნიდან და გარედან შეძერწილია გათლილი კვადრებით, მაგრამ გადაკეთების პალი აშკარაა: მეორედ, უადგილოდაა ჩასმული რელიეფური, ლილვებიანი ქვა N შესასვლელის მარცხნივ და S კედელში, შიგნიდან სარკმლის საპირე. ნახევარწრიულ აფსიდაში ორი მცირე, შეისრული თაღიანი ნიშაა. ეს გადაკეთება XIV–XV ს-სა მგონია\*. ერთადერთი შესასვლელი ეკლესია-

\* შენიშვნა დ. ბერძენიშვილისა: ერთადერთი შესასვლელი ეკლესიაში N-დანაა, მერე დამატებით გარდვეული. ეკლესიას ირგვლივ ცალკე გალავანი აქვს.

ში N-დანაა. მერე დამატებით გარღვეული. ეპლესიას ირგლივ ცალკე გალავანი აქვს. მთავარ კოშკში შესასვლელი მეორე სართულზეა მისადგმელი კიბით შიდა ციხის ეზოდან. შიდა ციხეშივეა მრგვალი გოდოლი, რომლის ფართო ზედაპირი საომარი მოედანი უნდა იყოს მეციხოვნეთავის, რომლებიც აქ ფართო, 23-საფეხურიანი ქვის კიბით ჩამოდიოდნენ. ციხის ტერიტორიაზე არის სხვა სათავსოთა და კედლების ნაშთებიც. ეს მართლა ქაჯის ციხე, შოთას არ მოუგონია (ნ. ბერძენიშვილი<sup>35</sup> ...).

ამ ციხესაც ლალაფაშა ართმევს ათაბაგებს და ოსმალებიც წარმატებით იყენებენ. მიუგალობა იცავს ციხეს მოსახლეობისაგან: ქვა ვერ გააქვთ...

შემდეგ ჩრდილის ტბაზე, სოფ. ურთის ეპლესიაზე დაშენებული ჯამე გნახეთ. ეს კედლებიც მშენივრადაა დაცული: წმინდად მორგებული გათლილი ქვები. ი კედელზე გარედან ორი სამკუთხა მაღალი ნიშაა, სხივებით დაბოლოვებული. ს შესასვლელი ამოქოლილია (აზომილი იქნება).

ვექრაშენიც ამ ტბის ნაპირზეა. მის ეპლესიაში არ შეგვიშვეს (ქურთები ცხოვრობენ). S-დან მას სასადილო და მაღაზია აქვს მიღგმული. ირგვლივაც სახლებია; მათ სახურავებზე გადავლით მაინც გადავიდეთ ეპლესის N კედელი, შესანიშავი ჩუქურთმიანი კაპიტელით. აფსიდა შეცვლილია ბეტონის კედლით და ეპლესიაში ბოსელია უსახურავო...

ჩრდილის (მოები მართლაც ჩრდილავენ) ტბა ვეებაა: 50 კმ-ია სიგრძეშიო... აღჯაყალა არ ჩანს სიბნელეში, აღბათ დანგრეულია. ხვალ ყარსში წასულები აქ გამოვივლით.

## 10.08.08

დავიწყეთ ჩრდილის ტბაზე აღჯაყალით. ამ უზარმაზარ ტბას ერთგან შეჭრილი ნახევარკუნძული აქვს.

ის საკმაოდ ფართოვდება, მისასვლელი კი ვიწრო აქვს, მაგრამ ორივე მხრიდან კედლით გადაკეტილი. ეს კედლი გაცილებით გვიანია, ვიდრე ნახევარკუნძულზე არსებული ყველა ძეგლი.

პირველ ყოვლისა ყურადღებას იქცევს ციხის S-ით უერდობზე მდგარი ეკლესია. ის მოზრდილი, გაფცევნილი შენობაა, სახურავზაქცეული, S შესასვლელით და W სარკმლით. N და S-დან მინაშენების კვალია. S კედლის გარეთ დამათარიდებელი ორნამენტიანი ქვა გდია. ბაგრატიონებს შენობა XI ს-ით დაუთარიდებიათ.

კლდოვანი ქედის ზედაპირი მთლიანად გალავანს უჭირავს. ესაა თრიალეთ-ჯავახეთში გავრცელებული „ურარტული“ მშრალი წყობის კედლები: ორივე მხრიდან მოზრდილი ლოდები, რომელთა შორის ჩაყრილია ხურდა, (უანდარმებმა მახლობლად აღმოჩენილი ურარტული წარწერა გვიჩვენეს. ე.ი. ეს ციხე მათი შენობა იქნებოდა). ზოგან ამ გალავანს მეორადი გამოყენება კირზე ეტყობა (ალბათ ეკლესიისავე დროიდან). რაც მთავარია, გალავნის კედლებზე, შიგნიდან მიღგმულია სწორედ ისეთი სათავსები, ერთმანეთზე მიწყობილი, როგორც ფარავნის შაორზეა. აქ ორგან კარგად ჩანს შესასვლელის ბრტყელი ბალავრის ქვა. ყველაზე მაღალ ადგილას მომრგვალებული მშრალი წყობის კოშკი უნდა ყოფილიყო. ეს სიმაგრე ნახევარკუნძულის კლდეზეა, ზღვისგან მაინც მოშორებით.

ზედ ზღვის ნაპირზე კი მეორე, მრგვალი კოშკია ვეება ლოდებით, კირზე ნაგები. ეს, უეჭველად, ეკლესიის დროისაა. ამბობენ ციხიდან (ეკლესიასთან რომაა) გვირაბი მიდიოდა ტბამდეო...

რა მოვალეობას ასრულებენ ეს სიმაგრეები ტბებთან? ასეთი ძველი სიმაგრეები ჯავახეთის ტბებთანაცაა და უნდა ვიფიქროთ, წყლის სიახლოვე, თვეზზი, ასევე წყლით მოსასვლელის ადგილი დაცვა, ასეთ პუნქტებს მნიშვნელოვანს ხდიდა. შუა საუკენეებზი კი ამ სიმაგრეებს ადგილად

შეეძლოთ ყველაზე მოხერხებული გზის – ტბის სანაპიროსთან მოძრავი, ნავების, გაკონტროლება. ეს იმიტომაც, რომ ძველად, შუა ტბასა თუ ზღვაში ნავით ცურვა ღვლვის გამო საშიში იყო და ნაპირ-ნაპირ დაცურავდნენ. თვით „ზღვათა მეფე“ ფრიდონი და გვიან გურიელიც, შუა ზღვაში ვინ ცურავდა, ვერ აკონტროლებდა...

ამის მერე, ტბისავე პირს მყოფი **სოფ.** ჭალა (ჯალა) მოვინახულეთ. აქ პირველად ვნახე სრულიად მთელი, ერთნავიანი დარბაზული ეკლესია, რომელსაც სახურავიც (თაღური) მთლიანი შერჩენია. მისი კედლები კარგად გათლილი და მორგებული ლოდებითაა შეძერწილი და აღმოსავლეთით, ორ-ორი, სამკუთხა, ნიშაა მთელი კედლის სიმაღლეზე. 0-ით მათ თავზე ისეთივე სხივები აქვთ, როგორც ურთაში. N კედელს ხუთი თაღი გადასდევს. ასევე იქნებოდა S კედელიც, რომელიც არ ჩანს, რადგან მასზე მიუდგამო ჯამე. ამან გადაარჩინა ეკლესიაც, რომლის პერანგის შემოძარცული ქვედა ნაწილი W კედელზე გვიანი ნარევი წყობით შეუვსიათ. შესასვლელი S-დანაა. მას ჯამეს შენობა ფარავს. ეს ეკლესია აუზომიათ ბაგრატიონებს და X ს-ით დაუთარიდებიათ. მათვე შეუნიშნავთ საკურთხევლის ნახევარსვეტების თავზე სამკუთხედით დასრულებული სახატე ნიშები. მარჯვენა სამკუთხედში ასომთავრული წარწერაა. გადაიღეს თამაზმა და დაუდმა. ამათი გადანაღები შეიძლება გაირჩეს. ეს შეუნიშნავთ ბაგრატიონებსაც და წერებ: აქედან ჩანს, რომ ეკლესია დმრთისმშობლის სახელობისააო... X ს-საა ეკლესია, მსგავსი ოთხთასი.

ჩამოვედით **ყარსში.** ეს ქალაქი (საკმაოდ დიდი) უსაშველო ტრამელებშია გაშენებული, პატარა მდინარის პირზე (არაქსი ???).

მუზეუმში გარეთ გამოტანილი ქვები და არქეოლოგიური ნივთები გადავიდე, ჩვენის მსგავსი. ეზოშივეა ვაგონი, რომელშიც გაფორმდა ყარსის ხელშეკრულება რუსეთსა

და თურქეთს შორის... ეს მართლაც ნიშანდობლივია დღეს, როცა ომი წავაგეთ რუსეთთან, ოსეთში და მათ დაგვიბომბეს გორი, მარნეული, ზუგდიდი, სენაკი...

ყარსის ციხე ისე უაზროდაა გაშენებულ-შეკეთებული, რომ ნახვად არ დირს. ინგლისურ განმარტებაში მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ სელჩუკებმა ააგეს XII ს-ში, მონფლებმა დაანგრიეს 1383 წ. და განაახლა მუსტაფა ლალაფაშამო. არც ქართველები, არც სომხები არსად ნახსენები არაა. სომხური ეკლესია კი დგას ორ მეჩეთს შორის, ჯვარ-გუმბათოვანი მუქი ტაძარი.

წამოვედით არზრუმში და ერთი დამით სასტუმროში მოვთავსდით. ხვალ წაგალთ იმ ქალაქებში, რომლებიც ანდრია პირველწოდებულთანაა დაკავშირებული.

## 11.08.08

დღეს წამოვედით არზრუმიდან, ვეებერთელა ზეგანი, ერთყეროვანი, მაგრამ სახნავ-საძოვრებით სავსე ველები გადმოვიარეთ და ზღვისკენ მიმავალ ხეობებში დავეშვით. ულამაზესი სოფლები, მთები... ქალაქ ყარაჭისარში შესანიშნავი ციხეა კლდეზე. ბრაიერის რუკაზე აქ ბიზანტიური პუნქტია.

მერე ნეოკესარია (ნიქსარი) – ულამაზესი ძვ. ქალაქი ფერდობზე, თავისი ციხით, ეკლესიებით და ელინისტური (?) ნაშთებით. აქ წმ. ანდრია ტრაპიზონიდან მოვიდა, მერე სამოსატელთა? ქალაქში იქადაგა... ეკლესიები, აბანოები, არაბული, ბერძნული წარწერა ჯვრიან ქვაზე ეკლესიაში... ვიწრო ქუჩები, ბაზარი. (ნიკსარ).

გამოვიარეთ კომანა (გიუმანია), აღარაფერია შერჩენილი. ჩამოვედით ამასიაში. ცენტრში კლდეზე ციხეა: მშვენიერი ქალაქი... ტელევიზორში სულ „გურჯისტან“ ისმის...

## 12.08.08

დღეს დავათვალიერეთ ქალაქი. ის ორ მოზრდილ კლდოვან მთებში მომდინარე პატარა წყალზეა გაშენებული, მის ორსავე ნაპირზე. მთავარი ციხესიმაგრე მდინარის მარცხნივაა. მას თითქმის მთელი კლდის ზედაპირი უჭირავს. მისი ფერდის მომზღვდავი კედლები თითქმის მდინარემდე ჩამოდის. ფერდზეა გამოქვაბულები, სადაც დამარხული არიან მაჭადიანი სულთნები. არის ორი ტერასოვანი მიწის ნაკვეთი, რას ახარებდნენ ზედ მაშინ, ახლა უცნობია. ყველაფერი განახლებულია ახალი თლილი ქვით, რომელიც გეგმას უნდა იმეორებდეს და ძველი წყობაც ჩანს. საინტერესოა, რომ ქალაქის ორი ნაწილის დამაკავშირებელი ახალი ხიდის ბურჯები, ეყრდნობა ძველი ხიდის ოთხ, კარგად შენახულ კამარებს. სხვა ხიდის ბურჯები პირდაპირ წყალში დგას... ახალი და განსაკუთრებით ძველი სახლები გადმოკიდებული აივნებით წააგავან თბილისურს, ოდონდ უფრო დაბლები არიან, წყალთან ახლოს. მშვენიერი ქალაქია. საინტერესოა, აქაური ერთი ჯამე, გადაკეთებული ეკლესიათ.

წამოვედით სინოპში, გზად სამსუნი გამოვიარეთ. ორივე მოზრდილი ზღვისპირა ქალაქია.

**სინოპი** შესანიშნავი: მოზრდილი ნახევარკუნძული, შედარებით ვიწრო ქელით, უკავშირდება მატერიკს. აქაა სწორედ გაშენებული ძველი ციხე-ქალაქი. ახალი ქალაქი მის გარეთაა, მაგრამ მთლიანად არ მოიცავს ნახევარკუნძულს. კუნძული O-ით მოხრილია და მოხერხებულ ყურეს ქმნის. აქაა ახლა პორტიც.

## 13.08.08

დღე დავიწყეთ მუზეუმით. ქალაქის ისტორია იწყება ხალკოლითიდან (ძვ. წ. 4500 წ.), მერე ქაშქები, ხეთური წარწერები, კიმერიელები, ირანელები, ბერძნები, მითოლატები პონტოელის დედაქალაქი, რომაელები, ბიზანტიელები,

არაბები, სელჩუკები, ოსმალები... ციხე-ქალაქებს ვარაუდობენ ძვ. წ. 600 წ-დან. მუზეუმი პროვინციული ქალაქის კალობაზე კარგია. განსაკუთრებით საინტერესოა ეზოში გამოფენილი ელინისტური ქვის მასალა და მოზაიკები...

წავედით ციხე-ქალაქის გალავანში შერჩენილი ეპლუსის სანახავად. აღმოჩნდა ბიზანტიური, მოზრდილი, ერთნავიანი ბაზილიკა, შიგნიდან მოხატული. იქვე იყო ვეება სასახლე (ეპისკოპოსის?), სრულიად სხვა მასშტაბებია ეპლუსის, სასახლის ციხის...

ციხის კედლები გრანდიოზულია, მრავალგზის გადაკეთებული. კედლებში ჩაშენებულია ეკლესიების მრგვალი ქვის სვეტები, გახვრეტილი შიგ ჩასასმელი რკინის სამაგრებისათვის. არის წარწერიანი და ჯვრიანი ქვებიც, ცხადია, ეკლესიებისა.

საღამოს ნავი დავიქირავეთ და კუნძულს დავუარეთ ზღვიდან, რამდენადაც შეგვეძლო, ორ საათში. ახალი ქალაქი შენდება გორაკებზე. ძევლი ზღვიდან არ ჩანს.

ტელევიზორში (თურქულად) აჩვენებენ საქართველოს დაბომბილ ქალაქებს... გასივდა გული. ყველა ჩვენ გვერევა, ან კი როგორ შევრჩით?...

## 14.08.08

გუშინ საღამოს გათურქებულმა ქართველმა, სასტუმროს პატრონმა, მიგვიწვია. ზღვის ნაპირზე, ლამაზად მოწყობილ ბარში დაგვსხა ლუდსა და თხილზე. ქართველობის არაფერი ეტყობა, გარდა გარეგნული სილამაზისა (60 წლის იქნება) და, ალბათ მოხერხებულობისა. მშობლები არიან წამოსულებული აჭარიდან. ის აქაა დაბადებული. ცოლი და შვილი თურქები... საქართველოში თუ ჩამოვა, მხოლოდ თავისი საქმის გასაფართოვებლად... ცოლი სკულპტორი თუ მხატვარია (უგემოვნო), რომლის ქანდაკებანი – დიოგენისა, პოსეიდონისა – დგას ქალაქში, მის ეზოსა და ზღვაში. ეზოსა და სახლში აქვს მუზეუმის

ექსპონატები: განათხარი კერამიკა და ანტიკური ქვის სვეტები, სინოკური მონეტების მცირე კოლექცია. ჩანს, მოყვარულია და მუზეუმის ხელმძღვანელობა თავისი კოლექციის ნაწილს მას უთმობს მნახველთა მოსაზიდად და სასტუმროს პოპულარიზაციისათვის. მასთან ისვენებდა ტრაპიზონის უნივერსიტეტის პრორექტორი, რომლის ინგლისური არ აღემატებოდა მის ცოდნას სიძველეების შესახებ ტრაპიზონის რაიონში. დიდი სამსახური კი გაგვიწია მას-პინძელმა – მოგვიხერხა სასტუმრო სამსუნის ცენტრში. **სამსუნი** შესანიშნავი ქალაქია, მისი შენობები და რ-ნები თბილის არ ჩამოუგარდება... ქალაქი ძვ. წ. VI ს-დან, ციხე XI ს-დან ყოფილა, რომელიც ახლა აღარაა...

## 15.08.08

**მშვენიერ სამსუნის სიძველეები** სულ გადაუყდაპია, რასაც მათი გზამკვლევიც (რუსულად) მოწმობს. ერთადერთი არქეოლოგიური პარკი დარჩენილა, სადაც საბაგირო გზით ავედით. ორად-ორი ყორდანია გათხრილი, ხეთური ეპოქისა. იქიდან ქალაქი ნაკლებად ჩანს, მაინც გადავიდეთ. ყველგან კაფეები - უსასმელოდ და ხელოვნური ჩანჩქერები...

თვენახევრის მანძილზე პირველად დავისვენეთ: დღის მეორე ნახევარი ქვიშიან პლაჟზე გავატარეთ, სადაც მოელი საცურაო ტერიტორიაზე კაცს ყელამდე წვდება წყალი. ვნახეთ ქალები კაბებით და თავშალით მობანავენი. ერთი გათურქებული ჭილაძეც იყო ბიჭუნასთან ერთად, ისიც წვივებამდე შარვლით მობანავე. ქართულად გვესაუბრებოდა, ოჯახში დედ-მამაც ქართულად საუბრობენო.

საქართველოდან რუსის ჯარი არ გადის. არ შველის ბუში<sup>36</sup>, რაისი<sup>37</sup> და ეკროკავშირი. ყველას საჯაროდ აბუჩად იგდებენ. თბილიში ლტოლვილები, გორში – კაზაკები... კოდორიც დაგპარგეთ... „წყევლა ყველა მათ, ვინც მადრიბის ველურ ყაჩადებს გაუდო კარი თერგდალეულ

დარიალისა“...<sup>38</sup>, "У России две напасти – это власть тьмы и тьма власти" ...<sup>39</sup>.

გორი-თბილისის გზა გადაპეტილია, შინ მისვლა გო-დერძი-ჯავახეთი-წალკით მოგვიწევს. ვაი ჩვენს თავს...

### განმარტებები:

1. დაუდ ჰაკან ბერკი – ექსპედიციის გამყოლი, თარჯიმანი და მძღოლი.
2. ნინო და გიორგი ბაგრატიონები – არქიტექტორები, – ნინო – სახულიერო აკადემიის პედაგოგი, გიორგი – გამომცემლობა „ნეკერის” მენეჯერი.
3. ავთანდილ მიქაცაძე – ოურქეთში,ქ. ტრაბზონის გენერალური კონსული.
4. ენტონი ბრაიერი – ინგლისელი მეცნიერი, ისტორიკოსი.
5. ელდარ ბუბულაშვილი – ექსპედიციის წევრი, ისტორიკოსი, პროფესორი.
6. დავით ხოშბარია – ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი.
7. თემურ ხუციშვილი – რუკის “ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრული ძეგლების” რედაქტორი.
8. ექვთიმე თაყაიშვილი – ისტორიკოსი, ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე (საქართველოს ეკლესიამ შერაცხა წმინდანათ – ექვთიმე ლვთის კაცის სახელით);
9. დავით მუსხელიშვილი – ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.
10. თამაზ შარაშენიძე – ექსპედიციის წევრი, ალპინისტი.
11. მანანა სანაძე – ისტორიკოსი, პროფესორი.
12. ბუბა კუდავა – ისტორიკოსი, ისტ. მეცნ. ოქტორი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი.
13. ვალერი სილოგავა – ისტორიკოსი, პროფესორი.

14. ვახტანგ საღინაძე – დროებით შეცვალა ექსპედიციის თარჯიშიმანი.
15. მიხეილ ფხაჭიაშვილი – ექსპადიციის წევრი, კოორდინატორი და ტექნიკური დირექტორი.
16. ნიკო მარი – ენათმეცნიერი, ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე.
17. გიორგი ყაზბეგი – რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (1908-1918 წწ.) თავმჯდომარე.
18. ჯაბა სამუშაო – ისტორიკოსი, პროფესორი;
19. ნუგზარ ცეცხლაძე – ისტორიკოსი, ბათუმის უნივერსიტეტის დოცენტი;
20. ივანე გრემელაშვილი – არქიტექტორ-რესტავრატორი;
21. წმ. მიქაელ პარეხელი – IX ს. ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, წმ. გრიგოლ ხანძთელის მოსწავლე;
22. გიორგი კალანდია – ისტორიკოსი, ჟურნალისტი;
23. წმ. გრიგოლ ხანძთელი – VIII-IX სს. ცნობილი საეკლესიო მოღვაწე;
24. მოტი და ბეილი – ევროპული ტერმინები შუასაუკუნეების ფეოდალის (რაინდის) რეზიდენციის (ციხე-კოშკის) ადსანიშნავად: მოტი – კოშკი, ბეილი – გალავანით შემოზღუდული ეზო და სამოსახლო;
25. აკაკი შანიძე – ენათმეცნიერი, ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე;
26. სელიმ ხიმშიაშვილი – აჭარის ყოფილი ადა, შემდგომ ახალციხის ფაშა, იყო აჭარის განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, ანგიოურქული საქმიანობის გამოთავისებელი.
27. ზეინაბ მენოლი – ოურქი ქალბატონი (ქალიშვილობაში ხიმშიაშვილი), სელიმ ხიმშიაშვილის შთამომავალი.
28. დავით ასათიანი – ექსპედიციის წევრი, ოპერატორი.
29. დარეჯან ქლდიაშვილი – ისტორიკოსი, პროფესორი.

30. სიმონ ჯანაშია – ისტორიკოსი, ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე.
31. გობრონი – ყველის ციხის ციხეოვანთა მეთაური (საქართველოს ეკლესიამ შერაცხა წმინდანათ – წმ. მოწამე მიქაელ-გობრონის სახელით).
32. გრიგოლ (გრიშა) ლაზიაშვილი – საბჭოთა კავშირის პერიოდში ვალეს სასაზღვრო პუნქტის კომენდანტი.
33. ციური ლაფაჩი – საქართველოს ეროვნული მუზეუმის ახალციხის ფილიალის, ივ. ჯავახიშვილის სახ. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ადმინისტრაციული მენეჯერი.
34. გოგორიშვილები – შუა საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ციხეოვანი აზნაურები.
35. ნიკო ბერძენიშვილი – ისტორიკოსი, ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე.
36. ჯორჯ ბუში – ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი.
37. კონდოლიზა რაისი – ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი.
38. „წყევლა ყველა მათ, ვინც მაღრიბის ველურ ყაჩაღებს გაუდო კარი თერგდალეულ დარიალისა“... – ორგინალში იკთხება: „და წყევლა იმას, ვინც მაღრიბის ველურ ყაჩაღებს გაუდო კარი თერგდალეულ დარიალისა ...“ – იხ. იოსებ გრიშაშვილი, ტ. II, ლექსი “ავლაბარი”, 1922.
39. "У России две напасти – это власть тьмы и тьма власти"... – ლექსი-ექსპრონტი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე გილიაროვსკის (1853-1935), რომლითაც მან მიმართა იმპერატორ ალექსანდრე III-ის დროინდელ რუსეთს.

## დევი ბერძენიშვილი

### მიმოხილვა ანდრია მოციქულის ნაკვალევი საჭართგელოში

ანდრია პირველწოდებულის მიმოსვლა-ქადაგებათა შესახებ უძველესი გადმოცემები II საუკუნიდან ჩნდება. ამის შემდგომ, სხვადასხვა რედაქციებში ეს გადმოცემები დამატებითი ცნობებით ივსებიან, ფართოვდება მოციქულთა მოღვაწეობის გეოგრაფიუკლი არე.

ადრეულ ბერძნულ-ლათინურ ტექსტებში დაცული, უძველესი ტრადიციის მიხედვით, ანდრიასა და მის ოანაშემწე მოციქულთა მიერ ქრისტიანობაზე მოსაქცევ ქვეყნებად დასახელებულია შავი ზღვის სამხრეთი სანაპირო და სკვითები<sup>1</sup>. ანდრია პირველწოდებული ქადაგებდა “ქუეყნითი ქუეყნად, და ქალაქითი ქალაქად, და სოფლითი სოფ-

ლად”; შავი ზღვის სამხრეთიდან ჩრდილოეთში მიმავალი გზები, ბუნებრივად საქართველოზე გადიოდნენ; ამიტომაც მომდევნო რედაქციებში, ამ გზათა შემცველი მხარეები დაკონკრეტდა საქართველოს დასავლეთსა და სამხრეთში.

ზემოთქმულს ხელს უწყობდა ისიც, რომ ძველ უცხოურ წყაროებს ზოგჯერ ერევათ ერთმანეთში ქართველთა და სკვითების ტერიტორია, ან ქართველები სკვითების მეზობლად გამოჰყავთ<sup>2</sup>. შესაძლოა ამას ერთგვარად მხარს უბამდა სკვითინების ტომის მოხსენიება ქსენოფონტან, მდ. ჭოროხის დასავლეთით, რომლის სახელწოდება მეგრულ-ჭანური “შკვითით” (შვიდი) იხსნება<sup>3</sup>.

სკვითების მიყოლებით ჩნდება აბაზებია და დიდი სებასტოპოლისი, აფსართა ციხესიმაგრე, ისოს ნაგსაღგური და მდინარე ფაზისი, სადაც ცხოვრობდნენ, იბერები, სუსები, ფუსტები და ალანები. ეს ცნობები ეპიფანე კვიპრელისაგან (310-403 წ.). აუდია და გამოუყენებია “წმინდა ანდრიას ცხოვრებაში” ეპიფანე მონაზონს (+780)<sup>4</sup>. მანვე შექმნა კონცეფცია ანდრია მოციქულის სამი მოგზაურის შესახებ, რაც საფუძვლად დაედო ყველა მომდევნო გამოცემას<sup>5</sup>.

ეპიფანე მონაზონის ნაწარმოები შემდგომში გადაამუშავა ნიკიტა დავით პაფლაგონელმა (IX-X სს.), ხოლო ექვთიმე მთაწმინდელმა (XI ს.) შექმნა “მოსახსენებელი მომსვლათათვის და ქადაგებათა ყოვლად ქებულისა და დიდებულისა მოციქულისა ანდრიასი”. ეს უნდა იყოს ერთერთი ბერძნული რედაქციის ქართული თარგმანი, რომელიც როგორც ირკვევა, ექვთიმე მთაწმინდელს უთარგმნია 1011 წ.<sup>6</sup> შეიძლება ვიფიქროთ, იმავე ბერძნული ტექსტის პარალელური რუსული თარგმანია გადმოცემული უკანასკნელ მოსკოვურ გამოცემაში (А. Ю. Виноградов, 2004).

ექვთიმესეული თარგმანის მიხედვით, პირველი მოგზაურობის დროს პეტრე, ანდრია, მატათა და გაიოზ ჩადიან ანტიოქიაში; ამის შემდგომ ანდრია ”მიიწია ტრაპეზუნდად,

რომელი-იგი არს სოფელსა მეგრელთასა, სადა იგი დაყო უამი მცირედი... განვიდა მიერ და შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, ვინავცა – იგი დაყო უამი ფრიადი და მრავალნი განანათლნა სიტყვითა მოძღვრებითა მისისათა". შემდეგ პაროიის გავლით, მოციქული იერუსალიმში მისულა<sup>7</sup>.

პარალელური ბერძნული ტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ ავტორი "ლაზიკეს" "მეგრელთა სოფლად" თარგმნის, ხოლო "იბერიას" კი უწოდებს "ქუეყანასა ქართლისასა". გარდა იმისა, რომ ეს XI ს-ის განათლებული ქართველის შეხედულებას ასახავს თავის სამშობლოზე, ფაქტობრივად ასე იყო I საუკუნეში: იბერია ამ დროს შავ ზღვაზე გადიოდა<sup>8</sup>.

მეორე მოგზაურობისას ანდრია და იოვანე, მიდიან ქალაქ ევესოს; ანდრიას აქ ქვევნა იქსო ქრისტე, რომელ-მაც უბრძანა წასვლა ბითვინიაში და გუთეთის ქვეყანაში.

მიუხედავად ბერძნული ტექსტისადმი თითქმის სიტყვასიტყვით მიღევნებისა, ექვთიმე სკვითიას თარგმნის "ქუეყანად გუთეთისა"<sup>9</sup>. აქ უნდა ასახულიყო ცოდნა იმისა, რომ სკვითებს შემდგომში გუთები შეენაცვლნენ.

ნიკეის შემდგომ ანდრია მოციქულს მოუნახულებია ქალკედონი, სინოპი, სადაც მას თითო მოაჭამეს და ქალაქი ზალიქო. ამის შემდეგ ანდრია მოციქული "მიიწია ტრაპეზუნდად, ქალაქსა მას სამეგრელოსასა, მიერ წარვიდა და მივიდა ნეოკესარიას", მერე სამოსატსა და იერუსალიმს<sup>10</sup>. ამჯერადაც "ლაზიკა" თარგმნილია როგორც "სამეგრელო".

მესამე სამოციქულო მოგზაურობაში ანდრია პირველ-წოდებულს ახლდნენ სიმონ კანანელი, მატათა და თადეოზი. ამ მოგზაურობის მნიშვნელობის გამო, შეიძლება ის უფრო დაწვრილებით განვიხილოთ.

მოციქულები ჩადიან ქალაქ ედესაში, სადაც თადეოზი რჩება იქაურ მთავარ ავგაროზთან; ანდრია, სიმონ და მატათა "მოიწინეს ქუეყანად ქართლისა და ვიდრე მდინა-

რედმედ ჭოროხისა”. ბერძნულ ტექსტში გვაქვს “იბერია” და “ფაზისი”<sup>11</sup>, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ბერძნული წყაროები რიონის გარდა ფაზისს უწოდებდნენ ჭოროხსაც<sup>12</sup>.

ექვთიმესეული ოარგმანის მიხედვით, “მერმე შთავიდეს სოსანელთა სოფელსა (ასე ეწოდებოდა ქვეყანას) ხოლო დიდი ანდრია, სკიმონითურთ შევიდეს ქუეყანასა ოვეთისასა და მიიწიეს ქალაქად, რომელსა ეწოდების ფოსტაფორ”<sup>13</sup>.

ეპიფანე კონსტანტინეპოლელი მონაზვნის მონათხობი ამ აღგილას ოდნავ ვრცელია, თან არსებითი; ანდრია სიმონი და მათე ჩადიან იბერიასა და ფაზისში (აქ სახელს “მდინარე” არ ახლავს), “ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ სუსანიაში. ამ ტომის მამაკაცებს მბრძანებლობდნენ ქალუბი. ადვილად დამყოლია ქალის ბუნება და ისინიც მალე დამორჩილდნენ (მოციქულთა მოძღვრებას). მათე მოწაფე ებითურთ დარჩა იმ ქვეყნებში... ხოლო სიმონი და ანდრია წავიდნენ ალანიაში და ქალაქ ფუსტაში”<sup>14</sup>.

ამასვე იმეორებს ბერძნულ-რუსული ბოლო გამოცემა<sup>15</sup>. საბინინისეული რედაქციის მიხედვით კი, სოსანელთა მთავარი ვინმე დედაკაცია, რომელმაც ირწმუნა მოციქულთა ქადაგება. მატათა დარჩა იქ, ანდრია და სიმონი კი, ოსთა ქვეყანაში, ქალაქ ფოსტაფორს მოვიდნენ<sup>16</sup>.

სუსანია-სოსანგელთა და სუსებს სვანეთში ვარაუდობდა ს. ყაუხეჩიშვილი<sup>17</sup>. პ. ინგოროვება კი, მას სანია-სანიგების მხარედ მიიჩნევდა, ჭოროხისა და აფსარის რაიონში. მატათას ამ მხარეში დარჩენის შესახებ ზემომოტანილ ცნობებს, ავტორი ამატებდა სოფორის (IV ს.) ვერსიას: “მატათამ... იქადაგა სახარება მეორე ეთიოპიაში, სადაც არის აფსარის ციხესიმაგრე და პუსის ნავსადგური... იქვე გარდაიცვალა და დამარხულია დღემდე”<sup>18</sup>. აფსარი გონიოდაა მიჩნეული<sup>19</sup>.

ქართულ რედაქციებში ბერძნული ტექსტის აღანია და ქალაქი ფუსტა თარგმნილია ოსეთად და ქალაქ ფოსტაფორ-ად. შესაძლოა აქ ბერძნული “ფუსტან პოლინ”-ის დამახინჯებასთან გვქონდეს საქმე, რას ზოგ ქართულ რედაქციაში “ბოსფორ”-ადაც კი აისახა.

ამ პუნქტს ს. ყაუხეჩიშვილი მისიმიელთა მხარეში, თუ მის მეზობლად ვარაუდობდა<sup>20</sup>. სარწმუნო უნდა იყოს მოსაზრება დ. მუსხელიშვილისა, რომ ამტყელის ხეობაში დადასტურებული სახელი აფუსტა, ძველი ფუსტაა<sup>21</sup>.

ექვთიმესეული თარგმანის მიხედვით, ფოსტაფორიდან მოციქულები “შევიდნენ ქუეყანასა აფხაზეთისასა და სევასტიად ქალაქად მივიდეს... მუნ დაუტევა ნეტარმა ანდრია სუმონ კანანელი... და თავად ჯიქეთისა ქუეყანასა წარვიდა”. პარალელურ ბერძნულ ტექსტშია “აბასგია” და “დიდი სებასტოპოლი”<sup>22</sup>, ასევე ეს ეპიფანე კონსტანტინოპოლელთან, სადაც დამატებით ჩანს, რომ ანდრიამ დამოძღვრა “გორსინები დიდი სებასტოპოლისში”<sup>23</sup>.

ექვთიმეს ტექსტიდან ვიტყობთ, რომ ანდრია შემდგომ მისულა “ბოსფორ ქალაქად”, რომელიც ექვსინის ზღვის კიდესაა, მეოტიის ტბასთან. იქვე ყოფილა “ლუსკუმა, რომელსა-ზედა სწერია სახელი სუმონ მოშურნისათ. ხოლო სუმონ კანანელისა საფლავი არს ნიკოფეს ქალაქსა შორის აფხაზეთისა და ჯიქეთისა”<sup>24</sup>. ბერძნულ ტექსტში სიმონ კანანელის საფლავი მოხსენიებულია “ზიქების ნიკოფეს”-ში.

ასეთია “ანდრიას მიმოსვლის” ექთიმესეული თარგმანის საქართველოსთან დაკავშირებული მომენტები. ამას გარდა, არის კიდევ ერთი რედაქცია ამ ნაწარმოებისა, რომელიც მეცნიერ კაცთა კომისიას (XVIII ს.) ჩანართის სახით შეუტანია “ქართლის ცხოვრებაში”. ის უფრო ვრცელი და დეტალურია, ვიდრე ექვთიმესეული ტექსტი და საყურადღებო განსხვავებებსაც შეიცავს<sup>25</sup>.

ქართლის ცხოვრებისეული ტექსტის მიხედვით, ღმრთისმშობელმა თავის წილხვდომილ საქართველოში, ანდრია პირველწოდებული გამოაგზავნა, ღმრთისმშობლის ხელთუქმნელი ხატით. ძველი “ქართლის ცხოვრების” ტექსტი, ადერკის მეფობის ჟამს, იხსენიებს წმინდა მოციქულებს. იქ იკითხება: “მოვიდეს... ანდრია და სპმონ კანანელი აფხაზეთს და ეგრისს. და მუნ აღესრულა წმინდა სკმონ კანანელი ქალაქება ნიკოფისასა, საზღვარსა ბერძნობასა. ხოლო ანდრია მოაქცივნა მეგრელნი და წარვიდა გზასა კლარჯეთისასა”<sup>27</sup>.

ამას მოსდევს ჩანართი, საიდანაც ჩანს, რომ ანდრია მოსულა ტრაპიზონში, მეგრელთა ქალაქში, იქიდან შესულა ქართლის ქვეყანაში, “რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების”. მისი ქადაგებით ხალხი მოქცეულა ქრისტეს სარწმუნოებაზე. იქ, სადაც მან ღმრთისმშობლის ხატი დაასვენა, აღმოეცენა წყარო, რომელიც “ვიდრე დღესაცა დაუწყუედელად აღმოსდის”. აქვე მოციქულს დაუდგენია მღვდლები, აუგიათ ეკლესია ღმრთისმშობლის სახელობისა. ადგილობრივ მოსახლეობას აღარ უნდოდა მოციქულის გაშვება, მაგრამ რაკი სხვა გამოსავალი არ იყო, მისთვის უთხოვიათ ღმრთისმშობლის ხატის დატოვება. ანდრიას ამ ხატზე ფიცრის დადებით, შეუქმნია მეორე ხატი, რომელიც ეკლესიაში დაუსვენებიათ; ისიც “ვიდრე დღეს-აქამომდე ჰგიეს”.

ამ ჩანართის მიხედვით, დიდ-აჭარიდან ანდრია “წარმოემართა და გარდამოვლო მთა, რომელსა ეწოდების რკინის-ჯუარი, და ოქმულ არს, ვითარმედ ჯუარი იგი თუთ ნეტარისა ანდრიას მიერ აღმართებულ არს”. აქედან მოციქულს ჩაუვლია ოძრახის ხევი, მოსულა სამცხის საზღვრებში და შეჩერებულა სოფელ ზადენ-გორასთან. აქ მას უნახავს, თუ როგორ სწირავდნენ მსხვერპლს იქაურები ყრუ კერპებს. ღმრთისმშობლის ხატთან ლოცვის მეშვეობით, ეს კერპები დაქმხვნენ და შეიმუსრნენ.

ამის შემდგომ ანდრია “წარმოემართა და მოიწია აწყვერს, რომელსაც პირველად ეწოდებოდა სოსანგეთი, და პირისპირ საქრისი”. აქ იგი გაჩერებულა საკერპო ტაძრის სიახლოვეს, “რომელსაც აწ ძველეკლესია ეწოდების”. მაშინ თურმე იქ კერპებს ემსახურებოდნენ.

ჩანართის ტექსტის მიხედვით, იმ აღგილებში მაშინ მთავრობდა ქვირივი ქალი, ვინმე სამძივარი, რომელსაც ერთადერთი ძე მოჰკვდომოდა. დამე აღგილობრივ მოსახლეებს დაუნახავთ დიდი ნათელი, ციხეში დასვენებული ღმრთისმშობლის ხატიდან რომ აშუქებდა. გაკვირვებულებს მოუკითხავთ იქ მყოფთა ვინაობა და ქვრივი მთავრისათვის მოუხვენებიათ: უცნობი არიან, უცხო ღმერთს ქადაგებენ სიცოცხლის მომნიჭებლად, მკვდართა აღმდგენელად და პატივს სცემენ მშვენიერ ხატესო.

ქვრივი ქალის თხოვნით ანდრია მოციქულმა მისი ძე ქავდრეთით აღადგინა, რის შემდეგაც დედა-შვილმა, მათი სახლეულით ნათელიდეს. ქვრივმა დედაკაცმა იხმო სამცხის მთავრები და საქრისის ველი გაივსო ხალხით.

ქალაქის საკერპო ბომოზში, არტემისა და აპოლონის კერპებს ეთაყვანებოდნენ. ყოვლადწმინდის ხატის მეშვეობით მოციქულმა ეს კერპები შემუსრა და მთელმა იქაურმა მოსახლეობამ ირწმუნა ქრისტე ღმერთი.

ამის შემდგომ ანდრიამ დაუდგინა მათ ეპიკოპოსი, მღვდლები, დიაკონნი, ხოლო ხალხის თხოვნაზე დაეტოვებინა მათთვის ხატი მან უპასუხა: “ვითარ-იგი ყოვლად წმინდასა და მოციქულსა წილ-ხუდა ქვეყნა ესე სამცხისა, და მის მიერ წარმოგზავნილ არს აქა ხატი იგი სასოდ და მცველად წილხვდომილთავის და ჯერეთცა ეგრედ არს, რათა დაესვენოს აქა მკუდრად უპუნისამდე ჟამთა”. ასე მიუღიათ ეს ხატი აწყვერლებს “და დაასვენეს ყოვლად დიდებული ხატი ყოვლად წმიდისა აწყვერის და მოციქულისა, მცირესა მას ეკუდერსა, რომელსაც აწ

ქველ-ეკოებიად სახელ-სდებენ”. აწყვერიდან ანდრია მოცი-  
ქული სხვა ადგილებში წასულა საქადაგებლად.

აქ თავდება ძირითადი ჩანართი, რის შემდეგაც ქველი  
“ქართლის ცხოვრება” აგრძელებს ჩანართის წინ დაწყებ-  
ულ ამბავს ანდრიას მიერ მეგრელთა მოქცევასა და კლარ-  
ჯეთს წასვლაზე. მეფე ადერკის მეგრელები უკანვე მო-  
უქცევია, ხოლო კლარჯეთის ერისთავს – გასწყორმია მო-  
ციქულის მშვიდობით გაშვებისათვის.

შემდეგ “ქართლის ცხოვრების” ტექსტში მეორე ჩა-  
ნართია, საიდანაც ჩანს, რომ იერუსალიმში მარტილის  
დღესასწაულის აღსრულების მერე, ანდრია და სხვა მოცი-  
ქულები მოსულან “ქუეყანასა ქართლისასა”. შემდეგ გაუვ-  
ლიათ “ტაოს კერძი ქუეყანა, ვიდრე მდინარედ ჭოროხამ-  
დე”. ასე ქადაგებით მოსულან “სვანეთისა ქვეყანასა”. მა-  
შინ იქაც ვინმე დედაკაცი მთავრობდა, რომელსაც შეუს-  
მენია მოციქულთა ქადაგება. მატათა იქ დარჩენილა, ხო-  
ლო ანდრია და სიმონი შევიდნენ “ქუეყანასა ოვსეთისასა”,  
მივიდნენ ქალაქ ფოსტაფორში.

მათი მოქცევის შემდგომ, მოციქულები წასულან “ქუ-  
ეყანასა აფხაზეთისასა და სევასტი ქალაქად მივიდეს, რო-  
მელსა ეწოდება ცხუმი”. აქ ანდრიას დაუტოვებია სიმონ  
კანანელი, თავად კი ჯიქეთის ქვეყანაში წასულა... “ხოლ  
სიმონ კანანელისა საფლავი არს ნიკოფს ქალაქსა, შორის  
აფხაზეთისა და ჯიქეთისა, რამეთუ მუნ აღესრულა წმინდა  
სკმონ კანანელი.

ხოლო კუალად განამტკიცნა წმინდამან ანდრია მეგ-  
რელი და აფხაზნი და წარვიდა სკუთედ”<sup>28</sup>. ესაა “ანდრიას  
მიმოსვლის” ვრცელი მოთხრობა დაცული “ქართლის  
ცხოვრებაში”, მაგრამ ესეც უნდა ითქვას: ანდრიას მი-  
მოსვლის ტექსტები, სხვადასხვა ნუსხებში, ხშირად გან-  
სხვავდებიან ექვთიმესეული თარგმანისაგან.

“ქართლის ცხოვრების” ვრცელ ჩანართში, ყველაზე  
მეტად, კონკრეტული პუნქტებია თავჩენილი. აქ პირველა-

დაა დასახელებული დიდ-აჭარა, რკინის ჯვარი, ოძრახის ხევი, ზაღენ-გორა, აწყვერი, საქრისი და, რაც მთავარია, აწყვერის ძველი სახელი სოსანგეთი. ბერძნული ტექსტების სუსები და სუსანია სოსანგეთის ფორმით პირველად ექვთიმესეულ ქართულ თარგმანში ჩნდება, მაგრამ ის აწყვერთან არაა კავშირში.

სუსანიაში ქალების მბრძანებლობა მამაკაცებზე პირველად ეპიფანე მონაზვნის ტექსტში ჩანს, რაც სახეს იცვლის საბინინისეულ რედაქციაში: იქ სოსანგელების მთავარი ვინძე დედაკაცია; “ქართლის ცხოვრების” ჩანართში ეს მთავარი ქვრივი ქალია გვარად სამმივარი. რედაქციების უმრავლესობის მიხედვით, მატათა სუსანიაში რჩება როდესაც სუსანია სვანეთად გაიაზრეს, ქალი ამ ხალხის მთავარი და მატათაც სვანეთში აღმოჩნდნენ. მაგრამ მესამე და უძველესი ცნობა მატათას ქადაგებასა და დაკრძალვას აფსარ-გონიოში ვარაუდობს.

საინტერესოა, რომ სამცხის ძველსა და დიდ სოფელ უდეში ერთი ძველი ეკლესის ნანგრევს და უბანს “შუშანქალას” უწოდებენ. შესაძლოა ეს ფაქტი კავშირში იყოს სუსანია-სოსანგეთთან და მხარს უჭერდეს აწყვერის ძველ სახელწოდებას.

“ქართლის ცხოვრების” ვრცელი ჩანართის მიხედვით, ტრაპიზონიდან ანდრია “შევიდა ქუჯუანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების და იწყო ქადაგება სახარებისა”<sup>29</sup>. მართლაც ლეონტი მროველის ცნობით ჯერ კიდევ ფარნავაზმა (ძვ. წ. III ს.) აჭარა და სამცხე ოძრხის საერისთავოდ ჩამოაყალიბა<sup>30</sup>.

სოფ. დიდაჭარა ჭოროხის მარჯვენა შენაკადის – აჭარისწყლის ზემო წელზე მდებარეობს. ეს მოზრდილი სოფელი, ჩანს, ძველთაგანვე მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა; მის სახელწოდებაში ასახულა მთელი კუთხის სახელი. საინტერესოა, რომ იქაურები ზოგჯერ ცდილობენ

სოფლის სახელწოდება “დედ(ა)აჭარა”-დ გაიაზრონ. ამავე პუნქტთანაა კავშირში ჰიდრონიმი აჭარისწყალი.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, გასაგები უნდა იყოს ანდრია მოციქულის არჩევანი. დიდაჭარის დღევანდვლი მოსახლეობა გადმოცემით იმეორებს საყურადღებო ფაქტებს: ნაკაფისერზე მიუთითებენ ეკლესიის ნაშთებს (გათლილი ქვები იყო), რომელსაც მთავარანგელო(ზი) ერქვაო. სოფლის დას-ით მყოფ ამ მაღალ ბორცვზე ახლა წმ. ანდრიას ნიშია; გადმოცემით ძველათვე იქ ქალები ადიოდნენ, სანთლებს ანთებდნენ და ლოცულობდნენ. ნიშის მახლობელ ფერდზე, გადმოცემით ყოფილა წყარო, ახლა დამშრალი. მოსახლეობა სხვაგანაც მიუთითებს წმინდა წყაროზე, რომლის მიკარება არ შეიძლება<sup>31</sup>.

სოფელში სხვაგანაც ყოფილა ეკლესია. ადგილ “ხუცურში”, გზის პირას ახსოვთ ნაეკლესიარის ქვითკირის ნაშთი. აქვეა ძველი ქრისტიანული საფლავები. მახლობლადვე უპოვიათ ქვა ჯვრის გამოსახულებით. ნიშანდობლივია მათი ერთად არსებობის ფაქტი “ხუცურში”, რაც, ნათელია, ხუცესს უკავშირდება. ასახელებენ “ეკლიფანასაც” და თვლიან, რომ ეს იყო ეკლესიის ყანა.

სოფლის შემოგარენის ტოპონიმიაში საინტერესოა: საციხეური (ციხის ნაშთიაო), ქვაბისჯვარი (საციხეურის მთაში), ელიაწმინდა, ნამონასტრევი (ნასოფლარი საციხეურის თავზე), ჯვართნისა.

სოფლიდან კარგად ჩანს გოდერმის უღელტესილით სამცხეს მიმავალი გზა. ყოვილა შეორე გზაც, რომელიც რკინისჯვრის მთაზე ადის, იქიდან კი სამცხისა და იმერეთისაკენ დაეშვება. ჩანართის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დიდ-აჭარიდან წამოსულ ანდრიას უნდა გაევლო ირემაძეები. საციხეური, აგარა, ლორჯომი, ცივწყაროს მთა, ქვაბისჯვარი, მამლის მთა. ამ გზაზე ეკლესიათა ნანგრევებია ძველ რუკებზე აღნიშნული.

რკინისჯვრის აღმართვას ზეპარის უდელტეხილზე გადმოცემა ანდრია მოციქულს მიაწერს. მართლაც ანდრიას სასწაულებში ხშირად ჩანს რკინის კვერთხი, თავზე ჯვარგამოსახული. მოციქული მას არამარტო საყრდენად, არამედ უწმინდურთა გასანადგურებლადაც ხმარობდა. საქართველოში უდელტეხილებზე ქვაჯვართა დაღგმა გაფრცელებული მოვლენა იყო, რას ასახული ტოპონიმიაშიც (ჯვრის უდელტეხილი – ჯვართაყელი, ჯვარიანტონი იალნოს ქედზე, ჯვარილდი სვანეთში, ქვაჯვარას მთა და უდელტეხილი გუჯარეთში), მაგრამ რკინის ჯვრები ანდრია მოციქულზე არსებული გადმოცემებიდან შეიძლება მოდიოდეს. რკინის პალოს მთას ჭანეთისა და ტრაპიზონის საზღვრად ასახელებს ვახუშტი ბატონიშვილი<sup>32</sup>; თურქებზე გამარჯვების ნიშნად, რკინის ჯვარი დაუდგამს პასკევიჩსაც იმერეთ-სამცხის ქედზე, ალბათ ზეპარის რკინისჯვრის მიბაძვით; ტრადიციის მიხედვით, ანდრია მოციქულს ჯვარი აღუმართავს იქ, სადაც ახლა გერგეტის სამების ტაძარი დგას<sup>33</sup>. შესაძლოა ამის საფუძველი იყოს გადმოცემა ანდრიას გადასვლის შესახებ საქართველოდან ალანია-ოსეთში (დარიალან-ოსთა კარი).

“გზა რკინის-ჯუარისა” ძვენთაგანვე იყო ცნობილი და ქართულ წყაროებშიაც იხსენიება. XI ს-ში, მესხი აზნაურების მოწვევით ბაგრატ IV “წარმოემართა ლაშქრითა, გარდამოვლო გზა რკინის-ჯუარისა და შეგრძეს არყის ციხეს”<sup>34</sup>; თამარ მეფის წინააღმდეგ აჯანყებულ გიორგი რუსს მიმხრობილმა დადიანმა და მისმა ლაშქარმა “გარდამოიარეს რკინის-ჯუარი და ჩავიდეს ციხის-ჯუარს და დაწუეს ქალაქი ოძრჯე”<sup>35</sup>; ეს ციხისჯვარი რკინისჯვრის მახლობლად მყოფი ციხეა. აქაც უდელტეხილზე გამავალ გზასთან, ჩანს, ჯვარი მდგარა; XIII ს-ში, მონგოლთა წინააღმდეგ აჯანყების დროს, ცოტნე დადიანი თავისი ლაშქრით მოსულა “ადგილსა, რომელ არს რკინის-ჯუარი”<sup>36</sup>.

“ქართლის ცხოვრების” ვრცელი ჩანართის მიხედვით, რეკინისჯვრიდან ანდრია მოციქულს ოძრახის ხევი ჩაუგლია და სოფ. ზადენ-გორასთან მისულა. აქ მას კერპები დაუმხია. სოფლის სახელიდანაც ნათლად ჩანს, რომ ეს ადგილი წარმართული დგომების თაყვანისცემის პუნქტია. ზადენის კერპი ხომ მცხეთაშიც იდგა (ზედაზენი-ზედა ზადენი). მნიშვნელოვანი ისაა, რომ ტრადიცია აქ მატერიალურ დადასტურებას პოულობს: არქეოლოგიური ძიებით აღმოჩენილია საკულტო დანიშნულების, ბრინჯაოსნილბიანი ხარის პატარა ქანდაკება. ის ანტიკური ხანის ქართულ, წარმართულ სარიტუალო ცერემონიაში იხმარებოდა<sup>37</sup>.

ეს პუნქტი მნიშვნელოვანი დარჩენილა შემდგომ ხანებშიაც – ჩანს, ნასოფლარი და სამარხები, გვირაბი, დარანი, წყარო. აქ იდგა ქვაჯვარიც, რომელიც ახლა აღარ ჩანს. შეა საუკუნეებში სოფელი გაზრდილა და XVI ს-ის ბოლოს ზადენ და გორა სოფლებად გაყოფილა<sup>38</sup>.

ზადენ-გორიდან ანდრია აწყვერს მოსულა, სადაც სამცხის ერი ქრისტიანობაზე მოუქცევია (იხ. ზევით). აწყვერი-სამცხის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები აღმინისტრაციული და რელიგიური ცენტრი, შემდგომაც ხშირად ჩანს ქართულ წყაროებში, როგორც აწყვერის ღმრთისმშობლის ხატის სამყოფელი.

საქართველოში ერაკლე კეისრის (VII ს.) შემოსვლასთან დაკავშირებით, ჯუანშერის ტექსტის 4 ნუსხაში (Bbkr) გვხვდება ჩანართი: “მოვიდა პირველად ქართლს, სამცხეს, და ესმა სასწაულმოქმედება ხატისა მის, რომელი წმიდასა ღმრთისმშობელსა გამოესახა და მიეცა პირველწოდებულისა ანდრიასათგს, და მას მოესვენა და დაესვენებინა მცირესა ეპუდერსა შინა აწყუერს. მოვიდა კეისარი ერაკლე ხილვად და თაყვანისცემად ხატისა მის. მაშინ იწყო ერაკლე აწყუერს დიდისა საყდრისა საძირკუელისა ჩაგდებად

და შენებად, ვიდრემდის მიერთოგან განსრულდა მორწმუნეთა კაცთა მიერ, და მიერ შექმნეს საეპისკოპოსოდ”<sup>39</sup>.

“ქართლის ცხოვრების” ჩანართები, დაკავშირებული ანდრია პირველწოდებულის სამცხესა და აწყვერში მოღვაწეობასთან, ასევე ზემოსხენებული ჩანართი, გვაფიქრებინებს – შესაძლოა მათ ერთი ავტორი პყავდეთ. ესაა სამცხე-აჭარის ისტორიული გეოგრაფიის დეტალებში კარგად გარკვეული პიროვნება, ეგების მაწყვერელი ეპისკოპოსიც კი (ანდრია “წარმოემართა”, “მოიწია აწყვერს”).

წერილობით ტრადიციას ერთგვარად გაუმყარა საფუძველი აწყვერის არქეოლოგიურმა კვლევამ. დადასტურდა ძველი ქალაქური დასახლება მის ტერიტორიაზე. ძველი წელთაღრიცხვის VI-V საუკუნეთა განათხარ მასალაში, საყურადღებო ბერძნული მხატვრული კერამიკის ნიმუშები, III ს-ის სამარხში აღმოჩენილი საბეჭდავი ბეჭდები, მითრასა და ანაპიტის კულტების სიმბოლოებით. ესენი მიჩნეულია მაღალი წრის წარმომავლენებით ინსიგნიებად. ეს მასალა აშკარად მეტყველებს უცხო ქვეყნებთან დამაკავშირებელ გზებზე და ეგების აწყვერის ძველ ხელისუფალზედაც.

აწყვერში აღმოჩენილი ბერძნული მხატვრული კერამიკა, მხარს უბამს ჩანართში ნახსენებ აპოლონისა და არტემიდეს კერაების არსებობას ძველ აწყვერში. ასევე მნიშვნელოვანია იქაურ ციხეში ძველი ფენების დადასტურებაც, რაც ეხმიანება ჩანართში ხატის პირველად იქ დასვენებას<sup>40</sup>.

წმიდა მოციქულის სამცხეში მოღვაწეობის კიდევ ერთი ანარეკლია სოფელი ანდრიაწმინდა და მისი ეკლესია მდ. ურავლისწყლის მარცხენა სანაპიროზე. ეს ეკლესია X ს-ის დარბაზული შენობაა და წმიდა ანდრიას სახელს ატარებს. აქ დღეობას იხდიან დიდი მარხვის მეხუთე ხუთშაბათს (თებერვალი-მარტი-აპრილი), მისი შემოსვლის დღეს.

სოფელში გადმოცემაა, რომლის მიხედვითაც ზადენ-გორადან ანდრიამ ფოცხოვი გამოტოპა და ამ სოფელში მოვიდა. აქ სასწაულები მოახდინა: დაბადებით უსინათლო ქალს თვალი აუხილა; პიტალო კლდეს კვერთხი დაჰკრა და წყარო გამოედინა, რომელსაც დღესაც ანდრიას წყაროს უწოდებენ. აქედან ანდრია კვალთახევისა და ორფოლას გავლით, აწყვერს მოსულა. ანდრიაში მეორე ეკლესია წმ. გიორგის სახელობისაა; მახლობლადაა თევ-დორეს ეკლესიაც.

XVI ს-ში თურქების ბატონობის დროს, სოფ. ანდრიაში 40-კომლიანი დასახლება იყო, ქართული მოსახლეობით, რომელთა შორის ორი მღვდელი ჩანს<sup>41</sup>.

ეს სოფელი 1705-6 წლებში ვინძე ჰასან აბუბექრის ძეს ეკუთვნოდა და მისი გამოსაღები 31000 ახჩას შეადგენდა<sup>42</sup>.

სამცხიდან ანდრია მოციქული დას. საქართველოს მთიანეთში ისევ ზეპარის გზით უნდა წასულიყო. I საუკუნის რომაელი გეოგრაფოსის – კასტორიუსის რუპაზე აღნიშნული არტაშატ-სებასტოპოლისის გზა სწორედ ასე მიემართებოდა ვარდციხის გავლით<sup>43</sup>.

ამ გზის I საუკუნეში არსებობის დამადასტურებელი ფაქტია არქეოლოგიური თხრით აღმოჩენილი პოლემონ II (პონტოსა და კილიკიის მეფე 38-64 წწ.) მონეტა<sup>44</sup>. ამავე გზის მეორე ტოტზე არსებული ხანი ასევე საგზაო პუნქტი უნდა ყოფილიყო, რადგან ხანი, ხანაგა სპარსულიდაა შემოსული და გზაზე მოსასვენებ სახლს აღნიშნავს<sup>45</sup>.

შეა საუკუნეებშიაც მოქმედ ამ გზას წყაროებში ხშირად კხვდებით (იხ. წინ). ვახუშტი ბატონიშვილი კი წერს: “გარდავალს აქედამ გზა კაკას ჭიდზედ ბადდადს. ამ გზას, ეწოდებოდა მთით რკინის-ჯუარი”<sup>46</sup>. ამავე გზასთანაა დაკავშირებული მთა სახელწოდებით ფუნდუკი, სალაშქრო ხევი, კაკასხიდი – ძველი ქვის ხიდის ნაშთით.

ზემოთ განხილული ჩანართების გარდა, განსხვავებები მოიპოვება “ქართლის ცხოვრების” სხვადასხვა რედაქტიებში. “ქართლის ქვეყანაში” დასახელებულია ნიგალი, კლარჯეთი, არტაჟან-კოლა<sup>47</sup>. ურბნული რედაქცია კი გვაუწყებს, რომ ანდრიამ და სიმონ კანანელმა პირველად განანათლეს ქართლი. “მერმე უკუნ იქცეს და განვლეს ჭორები და შევიდა სვანეთს... გარდავლო მთა და შთავიდა ოქსეთად ქალაქსა მას ოვსეთისასა ბოსფორას”<sup>48</sup>.

ზემოთხსენებული განსხვავებები, ცხადია მოითხოვს სელნაწერთა ამ აღგილების კრიტიკულ სესწავლას. მანამდე კი ცხადია, რომ ანდრია მოციქულის შესახებ გადმოცემები საქართველოს ბევრ მხარეშია გავრცელებული. სოფ. ანდრიაშვილი არის იმერებეგშიც, ართვინის ვილაიეთში. სოფლის სახელი იქაც ანდრიას სახელობის ეკლესიიდან უნდა მოდიოდეს<sup>49</sup>.

ანდრიას შესახებ გადმოცემები შემორჩენილია სამეგრელოშიც, რომლის მიხედვით, წმ. ანდრიამ გაანადგურა მუხასთან მდგომი კერაი კაპუნია და მის ნაცვლად ჯვარი აღმართა. მუხის ფიცრებისაგან კი მან ხალხს ეკლესია ააგებინა<sup>50</sup>. წმიდა მოციქულის შესახებ არსებული წერილობითი ბერძნული ტექსტებიდან ჩანს, რომ ანდრია დაქცევული კერპებისა, თუ სინაგოგების აღგილას ეკლესიებს აშენებდა სხვაგანაც.

ქ. შარდენისა და კრ. კასტელის მიხედვით, წმიდა ანდრია მოციქულის სახელობის ძველი ეკლესია ყოფილა ბიჭვინთაშიც. იქ ყოფილა ჯვრიანი სვეტი, რომლის წინაშეც ხალხი მუხლმოდრეკილი ლოცულობდა<sup>51</sup>.

ხალხში შემორჩენილია რწმენა, რომ ძველ ანაკოფიაში ყოფილა ეკლესიის ნაგრევი წმიდა სიმონ კანანელის სახელობისა. 1840 წ. მას გუმბათი ჩაქცეული პქონია, მაგრამ შემორჩენილი ყოფილა ფრესკული მხატვრობის ნაშთი. ა. ნ. მურავიოვის აზრით, ეს უნდა ყოფილიყო ნიკოფსია<sup>52</sup>.

ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობას საქართველოში ხაზგასმით აღნიშნავენ გიორგი მთაწმინდელი, გიორგი მცირე, ეფრემ მცირე. გადმოცემამ კანონიზაცია მიიღო რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე და აღბეჭდილია ამ კრების ძეგლისწერაში: “...პირველწოდებული ანდრია, ძმავ თავისა მოციქულთავასა პეტრესი, ვიდრე ჩუენადმდეცა მოიწია და ქადაგა საცხოვრებელი ქადაგებავ სახარებისავ ყოველსა ქუეყანასა საქართველოსასა”<sup>53</sup>.

### ლიტერატურა:

1. А. Ю. Виноградов. Деяния опостола Андрея, изд. “Индрик”, Москва, 2004, 55, 179.
2. მიხ. თამარაშვილი. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გამომც. კანდელი, თბ., 1995, 166.
3. თ. მიქელაძე. ქსენოფონტის ანაბაზისი, “მეცნიერება”, თბ., 1967, 131.
4. მიხ. თამარაშვილი... 167.
5. А. Ю. Виноградов... 238.
6. გ. კობიაშვილი. ანდრია პირველწოდებულის “მიმოსვლათა” ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი. “ლიტერატურული ძიებანი” XIX, თბ., 1998, 112.
7. გ. კობიაშვილი... “ლიტერატურული ძიებანი” XXI, თბ., 2000, 111-115.
8. საქართველოს ისტორიის ატლასი, თბ., 2003, 73.
9. გ. კობიაშვილი, იქვე, 116.
10. გ. კობიაშვილი... “ლიტერატურული ძიებანი” XXII, თბ., 2001, 47.
11. გ. კობიაშვილი, იქვე, 48.
12. ს. ჯანაშია, შავიზდვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია, შრომები VI, თბ., 1988, 263.
13. გ. კობიაშვილი, იქვე, 48.

14. ს. ყაუხეჩიშვილი. გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. 1, ობ., 1941, 58.
15. A. Ю. Виноградов, იქვე, 195.
16. “მიმოსვლა და ქადაგება... მოციქულისა ანდრიასი”, მიხ. საბინინი. “საქართველოს სამოთხე”. 1882.
17. ს. ყაუხეჩიშვილი. გეორგიკა ტ. IV, ნაკვ. 2, ობ., 1952, 393.
18. პ. ინგოროვა. გიორგი მერჩულეგ. “საბჭოთა მწერალი”, ობ., 1954, 224-226.
19. ს. ჯანაშია. იქვე, 260.
20. ს. ყაუხეჩიშვილი. გეორგიკა IV, ნაკვ. I, ობ., 1941, 54, ჟენ. 4.
21. დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეო-გრაფიის ძირითადი საკითხები, I, “მეცნიერება”, ობ., 1977, 118.
22. გ. კობიაშვილი, იქვე, 48.
23. ს. ყაუხეჩიშვილი, იქვე, 57-59.
24. გ. კობიაშვილი, იქვე, 51.
25. ქართლის ცხოვრება I, ყაუხეჩიშვილის გამოც. სახელგა-მი, ობ., 1955, 39-43.
27. იქვე, 38.
28. ქართლის ცხოვრება, I, 48-43.
29. ქართლის ცხოვრება I, 39.
30. იქვე, 24.
31. შესაძლოა ანდრია მოციქულზე გადმოცემასთან იყოს კავშირში სოფელში გავრცელებული თქმულება, რომ გელაურში კაციჭამიები იყვნენ. ქართ. ვარიანტში: “კა-ცის მჭამელად წოდებულთა ქუეყანა”.
32. “ქართლის ცხოვრება”, IV, “საბჭ. საქართველო”, ობ., 1973, 639.
33. თ. სანიკიძე. გერგეტის სამების ანსამბლი, “მეცნიერე-ბა”, ობ., 1975.
34. “ქართლის ცხოვრება”, I, 301.
35. “ქართლის ცხოვრება”, II, “საბჭ. საქართველო”, ობ., 1979, 51.

36. იქვე, 216.
37. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, “საბჭოთა საქართველო”, თბ., 1970, 373.
38. ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი III, თბ., 1958, 173.
39. “ქართლის ცხოვრება”, I, 224.
40. ვ. ლიჩელი. ანდრია მოციქული სამცხეში-არქეოლოგიური რეალობა მესხეთი. ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე, 2000, 108-109. ანდრიას “ცხოვრების” ბერძნული ტექსტების მიხედვით, მოციქული ნიკეაშიც ამხობს აპოლონია და არტემიდეს კერპებს, მათ ადგილზე კი ჯვრებს აღმართავს.
41. ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი III, თბ., 1958, 221.
42. ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, “მეცნიერება”, თბ., 1979, 121.
43. 6. ლომოური. ძველი საქართველოს საგჭრო გზების საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის “შრომები”, IV, ნაკვ. I, თბ., 1958, 108.
44. ვ. ჯაფარიძე. ვარდციხის ნაქალაქარი, “მეცნიერება”, თბ., 1989, 141.
45. მზ. ანდრონიკაშვილი. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966, 410.
46. “ქართლის ცხოვრება”, IV, “საბჭ. საქართველო”, თბ., 1973, 664.
47. “ქართლის ცხოვრება” I, 38.
48. კ. გრიგოლია. ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, 122-123.
49. ი. სიხარულიძე. შავშეთ-იმერხევი, “საბჭ. აჭარა”, ბათ. 1988, 56.
50. 6. ლამბაშიძე, წმიდა ანდრია პირველწოდებულის “ეთნოგრაფიული გზების” კვალდაკვალ. საქართველოს საპატიოარქო.

51. შარდენის მოგზაურობა. მზ. მგალობლიშვილის გამოც. „შეცნიერება”, თბ., 1975, 132-3.
52. “მწევემსი”, 1893, №10. წმ. მოციქულის სიმონ კანანელის ტაძარი აფხაზეთში. 1876 წ. ანაკოფიის ნანგრევებზე დაფუძნდა ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტერი. 1882 წ. განაახლეს სიმონ კანანელის ძველი ტაძარი.
53. დიდი სჯულის კანონი. გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, გ. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, „შეცნიერება”, თბ., 1975, 545.

*კრებული: “ქრისტიანობის 20 საუკუნეებისა და ქართველობის 2004 გვ. 73-85.”*

### დევი ბერძენიშვილი

### შართული ტრადიცია ჭ. ანდრია პირველწოდებულის შესახებ

საქართველოს უახლოეს ტერიტორიებზე მოციქულთა ქადაგების ამსახველი პირველი ცნობას ორიგენეს (185-254 წწ.) ეკუთვნის, სადაც სკვითების მოქცევაზეა საუბარი. იმავე ცნობაში პეტრე მოციქულის წილხვდომილ ქვეყნებში დასახელებულია პონტო და კაპადოკია. მომდევნო ხანების, IV-X სს. ბერძენულ-ლათინურ წყაროებში აღნიშნულ მხარეებს თანდათან ემატება აფხაროსი და მდ. ფაზისი, სებასტოპოლისი, ჰისოს ნავსაღგური და აბაზგია. ამ აღგილებში ცხოვრობდნენ იბერები, სუსები, ფუსტები, ალანები:

ბართლომე მოციქულის სამოღვაწეო ადგილი კი ყოფილა “ჩრდილოეთი”.

ანდრია პირველწოდებული ქადაგებდა “ქუეყნითი ქუეყნად, და ქალაქითი ქალაქად, და სოფლითი სოფლად”. შავი ზღვის სამხრეთიდან ჩრდილოეთში მიმავალი გზები ბუნებრივად საქართველოზე გადიოდა, ამიტომ შემდგომი ხანის რედაქციებში ამ გზათა მიმდებარე მხარეები დაკონკრეტდა საქართველოს დასავლეთსა და სამხრეთში. ზემოთქმულს ხელს უწყობდა ისიც, რომ ძველ უცხოურ წყაროებს ზოგჯერ ერთმანეთში ერეოდათ ქართველთა და სკვითების ტერიტორია, ან ქართველები სკვითების მეზობლად გამოჰყავდათ<sup>1</sup>.

უცხოენოვან ამ წყაროებს ქართველები ადრიდანვე გასცნობიან, რაც ბუნებრივია, აირეალი კიდეც ძველ ქართულ მწერლობაში. VIII ს-ში მისი კვალი შენიშნულია იოანე საბანის ძის ოხზულებაში “მარტვილობად ჰაბო ტფილელისაც”. იქ ნათქვამია აბოზე, რომ დასავლეთ საქართველოში (“აფხაზეთი”) “იხილა მან ქუეყანავ იგი სავსხ ქრისტის სარწმუნოებითა... ტრაპეზუნტია მუნ არს, საყოფელი იგი აფხაზეასავ და ნაფხას ნავთსადგური”<sup>2</sup>. სამივე აქ დასახელებული პუნქტი მჭიდროდ უკავშირდება მოციქულთა მოღვაწეობას: ტრაპიზონში იქადაგა ანდრია პირველწოდებულმა და აქედან შემოვიდა საქართველოში; აფხაზში (გონიო), გადმოცემით, დაკრძალულია ანდრიას თანამოღვაწე მოციქული მატათა; ნაფხას ნავსადგური ნიკოფიია, სადაც, ასევე გადმოცემით, დაუსაფლავებიათ ანდრიას თანამოღვაწე, მოციქული სიმონ კანანელი. გონიოს ციხის ადსანიშნავად ნახმარია სპეციფიკური გამოქმა, რომელიც იოანე საბანის ძეს მოციქულთა მიმოსვლის მოსახსენებლებიდან გადმოაქვს: ესაა “საყოფელი იგი აფხაზეასავ”, ე. ი. ჯარის ადგილსამყოფელი ბანაკი (“პარემბოლე აფხაროს”)<sup>3</sup>.

ნიკიტა პაფლაგონიელის (+890) თხზულების ქართულ თარგმანში რომელიც პეტრე მაიუმელი ეპისკოპოსის ცხოვრებაშია შემონახული, ნათქვამია: “იქადაგა ქადაგება იგი წმიდისა სახარებისა დიდებულისა ქრისტეს მოციქულისა ანდრეას მიერ ქუმანასა მას ქართლისასა, ვითარცა დასწერს ნიკიტა საღუთო და ფილოსოფოსი მიმოსვლათა შინა და ქადაგებათა წმიდისა მის მოციქულისათა”<sup>4</sup>.

იმავე ნიკიტას ეკუთვნის წმ. ანდრიას ქება, სადაც იკითხება: “შენ კი წმინდაო ანდრია... ჩრდილოეთი გხვდება წილად, იბერები და სავრომატები და სკვითები და ყოველი სოფელი და ქალაქი, რომელი ევქსინის პონტოს ჩრდილოეთით იმყოფებიან და სამხრეთითაც არიან განლაგებულნი”<sup>5</sup>.

IX-X საუკუნეების მიჯნაზე უნდა იყოს თარგმნილი “მიქელ საბაწმიდელის წამება”, სადაც მოციქულთა წილხვდომილ ქვეყანათა შორის აფხაზეთია დასახელებული: “ათორმეტნი ნაწილნი ათორმეტთა მოციქულთანი, რომელ არიან ესენი: სინდეთი და ჰინდოეთი, გუთეთი და საბერძნეთი... ხერსონეთი, აფხაზეთი, ხაზარეთი”<sup>6</sup> და სხვ.

X ს-ის ქართულ ხელნაწერებში არის დოსითეოს ტვირელის (IV ს.) თხზულების ქართული თარგმანი 12 მოციქულთა და 70 მოწაფეთა შესახებ (-95, -144); იქ ნათქვამია, რომ “ანდრია... წარვიდა სებასტიელთა ქალაქსა მას დიდსა, სადა ბანაკი იგი იყო აფხარელთად და ფასისი მდინარეს”<sup>7</sup>.

XI ს-ში ექვთიმე მთაწმინდელმა ერთ-ერთი ბერძნული ხელნაწერის საფუძველზე შექმნა “მოსახსენებელი მიმოსვლათათვის და ქადაგებათა ყოვლად ქებულისა და დიდებულისა მოციქულისა ანდრიასი”. ამ ნაშრომის მიხედვით, პირველი მოგზაურობის დროს “ანდრია მიიწია ტრაპეზუნტად, რომელი-იგი არს სოფელსა მეგრელთასა... განვიდა მიერ და შევიდა ქუმანასა ქართლისასა, ვინავცა-იგი დაყო ჟამი ფრიადი და მრავალნი განანათლნა სიტყვთა მოძ-

დგრებითა მისისადთა”<sup>8</sup>. პარალელური ბერძნული ტექსტი დან ნათლად ჩანს, რომ ავტორი “ლაზიკებს” “მეგრელთა სოფლად” თარგმნის, “იბერიას” კი უწოდებს “ქუეყანასა ქართლისასა”. გარდა იმისა, რომ ესაა XI ს-ის განათლებული ქართველის შეხედულება თავის სამშობლოზე, ფაქტობრივადაც იბერია I ს-ში შავ ზღვაზე გადიოდა.

მეორე მოგზაურობისას, ქ. ეფესოში ანდრიას გამოეცხადა იგეო ქრისტე, რომელმაც უბრძანა წასვლა ბიოვინიასა და გუთეთის ქვეყანაში. ექვთიმე მთაწმინდელს “სკვითია” გადმოაქვს “ქუეყანად გუთეთისა”. აქ უნდა ასახულიყო ცოდნა იმისა, რომ სკვითებს შემდგომში გუთები შეენაცვლნენ. ამჯერადაც მოციქული მოსულა “ტრაპეზუნტად, ქალაქსა მას სამეგრელომსასა” (“ლაზიკა”)<sup>9</sup>.

მესამე სამოციქულო მოგზაურობისას ანდრია, სიმონ კანანელი და მატათა “მოიწინეს ქუეყანად ქართლისა (“იბერია”) და ვიდრე მდინარედმდე ჭოროხისა” (“ფასიდოს პოტამუ”)<sup>10</sup>. ცხობილია, რომ ბერძნული წყაროები რიონის გარდა, ფაზისს უწოდებდნენ ჭოროხსაც<sup>11</sup>.

ექვთიმესეული თარგმანის მიხედვით, “შთავიდეს სოსანგელთა სოფელსა (ასე ეწოდებოდა ქვეყანას), ხოლო დიდი ანდრია, სუმონითურთ შევიდეს ქუეყანასა აფხაზეთისასა (“აბასგია”) და სევასტიად ქალაქად (“დიდი სებასტოპოლის”) მივიდეს... მუნ დაუტევა ნებარმან ანდრია სუმონ კანანელი... და თავიდ ჯიქეთისა ქუეყანასა წარვიდა”<sup>12</sup>. ბერძნული ტექსტის “სუსანია” ქართულში “სოსანგეთადაა” გადმოცემული, რომელსაც ს. ყაუხხიშვილი სვანეთში, პ. ინგოროვა კი სანია-სანიგეთში ვარაუდობდა, ჭოროხისა და აფსარის რაიონში, სადაც სოფრონის (IV ს.) მიხედვით, მატათა ყოფილა დამარხული<sup>13</sup>.

ექვთიმეს ტექსტი გვაუწყებს, რომ ანდრია შემდგომ მისულა “ბოსფორ ქალაქად”, რომელიც ევქსინის ზღვის კიდესაა; “ხოლო სუმონ კანანელისა საფლავი არს ნიკოფ-სე ქალაქსა შორის აფხაზეთისა და ჯიქეთისა”<sup>14</sup>. ბერძნუ-

ლი ტექსტით, სიმონ კანანელის საფლავი “ზიგხების ნიკოფეშია”.

სწორედ ამ ბერძნულ ტექსტზე უნდა მიეთითებინა გიორგი მთაწმინდელს ანტიოქიის პატრიარქთან კამათისას: “ჩვენ პირველწოდებულისა... ნაწილი ვართ და სამწეონი და მის მიერ მოქცეული და განათლებული და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი, სიმონს ვიტყვა კანანელსა, ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფის ეწოდების”<sup>15</sup>. აქ აფხაზეთი მთელი დასავლეთ საქართველოა და ის “ქუეყანასა ჩუენსა” არის.

გიორგი მცირე ამბობდა გიორგი მთაწმინდელზე, რომ მან “ყოველი აღმოსავლეთი განანათლნა, და ნაწილი იგი ანდრია მოციქულისად და სიმონ კანანელისად კუალად განამტკიცა. რამეთუ ანდრეა მოციქულმან მოვლო ქუეყანას ჩუენი, ხოლო სიმონ კანანელმან სრულად დაიმკუდრა, რამეთუ ნიკოფის არიან ნაწილი მისნი წმიდანი”<sup>16</sup>. ავტორი “ყოველ აღმოსავლეთში” ქართლის კულტურულ ერთეულს გულისხმობს, რომელშიც ეგულება კლარჯეთი, სამცხე და სხვ.

ქართლის ცხოვრებაში შესული “მეფეთა ცხოვრების” ტექსტი ადერკის მეფობის უამს იხსენიებს წმ. მოციქულებს: “მოვიდეს... ანდრია და სვმონ კანანელი აფხაზეთს და ეგრისს და მუნ აღესრულა წმიდა სვმონ კანანელი ქალაქსა ნიკოფისასა... ხოლო ანდრია მოაქცივნა მეგრელნი და წარვიდა გზასა კლარჯეთისასა”<sup>17</sup>. ადერკი მეფეს მეგრელები ძველსავე რჯულზე მოუქცევია, თუმცა მათ ჯვარხატები დაუმალავთ. ადერკი კლარჯეთის ერისთავებაც გასწყობია მოციქულის მშევიდობით გაშვებისათვის<sup>18</sup>.

XI ს-ის II ნახევარში ეფრემ მცირემ შექმნა ნაწარმოები, სადაც შეკრიბა ძველ წყაროებში გადმოცემული ცნობები ქართველთა გაქრისტიანების შესახებ. მისი სიტყვით, “ითქუმის ჩვენთვისცა მიმოსლვასა შინა წმიდათა მოციქულისათა ანდრია პირველწოდებულისა მიერ ქადაგებად

შორის ავაზგიანება, რომელ არს აფხაზეთი და მიერ წარვლად ოსეთად და კუალად ბართლომეს მიერ მიმოვლად ჩრდილოეთისად, რომელ არს ქართლი”<sup>19</sup>. იქვე ნათქვამია, რომ მეფე იუსტინიანემ (527-565 წწ.) წმ. ღმრთისმშობლის ტაძარი ააშენა აფხაზეთში და მდგრდები დაადგინა<sup>20</sup>.

XI ს-ის ერთ საბუთში, მიჯნაძოროელთა და ოპიზართა სამამულო დავას რომ ეხება, ნათქვამია, რომ მიჯნაძოროელ მამებს ბაგრატ მეფის სასამართლოში (1054-1072 წწ.) მოუტანიათ “ხატნი წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი და ნაწილნი წმიდისა ბართლომე მოციქულისანი”<sup>21</sup>. ცხადია, რომ წმ. ბართლომე მოციქულის ნაწილები კლარჯეთის ქართულ მონასტერში ზემოსენებული ცნობების გამომახილი და დასტურია.

გადმოცემებმა ანდრია პირველწოდებულის შესახებ კანონიზაცია მიიღო რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე – 1104 წ., სადაც ანდრია მოციქულს მიეწერება სახარების ქადაგება მთელ საქართველოში. ამ კრების ძეგლისწერაში ვკითხულობთ: “...პირველწოდებული ანდრია... ვიდრე ჩუენადმდეცა მოიწია და ქადაგა საცხორებელი ქადაგებად სახარებისად ყოველსა ქუეყანასა საქართველოსასა”<sup>22</sup>.

შემდგომ ხანებში წერილობითმა და ხალხურმა გადმოცემებმა საქართველოს ყველა კუთხეში იმატა. ანდრია მოციქულის მიმოსვლა-ქადაგებათა ამსახველ წყაროებში ჩნდება ახალი მხარეები და პუნქტები. ეს განსაკუთრებით შეინიშნება მეტაფრასულ ტექსტებში, რომლებიც ექვთიმე მთაწმინდელის თარგმანის უძველე გავლენას განიცდიან.

დავითისა და კონსტანტინეს წამებაში (XII ს. I ნახ.), სადაც მურვან ყრუს დროინდელ (VIII ს.) ამბებზეა თხრობა, ნათქვამია: “ვითარცა გპსწავიეს ესე ძუელთა უწყებათაგან, იყვნეს... დავით და კონსტანტინე ქართველი სანახებისაგან არგვეთისა... და იყვნეს განათლებულ ემბაზითა ქადაგებულისა ანდრია და სიმონ კანანელისამთა, რამეთუ

მათ უქადაგეს ქრისტე ქართველთა შორის პირველად ნინოს მოსლვისა”<sup>23</sup>.

XII-XIII ს-თა მიჯნაზე იოანე ანჩელი თავის თხზულებაში “გალობანი ანჩის ხატისანი” წერდა: “ანდრია... პირველწოდებული იდიდებოდენ ყოველთაგან უდაფთა დადოთა კლარჯეთისათა... მოვიდა და ხატი ესე საშინელი ჩუენ... მოგუანიჭა”<sup>24</sup>. მაშასადამე, იოანე თვლიდა, რომ ანჩისხატი – მაცხოვრის ე. წ. ხელუქმნელი ხატის ტიპისა – კლარჯეთში ანდრიას მოუტანია.

ახალი ქართლის ცხოვრების სხვადასხვა რედაქციებში ანდრია მოციქულის მოღვაწეობის ადგილებად დასახელებულია ტაო, სვანეთი, ნიგალი, კოლა-არტანი... უნდა ვიფიქროთ, ესენიც ძველი გადმოცემების ანარეკლია. XVIII ს-ის ყველაზე ვრცელი ჩანართი ლეონტი მროველის ტექსტში ადერკის მეფობას ემთხვევა. ის საყურადღებოა თავისი დეტალურობითა და ცნობების სიახლით, სადაც ყველაზე მეტად კონკრეტული პუნქტებია თავჩენილი. ტრაპიზონი იქ მეგრელთა ქალაქია, რომლის შემდგომ ანდრია შესულა ქართლის ქვეყანაში “რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების”. მართლაც, ქართლის ცხოვრების უძველესი ცნობით, ქართლის სამეფოში ჯერ კიდევ ფარნავაზმა (ძვ. წ. III ს.) აჭარა და სამცხე ოძრხის საერისთავოდ ჩამოაყალიბა<sup>25</sup>.

დიდაჭარა ძველთაგანვე მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა. ამ ტოპონიმში ასახულია მთელი მხარის სახელი. საქართველოში კუთხეები ხშირად ატარებენ მათი ცენტრების სახელებს: მთაქართლი, გურიანთა, ოდიში, თაკვერი, კოლა, გაჩიანი... დიდაჭარასვე უკავშირდება პიდრონიმი აჭარისწყალი. საინტერესოა, რომ იქაური მოხუცები ცდილობენ სოფლის სახელწოდება “დედ(ა)აჭარად” გაიაზრონ (შდრ: “ბუდე-ხევსურეთი”).

ჩანართის ცხობით, ანდრიას იქაურები ქრისტეს რჯულზე მოუქცევია და ეკლესიაც აუგიათ, სადაც ახლა

წმ. ანდრიას ნიშია. აქედან წასულ მოციქულს გადაუვლია მთა რკინის-ჯვარი, რომელიც, თხზულების მიხედვით, “თუ ნეტარისა ანდრიას მიერ აღმართებულ არს”-ო<sup>26</sup>. ანდრიას სასწაულებში ხშირად ჩანს რკინის კვერთხი, თავზე ჯვარგამოსახული. მოციქული მას უწმინდურთა გასანადგურებლად ხმარობდა. საქართველოში უღელტეხილებზე ქვაჯვართა დადგმა გავრცელებული იყო, მაგრამ “რკინის ჯვრები” ანდრია მოციქულზე არსებული გადმოცემებიდან შეიძლება მოდიოდეს. რკინის პალოს მთას ჭანეთისა და ტრაპიზონის საზღვრად ასახელებს ვახუშტი ბატონიშვილი<sup>27</sup>. გადმოცემით, ანდრიას ჯვარი აღუმართავს იქაც, სადაც ახლა გერგეტის სამების ტაძარია<sup>28</sup>.

“გზა რკინის-ჯუარისა” ძველთაგანვე ცნობილი იყო და იხსენიება კიდეც ქართლის ცხოვრებაში XI, XII და XIII ს-თა ამბებთან დაკავშირებით<sup>29</sup>. ზემოხსენებული ჩანართის მიხედვით, რკინიჯვრიდან ანდრია მოციქულს ოძრახის ხევი ჩაუვლია და სოფ. ზაღენ-გორასთან კერპები დაუმხვია. სოფლის სახელიც წარმართული ღვთაების თაყვანისცემის პუნქტზე მიგვანიშნებს; ზაღენის კერპი ხომ მცხეთაშიც იდგა – ზედა ზაღენი – ზედაზენი. მნიშვნელოვანია, რომ სამცხის ზაღენში ტრადიცია მატერიალურ დადასტურებას პოულობს: არქეოლოგიური ძიებით აღმოჩენილია საკულტო დანიშნულების, ბრინჯაოსნიდიანი ხარის პატარა ქანდაქება, რომელიც ანტიკური ხანის ქართულ წარმართულ სარიტუალო ცერემონიაში იხმარებოდა<sup>30</sup>.

ანდრია შემდეგ აწყვერს მისულა, რომელსაც მაშინ სოსანგეთი პრქმევია. ბერძნული ტექტების სუსები და სუსანია სოსანგეთის ფორმით პირველად ექვთიმესეულ ქართულ თარგმანში გვხვდება, თუმცა იქ ის აწყვერთან არაა დაკავშირებული. საინტერესოა, რომ სამცხის ძველ სოფელ უდეში ერთ ნაეკლესიარსა და უბანს “შუშან-ქალას” ეტყვიან, რაც შესაძლოა კაგშირში იყოს სუსანია-სოსანგეთან.

აწყვერში ანდრიას ღმრთისმშობლის ხელთუქმნელი ხატის მეშვეობით სასწაულები მოუხდენია, დაუმხვიდი არტემიდესა და აპოლონის კერპები. ანდრიას ცხოვრების ბერძნული ტექსტების მიხედვით, არტემიდესა და აპოლონის კერპები ანდრიას ნიკეაშიც დაუმხვიდი და მათ ადგილზე ჯვრები აღუმართავს. ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია სტრაბონის ცნობა, რომ “მოსხების ქვეყანაში მდგბარეობს ლევკოთეას სამლოცველო, ფრიქსეს მიერ აგებული და მისი სამისნო”<sup>31</sup>.

არქეოლოგიური კალეგით აწყვერში აღმოჩენილი ბერძნული მხატვრული კერამიკა ასევე ეხმაურება წყაროთა ჩვენებებს ზემოსხენებული კერპების იქ არსებობაზე.

სამცხეში ანდრია მოციქულის ქადაგების საკითხისათვის საყურადღებოა სოფ. ანდრიაწმინდა X ს-ის დარბაზული ეკლესიით. აწყვერის სიახლოვეს მყოფ ამ სოფელს სახელი წმ. ანდრიას სახელობის ეკლესიამ მისცა, სადაც დღეობას იხდიან მისი შემოსვლის დღეს (დიდი მარხვის მეხუთე ხუთშაბათს).

საქრისის ველზე, სამცხის ერის გაქრისტიანებამ და აწყვერში ანდრიას მიერ წამოგანილი ღმრთისმშობლის ხელთუქმნელი ხატის დატოვებამ ამ პუნქტს, როგორც რელიგიურსა და ადმინისტრაციულ ცენტრს, სახელი გაუთქვა მთელ ქვეყანაში.

საქართველოში ერაკლე კეისრის (VII ს.) შემოსვლასთან დაკავშირებით, ჯუანშერის ტექსტის ოთხ ნუსხაში (Bbkp) გვხვდება ჩანართი, რომლის მიხედვით, ჰერაკლე ქართლსა და სამცხეს მოსულა. მას თაყვანი უცია სასწაულმოქმედი ხატისათვის და საძირკველი ჩაუყრია აწყვერის დიდი საეპისკოპოსო საყდრისათვის<sup>32</sup>.

სამცხიდან ანდრია მოციქული დასავლეთ საქართველოში რკინისჯვრის გზით უნდა წასულიყო. IV ს-ის რომაელი გეოგრაფოსის – კასტორიუსის რუკაზე აღნიშნული არტაშატ-სევასტოპოლისის გზა სწორედ ასე მიემართებო-

და ვარდციხის გავლით<sup>33</sup>. ამ გზის I ს-ში არსებობის დამადასტურებელი ფაქტია არქეოლოგიური თხრით აღმოჩნილი პოლემონ II-ის (პონტოსა და კილიკიის მეფე 38-64 წწ.) მონეტა<sup>34</sup>. ამავე გზის მეორე ტოტზე არსებული სოფ. ხანი ასევე საგზაო პუნქტი უნდა ყოფილიყო (სპარსულიდან შემოსული ხანაგა)<sup>35</sup>. იმავე გზას უკავშირდება მთა სახელწოდებით ფუნდუკი და სოფ. კაჯასხიდი – ძველი ქვის ხიდის ნაშთით.

ქართლის ცხოვრების მოგვიანო ჩანართები იმეორებენ ძველ გადმოცემებს ანდრიას ქადაგებაზე სვანეთში, ოსეთსა და აფხაზეთში, სიმონ კანანელის საფლავს კი ნიკოფისიაში ადასტურებენ.

წმ. ანდრია მოციქულის შესახებ გადმოცემები ხალხია შემორჩენილი დიდაჭარაში, სამეგრელოში (მარტვილი), სამცხეში (ანდრიაწმინდა), კახეთში (მარტყოფი), ხევში (გერგეტი). დიდაჭარასა და ანდრიაწმინდაში მოციქული სასწაულებს ახდენს, კლდიდან წყაროს აღენს, მარტვილში ანდრიას დაუმხვია კერპი კაპუნია, მუხასთან მდგომი, მის ნაცვლად ჯვარი აღუმართავს, მუხის ფიცრებისაგან კი ხალხს ეკლესია აუშენებია<sup>36</sup>.

ხალხურ გადმოცემებს იმეორებენ უან შარდენი და ქრისტეფორე კასტელი (XVII ს.), რომელთა მიხედვით, წმ. ანდრია მოციქულის სახელობის ძველი ეკლესია ბიჭვინტაში ყოფილა (ამაზე მეტველებები ქართული საბუთებიც); იქ მდგარა ჯვრიანი სვეტი, რომლის წინაშეც ხალხი მუხლ-მოდრეკით ლოცულობდა<sup>37</sup>. ხალხში შერჩენილია რწმენა, რომ ძველ ანაკოფიაში (ახალი ათონი) იყო სიმონ კანანელის სახელობის ეკლესია<sup>38</sup>, არქანჯელო ლამბერტი (XVII ს.) კი დარწმუნებული იყო, რომ საქართველო წმ. მოციქულებმა ანდრიამ და ბართლომემ მოაქციეს. მისი სიტყვით, სამცხეში ყოფილა წმ. ბართლომეს სახელობის ეკლესია, რომლის ეპისკოპოსს იშხნელს უწოდებდნენ...<sup>39</sup>

სამცხის გარდა, სოფ. ანდრიაწმინდა არის იმერხევ-შიც (თურქეთის ართვინის ვილაიეთში). იქაც სოფლის სახელი წმ. ანდრია მოციქულის სახელობის ეკლესიიდან უნდა მოდიოდეს. ანდრიას სახელობის ეკლესიები არის გურიაში (ხრიანეთი) და თბილისში.

ანდრია მოციქულთან დაკავშირებული ქართული ტრადიციული გადმოცემები, მატერიალური პულტურის ძეგლები და ტოპონიმის მონაცემები ნასაზრდოებია ძველი წერილობითი წყაროებით. თავისთავად წერილობითი ტრადიციაც ბევრს იღებდა ხალხური გადმოცემებისაგან. ისინი ზოგჯერ ორაზროვანი ან წინააღმდეგობრივიც იყო: მაგ. სიმონ კანანელის, წმ. შუმანიკის, თუ აბიბოს ნეკრესელის დამარხვის აღგილები; ყველა მათ თავისი ახსნა და დასაბუთება მოეძებნება.

### ლიტერატურა:

1. მიხ. თამარაშვილი. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გამომც. „კანდელი”, თბ., 1995, 166.
2. იოანე საბანის ძე. მარტვლობად პაბო ტფილელისავ, ძევლი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გამომც. „მეცნიერება”, თბ., 1964, 59-60.
3. პ. ინგოროვა. გიორგი მერჩულე, გამომც. „საბჭოთა მწერალი”, თბ., 1954, 211.
4. ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი XII, თსუ გამომც. თბ., 1998, 46.
5. მიხ. თამარაშვილი. ქართული ეკლესია... 167.
6. კიმენი I, პ. პეპელიძის რედაქციით, ტფ., 1918, 170.

7. მ. ფიჩხაძე. ანდრია პირველი მოდებულის საქართველოში მოდგაწეობის საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 328, ობ., 1999, 228.
8. მ. კობიაშვილი. ანდრია პირველი მიმოსვლათა ექვთიმე ათონელისეული თარგმანი, “ლიტერატურული ძიებანი”, XXI, ობ., 2000, 114.
9. მ. კობიაშვილი. ანდრია პირველი მიმოსვლა... “ლიტერატურული ძიებანი”, XXII, ობ., 2001, 47.
10. იქვე, 48.
11. ს. ჯანაშია. შავი ზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია, შრომები VI, ობ., 1988, 263.
12. მ. კობიაშვილი. იქვე, 48.
13. ს. ყაუხებიშვილი. გეორგიკა ტ. IV, ნაკვ. 2. ობ., 1952, 393; პ. ინგოროვა. გიორგი მერჩულე, ობ., 1954, 224-226.
14. მ. კობიაშვილი. ანდრია პირველი მიმოსვლა... “ლიტერატურული ძიებანი”, XXII, 2001, 51.
15. ძეელი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები II, “მეცნიერება”, ობ., 1967, 154.
16. იქვე, 173-174.
17. ქართლის ცროვრება I, ს. ყაუხებიშვილის გამოც. სახელგამი, ობ., 1955, 38.
18. იქვე, 42.
19. ეფრემ მცირე. უწყებად მიზეზსა ქართველსა მოქცევისასა, ოურმელთა წიგნთა შინა მოიქსენიების, გამოც. ობრეგაძისა, საქ. სსრ. მეცნ. აკად. გამომც. ობ., 1959, 4.
20. იქვე, 11.
21. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი I, “მეცნიერება”, ობ., 1984, 32.
22. დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს კ. გაბიძაშვილმა, კ. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, “მეცნიერება”, ობ., 1975, 545.

23. წამებად დავით და კონსტანტინესი, ძვ. ქართული აგი-ოგრაფიული. ლიტერატურის ძეგლები III, “მეცნიერება”, თბ., 1971, 249.
24. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია I, შე-ადგ. ს. ყუბანეიშვილმა, თხუ გამომც. თბ., 1946, 383.
25. ქართლის ცხოვრება, I, 24.
26. იქვე, 39.
27. ქართლის ცხოვრება IV, “საბჭოთა საქართველო”, თბ., 1973, 659.
28. თ. სანიქიძე. გერგეტის სამების ანსამბლი, “მეცნიერე-ბა”, თბ., 1975.
29. ქართლის ცხოვრება, I, 301; ქართლის ცხოვრება II, ს. ყაუხეჩიშვილის გამოც. “საბჭოთა საქართველო”, 51, 216.
30. საქართველოს ისტორიის ნარკვევები I, “საბჭოთა სა-ქართველო”, თბ., 1970, 373.
31. თ. ყაუხეჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, 124.
32. ქართლის ცხოვრება I, 224.
33. 6. ლომოური. საქართველოს სავაჭრო გზების საკითხი-სათვის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის “შრომები” IV, ნაკვ. I, თბ., 1958, 108.
34. ვ. ჯაფარიძე. გარდციხის ნაქალაქარი, “მეცნიერება”, თბ., 1984, 141.
35. მხ. ანდრონიკაშვილი. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. თბ., 1966, 410.
36. 6. ღამბაშიძე. წმ. ანდრია პირველწოდებულის “ეთნო-გრაფიული გზების” კვალდაკვალ, საქართველოს საპატრიარქო, 93, 99.
37. შარდენის მოგზაურობა, მზ. მგალობლიშვილის გამოც. “მეცნიერება”, თბ., 1975, 132-133.
38. “მწყემსი”, 1893, №10, წმ. მოციქულის სიმონ კანანელის ტაძარი აფხაზეთში 1876 წ. ანაკოფიის ნანგრევებზე და-ფუძნდა ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტერი; 1882 წ. განაახლეს სიმონ კანანელის ძველი ტაძარი.

39. იღ. ტაბაღუა. საქართველო ეკონომიკური არქივებსა და  
წიგნსაცავებში I; თბ., 1956.

კურნალი. „ლოგოსი”, 2007, N 4, 356-362.

## დევი ბერძენიშვილი

### გართული ფრაზითია ფმინდა ანდრია პირველი მოდელის შესახებ

საქართველოს მეზობელ ტერიტორიებზე მოციქულთა  
მიერ ქრისტიანობის ქადაგების შესახებ პირველი ცნობა  
ორიგენესთან (185-254) გვხვდება: პეტრეს წილხვდომილ  
ქვეყნებში დასახელებულია პონტო და კაპადოკია, ანდრიას  
სკვითებში უქადაგია. მომდევნო ხანის (IV-X სს.) ბერძნულ-  
ლათინურ წყაროებში აღნიშნულ მხარეებს ემატება აფსა-  
როსი, მდ. ფაზისი, საბასტოპოლისი, ჰისოს ნავსადგური  
და აბაზგია; იხსენიებენ, აგრეთვე, იმ ადგილებში მცხოვ-

რები იბერები, სუსები, ფუსტები, ალანები; ბართლომე მო-  
ციქულის სამოღვაწეო ადგილი ყოფილა “ჩრდილოეთი”.

ამ უცხოენოვან წყაროებს ქართველები ადრიდანვე  
გასცნობიან, რაც აირეკლა კიდევ ქართულ მწერლობაში.   
მისი კვალი შენიშნულია იოანე საბანისძის (VIII ს.) თხზუ-  
ლებაში, სადაც გაქრისტიანებულ აფხაზეთში (დასავლეთ  
საქართველო) იხსენიება ტრაპეზუნტი, ნაფსავს ნავსად-  
გური (ნიკოფისი) და ჯარის სადგომი ბანაკი აფხაროსი  
(გონიო) – პუნქტები დაკავშირებული ანდრიას “მიმოსვ-  
ლებთან”.

XI-X საუკუნეთა ქართული ორიგინალური და თარგ-  
მნილი ძეგლების მიხედვით, ანდრიას უქადაგია ქართლის  
ქვეყნებში: აფხაზეთში, “სებასტიელთა ქალაქში”, “აფხა-  
რელთა ბანაქსა” და მდ. ფასისთან.

XI ს-ში ექვთიმე მთაწმინდელმა ერთ-ერთი ბერძნული  
ხელნაწერიდან ქართულად თარგმნა ანდრია მოციქულის  
“მიმოსვლანი და ქადაგებანი”, რაც საფუძვლად დაედო  
შემდგომი ხანის “მიმოსვლათა” სხვა რედაქციებს. ექვთი-  
მეს თარგმანის მიხედვით, ანდრია ქადაგებდა ტრაპეზუნტ-  
ში “სოფელსა მეგრელთასა”, ქართლის ქვეყანაში – მდ.  
ჭოროხამდე, სოსანიგელთა ქვეყანაში, ოსეთში, ქალაქ  
ფოსტაფორში, აფხაზეთის ქვეყანასა და სევასტია ქალაქ-  
ში, ჯიქეთში, გორსინებთან, დიდ სებასტოპოლისში. ამავე  
წყაროს ცნობით, სვიმონ კანანელის საფლავი არის ქალაქ  
ნიკოფისაში, აფხაზეთსა და ჯიქეთს შორის. ამ ბოლო  
ცნობებს იმეორებენ გიორგი მთაწმინდელი და გიორგი  
მცირე XI ს-ში.

ბართლომე მოციქულის ჩვენში მოღვაწეობის გამოძა-  
ხილია 1054-73 წწ. სიგელში ნახსენები წმ. ბართლომეს ნა-  
წილები, რომლებიც მიძნაძორელებს წარუდგენიათ სასა-  
მართლოზე ოპიზრებთან სამამულო დავის გამო. “ქარ-  
ლის ცხოვრების” ლეონტი მროველისეული ტექსტი (XI ს.)  
ანდრია პირველ-წოდებულისა და სიმონ კანანელის სამო-

დგაწეო მხარეებად მიიჩნევს აფხაზეთსა და ეგრისს; წმ. ანდრიას მოუქცევია მეგრელები და წასულა კლარჯეთის გზით.

XI ს-ის II ნახევარში ეფრემ მცირემ შექმნა ნაწარმოები, რომელშიც შეკრიბა ძველი წყაროების ცნობები ქართველთა გაქრისტიანებაზე. იქ ანდრიას ქადაგების აღგილად დასახელებულია აფხაზეთი. აღნიშნულია იქიდან მისი გადასვლა ოსეთში. იქვე ბართლომე მოციქულის მიერ მოქცეული “ჩრდილოეთი” განმარტებულია, როგორც ქართლი; იუსტინიანეს მეფობაში აფხაზეთში ქრისტიანობის გავცელებაზეა საუბარი, აქ მას აუგია ღმრთისმშობლის ტაძარი და დაუდგენია მღვდლები.

გადმოცემები ანდრია მოციქულის შესახებ კანონიზირდა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე (1104 წ.). მას სახარების ქადაგება მიეწერება მთელ საქართველოში. შემდგომ სახებში წერილობითმა და ხალხურმა გადმოცემებმა ამ თემაზე საქართველოს ყველა კუთხეში იმატა. წყაროებში ჩნდება ახალი მხარეები და პუნქტები: ტაო, სვანეთი, ნიგალი, კოლა-არტანი, დიდაჭარა, რკინისჯვარი, ოძრხისხევი, ზადენ-გორა, საქრისი და აწყვერი, რომლის სახელი სოსანგეთი ყოფილა ძველად.

წმ. ანდრიას შესახებ ხალხური გადმოცემები შემორჩენილია სამეგრელოში (მარტვილი), სამცხეში (ანდრიაშინდაში), ქახეთში (მარტვოფი), ხევში (გერგეტი); სოფელი ანდრიაშინდა არის სამცხესა და იმერხევში, რაც იქ არსებული ეკლესიების სახელებიდან უნდა მოდიოდეს. მისსავე სახელზეა აგებული ეკლესიები გურიასა და თბილისში. უან შარდენისა და ქრისტეფორე კასტელის (XVII ს.) მიხედვით, წმ. ანდრიას სახელობის ძველი ეკლესია ყოფილა ბიჭვინთაში. ხალხური რწმენით, ანაკოფიაში ყოფილა სიმონ კანანელის სახელობის ეკლესია. არქანჯელოლამბერტი (XVII ს.) დარწმუნებული იყო, რომ საქართველო ანდრიასა და ბართლომეს მოქცეულია. მისი სიტყვით,

სამცხეში ყოფილა წმ. ბართლომეს სახელობის გვლესია, რომლის ეპისკოპოსს იშხნელს უწოდებდნენ.

ანდრია მოციქულთან დაკავშირებული ქართული ტრადიციული გადმოცემები, მატერიალური კულტურის ძეგლები და ტოპონიმის მონაცემები ძველი წერილობითი წყაროებითა ნასაზრდოები. თავის მხრივ, წერილობითი წყაროებიც ბევრს ითვისებდნენ ტრადიციული გადმოცემებიდან, ამიტომ ხალხური რწმენა-წარმოდგენების გათვალისწინებაც აუცილებელი ჩანს.

სამეცნიერო კონფერენცია: „წმიდა ანდრეველწოდებულის გზით” (ძასალები), ხულო 2008, გვ. 11-12.

## ს ა რ ჩ ი ვ ი:

**მიხეილ ფხაჭიაშვილი**  
ექსპედიციების ქრონიკები.....3

**დევი ბერძენიშვილის დღიური.....35**

**დევი ბერძენიშვილი**  
წმინდა ანდრია მოციქულის ნაკვალევი  
საქართველოში.....123

**დევი ბერძენიშვილი**

ქართული ტრადიცია წმ. ანდრია  
პირველწოდებულის შესახებ.....141

**დევი ბერძენიშვილი**  
ქართული ტრადიცია წმინდა ანდრია  
პირველწოდებულის შესახებ.....154